

659
959



6

1959

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ურნალი

საპარტიველოს საბჭოთა მფარველის
კავშირის პარტიის განყოფილების
ორბანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|----|
| 6. მაღაზონია—მიწის სურნელი (ლექსი) | 3 |
| 8. ვარშანიძე—დიდ ოქტომბრის გმირს დაგარქმევ (ბალადა) | 4 |
| 3. ლორია—მამის ადგილას (მოთხრობა) | 6 |
| 8. შუბლაძე—ლექსები | 12 |
| 8. როშვა—ლექსები | 14 |
| 6. მოღებაძე—მჯერა (მოთხრობა) | 16 |
| 8. ჯაყელი—ჭიათურას (ლექსი) | 21 |
| 8. სანადირაძე—ეკვის ნამცეცი (მოთხ- რობა) | 23 |
| 11. რამიშვილი—მამას (ლექსი) | 26 |
| 6. ართილაძე—ლექსები | 27 |
| 8. კაპიტაძე — ხასიხარულთა გასეირნება (მოთხრობა) | 29 |
| 3. კობერიძე—ეს მიდამოა, განა ველია? (ლექსი) | 33 |
| 8. ურუშაძე—სურათები (ლექსი) | 34 |
| 8. ჭავჭავაძე—უვერტიურა (ლექსი) | 35 |
| 8. შოლოხოვი—ხალი (მოთხრობა, თარ- გმნა გ. ამაშუკელმა) | 36 |
| 2. პერვინცი—ყველაზე ნამდვილი ცხოვრება (მოთხრობა, თარგმნა გ. ჭა- ნიშვილმა) | 44 |

კრიტიკა და კუბლიცისტობა

| | |
|---|----|
| 8. მარგველაშვილი—ადიდებული, დამ- წიფებული სიცოცხლის მგოსანი | 51 |
| 8. ძუნიძე—„მკვდრის მზე“ | 56 |
| 8. კილაძე—ილია ჭავჭავაძის დრამატუ- ლი პოემა „ქართველის დედა“ | 63 |
| 3. ბოლქვაძე—ასახვის ლენინური თეო- რია და ესთეტიკის ზოგიერთი სა- კითხი | 66 |


ქქქ

6

1959

ნოემბერი
დეკემბერი

ა ზ ა რ ი ს ს ა ხ ე ლ მ შ ი ფ ო ლ ბ ა მ ო მ ც მ მ ლ ო ბ ა



ლიტერატურული კალენდარი

გ. მოისწრაფიშვილი—ქართული წიგნი
(პირველი ქართული ნაბეჭდი წიგ-
ნის 330 წლისთავის გამო) 70

მოგონებანი

ბ. მებრელიძე—ხულოში 75

ხელოვნება

აღ. სანადირაძე—ჰოლივუდი და მისი
მკვიდრნი 81

სატირა და იუმორი

აღ. სამსონია—ჩემი შვილები 85

ყურნალ „ლიტერატურული აპარის“
შინაარსი (1959 წ.) 94

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მლიევანი)
აღ. ჩაველიშვილი, ფრ. ხალვაში.

ნესვორ მაღაზონია

მიწის სურნელი

სოფლის ბოლოზე მარჯვენის ძალას
შეექმნა ჩვენი ეზო და კარი...
ერთ ღლეს,
მამა რომ კონავედა ჩალას
და ყვითელ ფოთლებს ებრძოდა ქარი.

ვხედავ:
გამორბის მეზობლის ბავშვი
და დროშასავით მოარხვეს გაზეთს.
თიაღი გაეარდა მახლოებელ მთაში
და ძანილს მოჰყვა ჩოჩქოლი გზაზე.

ხალხი შეგროვდა სოფელში მერე
და სიტყვა მისცეს მეფისგან დევნილს:
—...მშვიდობა ქოხებს,
მშრომელთა კერებს!
დიდება ხალხს და დიდება ლენინს!..
მამას კრებაზე სიტყვაც არ უთქვამს —
ან სიხარულმა რა სიტყვა იცის!
შინ კი —
ამაყად შეხედა გუთანს
და ღრმად ჩასუნთქა სურნელი მიწის.



მამია ჰაჩუნიძე

დიდ ოქტომბრის ზმირს დაბარქმევ

რატომ კოკლობ, პაპაჩემო, მეც მითხარი, რა იქნება,
როცა ბელადს გადახედავ, რატომ გიყვარს ჩაფიქრება?
შენ არ მეტყვი?! შენ არ გიყვარს, შენ არ გიყვარს თავის ქება,
გაზეთებში წაიკითხე, რადიოშიც მოვისმინე,
რომ ხარ დიდი ღვაწლმოსილი, ეს გზები შენც მოგვისირმე...
აჰ, ვიტყვი, მომისმინეთ..

...ამ ქუჩაზე, ამ ადგილას იდგა ერთი სახლი ძველი...
გულკეთილი ვინმე იყო ამ სახლ-კარის მასპინძელი...
და მას ერთხელ შეეხიზნა ახალგაზრდა კაცი ქველი,
სძულდა მეფე და თავადი, ოჰ, რა იყო ის სულგრძელი!
ამ ადგილას, ამ უბანში განა ირმებს უძოვიათ,
იმ სტუმარს და იმ მასპინძელს ცხრა მარტს ერთად უბრძოლიათ.
ამ ადგილას, ამ უბანში განა ირმებს უძოვიათ?!
წინ გაჭრილა მასპინძელი, ის ყანდარმებს დაუჭრიათ,
დაუჭრიათ ორჯერ მუხლში... განკურნება გაუჭირდათ.
ამბობდნენ ჰირს გადაჰყვება, ამბობდნენ ფეხს მოჭრიანო,
მაგრამ არა... ის გადარჩა, იმის მერე კოჭლიაო.
ამბობენ, რომ ის სტუმარი იყო ხალხთან გულგაშლილი...
მასპინძელი შენ ყოფილხარ და სტუმარი ჯულაშვილი.
მაშინ იცი რას დაგარქმევ, ამ ზაგიდან რას დავაფრქვევ?!
„—მითხარ, ბიჭო, რას დამარქმევ?!“
—იმ ბრძოლების გმირს დაგარქმევ!
რად ილიმი, პაპავ, ჩუმაღ, შენს წარსულს მეც ავხდი სარქველს,
პაპავ, ჩიჭირის საუბარი?! ჰო, მე ვიტყვი შენს დიდ სათქმელს,
გზები შენც ხომ მოგვისირმე,
აი, კიდევ მომისმინეთ..
...იყო ერთი ჩუმი კაცი, განა გვარის დაღიანთა,
ამ ადგილას დაიბადა, ამ წყალზე პირს დაიბანდა.

რუს მშრომელებს ედგა მხარში მოსკოვთან თუ ცარიცინთან
და რუსეთის დიდ მიწაზე ნაპერწკლები დაუცვივდა.

სამჯერ დაჭრეს, არ დატოვა მისი ძმები ჩაუქები...

შინ მოსულა გამარჯვებით და ლენინის საჩუქრებით.

ამბობენ, რომ ეს შენა ხარ, მითხარი და გავჩუმდები.

შენ თუ იყავ ის მებრძოლი, მაშინ იცი რას დაგარქმევ?

„მითხარ, ბიჭო, რას დამარქმევ?!“

—დიდ ოქტომბრის გმირს დაგარქმევ!

შენს ჭლარას დავლოცავ და დაგიკოცნი მაგ დიდ ხელებს,

პაპავ, იქნებ ავადა ხარ, აბა ხშირად რად გახველებს?

ვიცი, გტანჯეს ბორკილებში. ვიცი, ბევრჯერ გაგახელეს.

დაიქანცე, დაიღალე... და გახველებს... ეჰ, გახველებს.

აჰა, ბალი, აჰა ჩერო,

დაისვენე, პაპაჩემო!

ოჰ, დიდია ღვაწლი შენი, გახაფხული მოგვახარე,

პაპავ, ჩვენაც გასახელეთ, აბა. მთა-ველს გადახედე,

მზის ქვეყანას გადახედე... ვაჰმე, კვნესი და გახველებს.

ჭირგამოვლილს, ღვარგამოვლილს დაგიკოცნი მაგ დიდ ხელებს,

შენ ანთიხარ ჩვენს წინ ლამპრად.

საყვარელო, ჩემო პაპა!





მამის აღზილას

შინმისულ ცისკარაძეს შვილიშვილი შეეგება და მოეხვია.

— მარტო მოვედი, ბაბუ! — ალტაცებული იყო ბავშვი. — ბებია მ თქვა, შემაგვიანდებო. ავტობუსამდე მარტო მოვედი. იცი, ბაბუა, რა კარგი ბინა მისცეს ნაბოს? სამი ოთახი, საშხარეულო, გაზის ღუმელი... თინა ბიცოლამ მი-
თხრა, აწი შენც აქ გადმოგიყვან სკოლაშიო. მე უარი ვუთხარი. ბაბუა და ბე-
ზიასთან მიჩვენია-მეთქი. ხომ კარგად მითქვამს?! აქ ამხანაგებიც ბევრი მყავს,
სკოლაც ახლოსაა, იქ სად უნდა დავაბინაო ჩემი ბაკურა და მტრედები?

— ბებიაშენი რად დარჩა? — დაეჭვდა რამინი. — ცუდად ხომ არ გამხდარა?

— არა, თინა ბიცოლამ სთხოვა დახმარებოდა. ბევრი სტუმარი მოვიდა და
მარტო თინა ბიცოლა ხომ ვერ მოემსახურებოდა! ოთახებიც არ ჰქონდათ სა-
ხეიროდ დალაგებული. ნაბო მთელი დღე იატაკს აპირიალებდა.

— ასე თუ იყო, რატომ შენც არ დარჩი? ბებიაშენთან ერთად წამო-
ხვიდოდი.

— გაკვეთილები?! საშვიდნომბრო ლექსებიც მაქვს სასწავლი. მტრედებს
საკენკს ვინ დაუყრიდა? ბაკურასაც ხომ ჰმევა უნდოდა!

— მერე?

— ყველაფერს მოვჩი. ახლა მამაჩემის ბარათს ვწერდი და, ის იყო,
თქვენც მობრძანდით. ბებია მ კი მითხრა, შინ დაგხვდებო. თქვენს საამქროში
დავრეკე და წავიდაო, მიპასუხეს:

— ჰო, სხვაგან ვიყავი. — მოხუცმა შუქი ჩართო და ფანჯარასთან ჩამოჯდა.
დათომ ერთხელ კიდევ გადაათვალიერა გაკვეთილების ცხრილი და,
რომ დარწმუნდა, ყველაფერი ვიცო, წიგნები და რვეულები ჩანთაში ჩაალაგა,
ბაბუას დაემშვიდობისა უსურვა და დასაძინებლად გავიდა.

— წესიერი ბავშვი იზრდება. — ჩაილაპარაკა მოხუცმა და შვილიშვილს
თვალი გააყოლა.

მარტოდ დარჩენილი რამინი ფიქრებით დაიტვირთა. განვლილი ცხოვრება
გადმოიშალა მის თვალწინ და მრავალფერად მოიქარგა.



როგორ მოკლეა ადამიანის სიცოცხლე და რამდენი ბილიკით დასჯილია ლი. მაგრამ ათჯერ უფრო ხანგრძლივიც რომ ჩყოს, მაინც დასაძინი იქნებოდა მისგან განშორება.

რამინმა სამოცდათორმეტი წელი იარა ქვეყნად. აქედან ოცდაათზე მეტი უიღბლოდ, უუფლებოდ, უსახლკაროდ და ულუქმაპუროდ. შემდეგაც კარგა ხანს ებრძოდა სიღარიბესა და უქონლობას, ავადმყოფობას და გაჭირვებას. ბოლოს ეღირსა ადამიანურ ცხოვრებას, დაიმსახურა სახელი და ღირსება, მაგრამ...

კიდევ რამდენი წელიწადი შეუძლია ემსახუროს თავს, ოჯახს, შვილებს, სამშობლოს და საზოგადოებას?

ათი, ოცი, ოცდახუთი...

შემდეგ?

რამინმა ხელის ჩაქნევით მოიშორა სევდიანი ფიქრები. წამოდგა და საძინებელ ოთახში გავიდა.

დათოს მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო და მშვიდად ეძინა. ლამაზი, ვარდისფერი ლოყები უფრო დემშვენებინა ნათურის შოლურჯო შუქს.

— აი ცხოვრების მიზანი!— ბავშვს დახედა მოხუცმა.— ერთი მიდის, მეორე მოდის. მიმავალმა მომავლის გზა უნდა კაფოს და წმინდოს.

ცისკარაძე ვალში არ არის შთამომავლობასთან. ყველაფერი გააკეთა, რაც კი მამასა და კეთილშობილ მოქალაქეს ევალება. ხალხის სამსახურს შოანდომა მთელი სიცოცხლე, ვაჟკაცები დაუზარდა სამშობლოს და საჭიროების დროს მის სამსახურში ჩააყენა.

აწ კი მოსივენე და თავს მიხედეო, ეუბნებია.

ნთავრობამაც ასე დააკანონა..

და დღეს...

რამინს არ სურს მოსაწყენი ფიქრებით დატვირთული იდგეს უმანკო არსების საწოლთან და ფეხაკრეფით გამოდის ოთახიდან.

— სად არის ამდენ ხანს?— წუხს რამინი და ყოველი ავტობუსის გაჩერების ხმაზე ფანჯარას მიაშურებს.

დრო მიდის, ესმა არ ჩანს...

იგვიანებს!..

თუ კარგად არის, იყოს. თუნდაც დღემდე ნუ გამოჩნდება, მაგრამ ვაი თუ... რამინს ის დღეები აგონდება, როცა სიკვდილისპირას მისული ოჯახის დედა საიმქვეყნო გზას ადგა და სიცოცხლეს ეთხოვებოდა.

მერე? გაუძლებდა კი რამინი ესმას დაკარგვას?

რად ეღიბება მისი სიცოცხლე უესმოდ, რა შნო და ლაზათი ექნება?

ერთი წუთით წარმოიდგინა რამინმა მეუღლის დაკარგვით გამოწვეული დანაკლისი და ელდანაცემი სავარძელზე დაეშვა.

კოტა ხანი და, ალბათ, უდედო ბავშვივით ატირდებოდა, მაგრამ კარი გაიღო და სახეგანათებულ ესმა შემოვიდა.

— ეჰ!— შესძახა რამინმა და ყმაწვილივით წამოხტა.

— რამინ!— ეოცა ესმას ქმრის საქციელი.— ბავშვი სადაა?

— ძინავს.— დაამშვიდა რამინმა.

— შენ ხომ კარგად ხარ? რა ფერი გადევს?

— მე რა მიშავს.— გაიღმა რამინმა.— შენზე ვფიქრობდი...

— ჩემზე? ხომ გითხრა ბავშვმა. შემაგვიანდება-მეთქი?

— კი, მითხრა, მაგრამ... ადამიანის სიცოცხლე წუთის საქმეა.

— არა, არა, ნუ გეშინია, ჯერ კიდევ ერთხანს არ მიგატოვებ.— გაეხუპრა ესმა ქმარს.— დღეს მეტად კმაყოფილი ვარ. ჩხეთ ბინას თუ მისცემდნენ, არ მეგონა.— და ნაბოს ახალი ბინა დაწვრილებით აღწერა.

— ჰო, დათომ მითხრა. კარგია მაინც, ჩვენი რძალი მუდამ ჩიოდა, ნაბოს კაბინეტი არა აქვს, მე სამეცადინო ოთახიო. მართალია. მსახიობი ქალი თავის-თავზე განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს.

ესმამ ოჯახში მიიხედ-მოიხედა: საუზმე გაუმზადა ბავშვს, ტანსაცმელი წესრიგზე მოიყვანა, ფეხსაცმლები გაწმინდა და რამის ლოგინი გაუშალა.

— მოისვენე, დილით ადრე უნდა ადგე.— უთხრა ქმარს. და თვითონაც დასაწოლად შეეშადა.

რამინმა ღრმად ამოისუნთქა.

— აღარ ვარ დილით ადრე ასადგომი.— ხელი ჩაიქნა მან.

— ცვლა გადაადგილეთ?— იკითხა ქალმა.

— არა.

— მაშ?

რამინმა დიდხანს არ გასცა პასუხი, მაგრამ სულ უპასუხოდ მაინც ვერ დატოვა კეთილი მეუღლე.

— აღარ გავდივარ სამუშაოდ... დამითხოვეს... საჭირო აღარ ხარო. უკეთესები გვინდაო.— და რამინს თვალები ამოუწითლდა.

— ეს როგორ?!— გაიოცა ესმამ.— შენ დაგიტოვეს? შენ გითხრეს საჭირო არა ხარო? რამინ, ეს ვინ მოიფიქრა? ფონეტაშვილმა?..

— ჰო, ფონეტაშვილმა წააწერა, განთავისუფლებულ იქნასო.— დაასწრო რამინმა.

— ესეც ახალი ამბავი! კაცმა შენი სიცოცხლე ქარხანაში მუშაობას შეაღწიე, დღე-ღამე მასზე ფიქრობდი და ერთბაშად...

— მასზე ფიქრისა და ოცნების უფლება დამიტოვეს.— ვითომ ცოლის გასამხნეველად იოხუნჯა რამინმა.

— აი სამართალი!— ჩაილაპარაკა ესმამ.— ფონეტაშვილს ასეთი რამ რად უნდა გაეკეთებინა შენთვის?! მან ყველაზე უკეთ იცის შენი დამსახურება. ამდენი ხნის ნამსახური კაცი ასე შეურაცხყოფილი როგორ უნდა გაუშვან?...— შეძმდგ საყვედურზე გადავიდა.— ახია შენზე, ადამიანის რჩევას რომ არ მიიღებ... მაშ ხვალდიან ქარხანასთან არავითარი საქმე აღარა გაქვს? აფსუს!

ცოლის საყვედურმა უფრო ააღელვა მოხუცი.

— საგანგებო ნებართვის გარეშე ეზოშიაც არ შემიშვებენ. ეჰ, ასეთი ყოფილა ადამიანის ხვედრი... არა, ჩემთვის არ უნდა ექნათ ასე... უკეთესია, თავს მიხედავ და დაისვენებო, თითქოს ჩემი შესაძლებლობის ამბავი მან უკეთ იცოდეს.

— ვინ? ფონეტაშვილმა გითხრა ასე?

— ღიმილთ, თითქოს კიდევ ერთი ჯილდო ჩამომკიდა გულზე, ორდენი მომცა.

— საჩაგელი.— გული დაეწვა ესმას.— თუმცა ხომ შეიძლება ზემდგომი ორგანოების მითითება იყოს?!

— ჰოდა, ისაა საქმე, რომ ზემდგომი ორგანოების მითითებაა.



— აი, გიშველა ღმერთმა. ალბათ, ვინმემ კიდევ დაიწყო უსახელო წერ-
ლების გზავნა და ხალხის შეწუხება... ისაა, რომ არ იცი ადამიანის დაჯერებ-
ბა, რომ გეუბნებოდი, დაანებე სამსახურს თავი, სტაჟი გაქვს, დამსახურება გაქვს,
კარგ პენსიას დაგინიშნავენ, ეს სიბერის დღეები მოსვენებით გავატაროთ-
ნეთქი, დაგეჭრა. მაშინ ხომ არ იქნებოდი ასე შეურაცხყოფილი და გამწა-
რებული?

— მერე? დაგიჯერე, აბა არ დაგიჯერე?— ხმამაღლა თქვა რამინმა.— რომ
გავბრძოვდი და დაგიჯერე, იმას ვნანობ ახლა.

— რა დამიჯერე, ადამიანო? მთავრობის მიერ ბოძებული უფლებებით
ისარგებლე. პენსიაში გადი, სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვე-მეთქი...

— ჰოდა, მეც ეგ დაგიჯერე! — შემოწყრა რამინი. — ვითხოვე განთავი-
სუფლება, პენსიაში გასვლა და...

— მერე?

— მერე, ხომ გითხარი! კმაყოფილებით წააწერა ჩემს განცხადებას, გან-
თავისუფლებულ იქნას ოცდახუთი ოქტომბრიდანო, და ხვალ არის სწორედ ეს
ოცდახუთი ოქტომბერი.

— შენ თვითონ ითხოვე განთავისუფლება?

— მაშ ჩემს მაგივრად ვის უნდა ეთხოვა? მუდამ იმას ჩამჩიჩინებდი, ით-
ხოვე, ითხოვეო და... აი, ვითხოვე. გაიხარეთ ახლა.— რამინმა უკმაყოფილო
სახე ცოლს აარიდა და ფანჯარასთან ზურგშექცევით დადგა.

— ჰა, ჰა, ჰა.— გულიანად გადაიკისკისა ესმამ.— აი რაში ყოფილა საქ-
მე.— ქმართან მივიდა და მოეხვიო.— ბებერო ხარო, არ გინდა უღელი დადო?
გეუბნებთან დაისვენე, შენი კვირაძალი დადგაო და შენ იძახი არა, არ მინდა
დასვენებაო? ასე თუ იყო, იმ კეთილ კაცს რად მაწუევლინებდი? ფონეტაშვილს
რას ესაყვედურებოდი?

— რას ვესაყვედურებოდი? რას ვესაყვედურები? იმას ვესაყვედურებო-
დი და ვესაყვედურები, რომ... რომ... ერთი სიტყვით, ვერ ყოფილა გულის-
ხმიერი ადამიანი. გასაგებია? არ შეძლება ადამიანის გულში ჩახედვა.

— არაფერი მესმის. შენ განცხადება მიეცი, სამუშაოდან განთავისუფლე-
ბა სთხოვე, მან სურვილი შეგისრულა..

— ჰოდა, იმიტომაც არ ყოფილა გულისხმიერი, რომ შემისრულა.— მხრებ-
ზე ჩამოდებული ცოლის ხელები ჯიქურ მოიშორა რამინმა და უფრო იქით
შიცწია.

— ახირებული კაცი ხარ.— ჩაილაპარაკა ესმამ.— ერთი მითხარი, აბა რო-
გორ უნდა მოქცეულიყო? რა უნდა ექნა? შენი თხოვნა დააკმაყოფილა, სურ-
ვილი...

— გეყოფა!— შემოწყრა ცოლს რამინი.— სურვილი, სურვილი. მერე რად
არ გაიგო, რამდენად სასარგებლოა საქმისათვის ამ სურვილის ასრულება? გა-
მიღმა, ხელი ჩამომართვა, მომილოცა. მოსალოცია ეს საქმე? კაცი მთელი
საამქროს უფროსი ვიყავი, ქარხნის ავ-კარგზე ვმსჯელობდი, მისი კეთილდღეო-
ბისათვის ვიბრძოდი, ჩემი თავი აქაურობის ბატონ-პატრონად მიმაჩნდა და
დღეს?

საჭირო აღარ არის რამინ ცისკარაძე. გასულია მისი დრო. აღარაფერს
შეეკითხებთან, არაფერზე შეაწუხებენ. მაშ რა ქნას ცისკარაძემ? სად წავიდეს?
როგორ იცხოვროს? დაჯდეს სახლში, ან იხეტიალოს წაღმა-უყულმა და მუქ-

თად ჰამოს სახელმწიფო ფულები? ესაა სიცოცხლის მიზანი? ადამიანს რა უნდა რებაში რაღაცა საქმე ხომ უნდა ჰქონდეს? რა საქმე აქვს ახლა რამინს?

— დავიკრიფო გულზე ხელი და ველოდო სიკვდილს?! არა, ასე არ შემიძლია. მე აქ, სახლში ვიჯდე და ჩემს ადგილას...

— ჰო, მართლა, ვინ დანიშნეს შენს ადგილას?— დაინტერესდა ესმა.

— ვინ დანიშნეს და...

მაგრამ ტელეფონის ზარის წკრიალმა შეაწყვეტინა რამინს სიტყვა, მილაკი დაწვდა და გაეპასუხა.

— გისმენ. მე ვარ!.. რომელი? აჰ, ბეჟანი ხარ? რა გინდა, შვილო? 'შემოდინარო? საჭირო ვარ? ფონეტაშვილმა დაგავალა მთხოვო? როგორ? ვერ შევკადრეო?— თანდათან გაუნათოდა სახე რამინს.— ჰო, შესძის. ერთი სიტყვით, მოვიდე დილით სამაქროში და დაგეხმაროთ! ძალიან კარგი. კი, შვილო, კი. შენ კი არა, სხვა ვინმეს რომ შევეცვალე, იმას არ დავაძაღლიდი დახმარებას. ფონეტაშვილმაც მთხოვა? აი, ის უმადური. ისა. თუ ასე იყო, დილით რად არ მითხრა. კარგი, კარგი. აუცილებლად მოვალ. მანამდე შენ მეოთხე დანადგარი შეამოწმე. აპარატურასაც მიაქციე ყურადღება. ზედა მილი თაღლითობს რაღაცას და იმის გასწორებაც მომავლენ. დღეს როგორ მუშაობდით? ა? დღიური დავალების შესრულებას ცოტა დაგაკლდათ? ეს როგორ? შეგარცხვინათ ღმერთმა. ასე ფიქრობთ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას? კარგი, კარგი. მაგაზე ხვალ მოგელაპარაკებით. ნახვამდის, ნახვამდის. ჰო, მართლა, ცოტათი ადრე გამოდი, წინასწარ მოვითათბიროთ. კარგად იყავი. დედაშენი? კარგად არის. გინდა დაგალაპარაკო? აჰა, მოუსმინე.— ტელეფონის მილაკი რამინმა აქვე მჯდომ ცოლს გადასცა.

— მე ვარ, შვილო! როგორა ხართ სახლში? რამდენი ხანია ბავშვები არ მინახავს. ხვალ-ზეგ გამოვივლით... გავიგე, გავიგე. ახლა წამოცდა მამაშენს. მოხლოცავს, შვილო! შენ იცი, მამაშენის სახელს თუ არ შეარცხვენ... ნაბოს? მშვენიერი ბინა მისცეს, შვილო. დალაგებზე ვეხმარებოდი, ესაა ახლა მოვედი იქიდან... ძალიან კარგი. უსათუოდ ვესტუმროთ. ღამე ნებისა, შვილო.— და ესმამ მილაკი დადო.

— მაშ, საჭირო ვარ, ა? საჭირო. მაგათ კი ეგონათ, რახან კანონი აძბობს დამსახურებულს პენსია მიეცით და დაასვენეთო, თითქოს ამით ყველას დათხოვნა და მოშორება არგებს საქმეს. ის კი არ იციან, რომ ბებერი ხარის რქაც ხნავს.. ვაიგე? საჭირო ხარო, ფონეტაშვილმა დამავალა გთხოვო. დაგვეხმარეთო. — უფრო და უფრო გახალისდა მოხუცი. — რას იტყვი, ესმა, ა? როგორ მოგწონს? საჭირო ხარო. თუ ასე იყო, რაღას დამდეს ნიჩაბზე და გამომისროლეს?

— რამინ, როგორ ლაპარაკობ, ადამიანო შენ?— 'შემოწყრა ესმა.— აბა, შენი აზრით, სანამ სულ არ დაეცემი და არ ამოგვძრება სული, არ უნდა მოემვა საბუშაო?! იმუშავე, დაიმსახურე, მოტყედი, მოხუციდი, მოშორდი, წადი. საზრდო არ მიგაკლდება და სახარჯო. სხვა რაღა გინდა, მიეცი გზა ახალგაზრდობას. ხომ ჩედავ, შენი ადგილი შენმა შვილმა დაიკავა. ფონეტაშვილსაც ქარხანაში მოუწყვია საბუშაოდ თავისი ვაჟი. შენ შენმა შვილმა შეგცვალა, მას მისი შვილი შეცვლის. სხვას კიდევ თავისი შვილი და ასე მიდის ცხოვრება წინ.

— განა მაგის წინააღმდეგი ვარ, ესმა!— მშვიდად თქვა რამინმა.— მე ჩემმა შვილმა შემიცვალა, ფონეტაშვილს თუ სხვა ვინმეს თავისი შვილი შეცვლის,

მაგრამ სანამ ცოცხალი ვართ და სასარგებლო საქმის გაკეთება შეგვიძლია, ვეცდებით დაგვტოვებთ უქმად. გავაკეთებინეთ რამე. ხომ ვყოფილვარ საქირო, მცოდნია იმ ჩემს შვილზე მეტი, ჰოდა, რატომ მაგდებ, რას მერჩი, რატომ უნდა ვიხეტიალო ტყუილ-უბრალოდ, როცა ამდენი საქმეა გასაკეთებელი.

— კი, მაგრამ, შენც ხელფასი გაძლიონ, შენ შვილსაც, სხვებსაც... ამდენი ხარჯი...

— განა ხარჯებსა და ფულებზე ვლაპარაკობ?!— იწყინა რამინმა, რომ ასეთ შეგნებულ ქალს, როგორც ესმია, თავისი აზრი ვერ გააგებინა.— მე საქმის გაკეთებაზე ვამბობ. ვარ მე პენსიონერი? კეთილი და პატიოსანი. მაძლევს სახელმწიფო საარსებოს, არ მშობი და არ მწყურია, მაგრამ უსაქმოა მაწუხებს. მოდი და, შენ რომ უფროსი ხარ, ჩემი სურვილის მიხედვით მომეცი საქმე. დამავალე, რამე გამაკეთებინე. არ გთხოვ ამისათვის გასამრჯელოს, კმაყოფილი ვარ ჩემი პენსით, მაგრამ...

— ვთქვათ, ყაბულს გახდენ, რა მოვალეობის შესრულებას იკისრებდი ამ ხნის კაცი? რით იქნებოდი კმაყოფილი და მადლიერი?— სიყვარულით ახედა ესმამ განუყრელ მეგობარსა და საყვარელ ქმარს.

— რას ვიკისრებდი? რით ვიქნებოდი მადლიერი და კმაყოფილი?— გაიმეორა რამინმა და წუთის შემდეგ უპასუხა.— თუ ნებას დამრთავენ, ჩემი შემცვლელი შვილის გვერდით დავდგე და ჩემი ცოდნა წამოვაშველო. თუ ჩემს ძალასა და ენერჯიას გამოიყენებენ, თათბირებსა და კრებებზე დამისწრებენ და საერთო საქმიდან არ გამომთიშავენ... სხვა მე რა მიინდა? იცი, ესმა, რა ძნელი არის უსაქმოდ იყო ის ადამიანი, რომელიც მუშაობასა და საქმეში გამოიჭედე და დაეუკაცდი?— რამინმა ხელებზე დაიხედა.— ჯერ კიდევ არ მოდუნებულან. კვლავ ბევრი საქმის გაკეთება შეუძლიათ.

ესმას შეებრაღა ქმარი.

— შენ მართალი ხარ, მაგრამ არა მგონია არ გავიჩინონ ისეთი საქმე, რომელსაც შეძლებ.— უთხრა მან მშვიდად და სთხოვა მოესვენა.

— დაგიჯივრებ, დაეწვები.— ჩაილაპარაკა ცისკარაძემ.— ჰო, ხვალ ჩვეულებრივ აღრიან უნდა ავდგე.— დაუმატა და კმაყოფილი საძინებელ ოთახში გავიდა.



შაქვა შუბლაძე

ოქტომბერი

როცა შენზე ლექსის პწკარით
შე სიმღერას ვბედავ.
მყისვე თვალწინ პირმღიმარი
დამიდგება დედა.
და თვითონვე მართავს თითქოს
ჩემი ლექსის პწკარებს.
ეწერ და ჩასვლას აღარ ფიქრობს
არც მზე, აღარც მთვარე.
ათასი მზით რომ აინთოს
პაწწინა ლექსი,
გულს მაინც არ ყოფნის სიტბოდ,
უნდა უკეთესი.
ოქტომბერი!
სიყვარულის
სიმფონიად ისმის,
ბოროტების დასასრული,
ძმობის დასაწყისი.
ოცნებაო ყველა დროსი, —
შამისა და პაპის,
შენ ლენინის მოხველ დროშით
და „ავრორას“ ზალპით,
იმ დროიდან იადონი
ვარდზე ლამეს ათევს.
მტკვარცა და ვოლგა-დონიც
ბედს უმღერის ნათელს.
უდაბნონი, ყამირები
კვლავ სტირიან განა?
თავმორთულნი ყვავილებით

პატარძლებსა გვანან.
 ტაშს უკრავენ შინ და გარეთ
 ამ ბედნიერ დროსა,
 მოვარეზეც კი მივიტანეთ
 გამარჯვების დროშა.
 მტერს გაუსკდა ბრაზით გული,
 თავს დაეცა ზარი,
 როს იხილა ხელოვნური
 მიწის თანამგზავრი.
 ჩვენ ვეკუთვნით
 მოდგმას გმირთა,
 ძალაც შეგვწევს ბრძოლის,
 ყველა ხალხის ძმობა გვინდა
 და მშვიდობა ყოვლით.
 იმედს ვთესავთ ყველას გულში,
 მტრობას არ ვინდომებთ,
 სამუდამოდ გადავუჭრით
 გზებს სისხლისმღვრელ ომებს.
 ოცნებაო ყველა დროსი,
 კაცთა გასახარად
 სიყვარულის ნათელ დროშით
 ასე გველოს მარად.

სულხან-საბას

მარმარილოს ქვით ნათალი,
 სახით მშენიერი,
 ალალი და გულმართალი
 როგორც შენი ერი.
 გული რაღამ გაამთელოს
 იმ ტკივილზე ჭავრით,
 მკერდზე გეკრა საქართველო,
 ვით იესოს ჭვარი.
 მისთვის ენა დანამშვენი,
 სიტყვა საოცარი,
 საქართველო იყო შენი
 წმინდა სალოცავი.

არ დაგღლია მისთვის მკლავი,
 ჭედლი ძმობის ანბანს
 სულერთია ვინ იყავი,—
 სულხანი თუ საბა.
 ღრმ უქმად არ ჩავიარა
 კაცს ბრძენსა და მამაცს,
 ერმაც ერთხმად გაღიარა
 საქართველოს მამად.
 შენებრ მწარედ ვის ეცოცხოს
 უგვანო თუ მტერი.
 და რა მოგკლავს, ვიდრე ცოცხლობს
 ქვეყნად შენი ერი.



შოთა რუსუა

ოქტომბრის დილა... მამის ღიმილი...

როცა ოქტომბრის დილა თენდება,
 ყოველთვის ის დღე გამახსენდება.
 ერთი კარგი დღე
 სიყრმის დღიდანა,
 გამორჩეული ლამაზ ფერითა,
 მარად სასოვრად
 დამრჩა თარიღად,
 როცა მშობლიურ,
 სათნო ღიმილით
 მამამ ალაში
 შინ მომიტანა
 და მითხრა: ხვალე ოქტომბერია,
 სოფლის ზეიმზე
 მე შენ წაგიყვან!
 ის ღამე იყო
 ღამე უგრძესი,
 და როგორც იქნა.
 მაინც გათენდა.
 ოქტომბრის დილა,
 მამლის ყვილი,
 გაღვიძებული მამის ღიმილი,
 და მეწამული ჩემი ალაში,
 ყოველთვის ერთად,
 ყოველთვის ერთად გამახსენდება,
 როცა ოქტომბრის დილა თენდება.
 მაშინ მეგონა ქვეყანა ვნახე,
 ვნახე მსოფლიოს ხმები მქუხარი,

მეგონა ყელზეც დროშა ეკეთათ.
 — მეც ამიყვანე, —
 მამას ვუთხარი, —
 თორემ ოქტომბერს
 კარგად ვერ ვხედავ!
 ეს ყოველივე გამახსენდება,
 როცა ოქტომბრის დილა თენდება.
 და როცა ის დღე გამახსენდება,
 ოქტომბრის დილა,
 მამლის ყვილი,
 ჩემი ალაში,
 მამის ღიმილი,
 ხალხის მდინარე,
 სოფლის ზეიმი...
 გამახსენდება...
 დღეს კი ოქტომბერს
 კრემლის კედელთან
 შევხვდი და ყველგან
 ოქტომბერს ვხედავ.
 და როცა ეს დღე გამახსენდება,
 ჩემი პირველი ზეიმის დილა,
 ასე მგონია. ეს დღეს ის არი,
 ოღონდ გაზრდილა
 ეს ყოველივე
 და მეც გავზრდილვარ.
 კრემლზე რომ დიდი
 დროშა გაშლილა,
 ვფიქრობ — ალაში ჩემი

გაზრდილა.
მზეც თითქოს არის —
მამის ღიმილი,
კურანტთა ჟღერა —
მამლის ყვილი.
და მოზვიმე ქვეყანა მთელი —
ჩემი სოფელი!..

ასე გაზრდილა
მაშინდელი დღე.
ასე გაზრდილა მთელი ქვეყანა!
და თითქოს იმ დღეს,
მამამ ზეიმზე
დამტოვა,
სახლში არ წამიყვანა!

რუსთველის ქუჩა მოსკოვში

მოსკოვში ქართველს
ახარებს, უნდა დაიმასხოვროს,
მაგრამ სხვა არის, თუ მოსკოვში ხარ
და რუსთაველის ქუჩაზე ცხოვრობ.
მეც სულ სხვა ეშხი მინთებს ამ

სტრიქონს,

ვამბობ ამაყად და არა კვენით,
იქნებ პირველი ქართველი ვიყო,
ვინც ამ ქუჩაზე შემოვდგი ფეხი.
რუსთველის ქუჩა,
მეცხრე ნომერი,

ლიტინსტიტუტის მაღალი სახლი.
აქ ვცხოვრობთ ერთად,
მყუდრო ცხოვრებით
შვილნი სხვადასხვა ქვეყნის და
ხალხის.

არ გაუვლია აქ რუსთველს, არა,
არ ახსოვს მისი ფეხი ამ მიწას,
მაგრამ სახელი უწოდა ხალხმა
და ქუჩა ძმობის სიმბოლოდ იქცა.

ვლენოსის ძმობილს —

პოეტ ანთოსს

აქ ჩამოვართვი პირველად ხელი,
სპასე, კადარე — აღბანეთიდან
ამ მისამართზე იღებენ წერილს.

ვის ნახავ უფრო ვაჟკაცურ გრძნობით,
სულით სპეტაკსა და გულით წმინდას,
როგორც თურქმენი ატაჯანოვი
და სულთანოვი დაღესტნის მხრიდან.

კუზნეცოვი და რეუტსკი ჩვენი
მე იმთავითვე მივიღე ძმებად.

და ვალოდია ჟუკოვის წრფელი
გული არასდროს დამავიწყდება.
რუსთველის ქუჩა, მეცხრე ნომერი,
ლიტინსტიტუტის ლამაზი სახლი,
აქ ვცხოვრობთ ერთად,

ლალი ცხოვრებით

შვილნი სხვადასხვა ქვეყნის და
ხალხის.

არის მოსკოვში რუსთველის ქუჩა,
მისთვის მოსკოვი დღეს მეტად მიყვარს.



მორა მორეპეკი

მ ზ მ რ ა

მოედანთან, ლენინის ქუჩაზე, თეთრი სამსართულიანი შენობა დგას. ამ სახლის მეორე სართულზე მე ვცხოვრობ. ეს ბინა ბაბუამ მიიღო ორიოდე წლის წინათ, როცა ფანერის ქარხანაში მუშაობდა. ამჟამად ბაბუა პენსიონერია. სულ ახლახან შეუსრულდა ოთხმოცი წელი. მხრებში ოდნავ მოხრჩილი, ჩია კაცია. თეთრი წვერი კოხტად აქვს შეკრეჭილი. სანამ ლაპარაკს დაიწყებდეს, ჩაახველებს ხოლმე, წვერზე ხელს ჩამოისვამს და დინჯად წარმოთქვამს — მდაა... ეს იმის ნიშანია, რომ რასაც იტყვის, სრული ჭეშმარიტებაა. მე მას ძლიერ ვუყვარვარ. პატარა რომ ვიყავი, ზღაპრებს მიყვებოდა. უჩემოდ ქუჩაში სასეირნოდ არ გავიდოდა. ჩვენ ქუჩას ხელიხელჩაკიდებული მივყვებოდით ხოლმე და ბაბუა მიაშობდა სად რა სახლი იდგა და ვინ სად ცხოვრობდა. რევოლუციამდე ქალაქის იმ მხარეს, სადაც ახლა ჩვენი სკოლაა, ბაზარი ყოფილა. ამ უბანში თურმე ხელოსნები ცხოვრობდნენ...

ბაბუა თავდაპირველად აკვნის ოსტატი ყოფილა, მაგრამ შემოსავალი იმდენად მცირე ჰქონია, რომ ოჯახს ძლივს ინახავდა. ამიტომ მამაჩემს მტვირთვად დააწყებინა მუშაობა, თან თავის ხელობას ასწავლიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბაბუა არტელ „ავეჯში“ გადასულა, შემდეგ ფანერის ქარხანაში. მამაჩემიც თან გადაუყვანია. შემდეგ მამას უსწავლია და ინჟინერი გამხდარა.

მამა სამამულო ომში დამელტა.

ახლა სახლში მე, დედა და ბაბუა ვართ. დედაჩემს თუმცა თმა გაუჭაღარავდა, მაგრამ მაინც გამრჯე, ჯანსაღი ქალია. საბავშვო ბაღში მოანგარიშედ მუშაობს. ბაბუაზე არანაკლებ ვუყვარვარ. განსაკუთრებით მსიამოვნებს, როცა მკლავებს მომხვევს და მკოცნის.

საშუალო სკოლა ამ სამი წლის წინ დავამთავრე. გარჯას პატარაობიდანვე მივეჩვიე. თავისუფალ დროს რაღაც უნდა მეკეთებინა. სახლში სამი დაბალი სკამი რომ გვაქვს, სამივე ჩემი გაკეთებულია.

— ჩემი ზურიკო ხელმარჯვე ბიჭია, ყველაფერს აკეთებს.— მაქვზებდა ბაბუა.

ეს იყო წინათ. ახლა ბაბუა ზურიკოს აღარ მეძახის. როცა დასჭირდებოდა, როგორც თანატოლს, ისე მომხმობს ხოლმე—„ზურაბ, მოდი აქ!“ ან „ზურაბ, გააკეთე ეს“— და მეტყვის რაც უნდა გააკეთო.

ერთხელ, სიმწიფის ატესტატზე გამოცდებისათვის რომ ვემზადებოდი, ოთახში ჩავიკეტე. ჩემს საწერ მაგიდაზე უამრავი წიგნი და რვეული ელაგა. ორ დღეს გარეთ არ გამოვსულვარ.

ოთახში ბაბუა შემოვიდა. ჯერ მშვიდად შემათვლიერა, მერე თვალებში არ შემოუხედავს, ისე მითხრა:

— სადაცაა სიმწიფის ატესტატი უნდა აიღო და რას აპირებ?.. სად გინდა სწავლა განაგრძო?

მისი სერიოზული კილო ჩემთვის მოულოდნელი იყო. პირველად დავიბენი. მართალია, ბევრჯერ მიფიქრია ავტონიუნიერი გამოვსულიყავი, მაგრამ ეს ხომ ჩემი საკუთარი სურვილი იყო და ამასთანავე იდუმალი.

ბაბუამ მეტყველი თვალით შემომხედა.

— არ ვადაგიწყვეტია?.. თქვი, რომელი დარგისკენ მიგიწევს გული?

მე ისევე ვდუმდი. ასე არასოდეს გაეწითლებულვარ. გოგონასავეით დავიმორცხვე და თითებს დავუწყვე წვალეზა.

— ვფიქრობ, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— არ ვიცი ჩავაბარებ თუ არა მისაღებ გამოცდებს.

ჩემი პასუხისა თვითონვე შემრცხვა. მაშასადამე, თავის იმედი არ მქონია. ბაბუამ სწორედ ეს შემნიშნა და მკაცრად შემომხედა.

— არა, — უმალვე ვუთხარი მე, — თავის იმედი მაქვს, გამოცდებს უთუოდ ჩავაბარებ...

— რა სპეციალობა ავირჩევია?

— თბილისში მინდა გამოცდები ჩავაბარო, ავტოსაინჟინროზე.

ბაბუა დაფიქრდა. წვერს თითებით ივარცხნიდა და დიდხანს ხმა არ ამოუღია. შევატყვე, რალაც აწუხებდა, იშვიათად თუ მინახავს იგი ასე დაღვრემილი. შემეცოდა, კინაღამ დავიყვირე: არა, ბაბუ, მე არსად არ ვაპირებ წასვლას, სულ შენთან ვიქნები.. მან ოთახში გაიარ-გამოიარა. მე უეცრად ყურადღება მის ჩაცმულობაზე გადავიტანე. თეთრი ტილოს ხალათი და შარვალი ეცვა. ძალიან უხდებოდა.

— კარგი აზრია. შეილო.— მითხრა მან და ხელით ჩემს საწერ მაგიდას ჩამოეყრდნო,— მაგრამ უკეთესი იქნებოდა სადმე აქ დავეწყო მუშაობა და სწავლა დაუსწრებლად გაგაგრძელებია, თუგინდ ავტოსაინჟინროზე.

მართალი რომ ვთქვა, ბაბუას დარიგება ვიუკადრისე. მუშაობა და სწავლა ერთად მესირცხვებოდა თავიდანვე და ბევრს კიდევ დავცინოდი ამის გამო. მე ჩემი თავმოყვარეობა მქონდა. ბევრი ჩემი ამხანაგი თბილისში მიდიოდა და მე მათ ჩამოვრჩებოდი? არა... რა გამიჭირდა, კიდევ ვიმუშაო და კიდევ ვისწავლო.

ხმა არ ამომიღია.

— თუ გინდა კარგი მომავალი გქონდეს, ასე სჯობს, შეილო, შრომა აქედანვე შეგიყვარდება, გამოცდილებას მიიღებ.

— არა, ბაბუ,— ცოტა მკვანედ წარმოვთქვი,— დასწრებულზე უკეთესია. უფრო განათლებული კაცი გამოვალ, მე დასწრებული მინდა.



ბაბუამ პირი მომარადა. შევეტყვე, პასუხი არ ესამოუნა. ოთახიდან წავი-
ვიდა. არ ვიცი, რას ფიქრობდა, ან რა შთაბეჭდილება შეექმნა ჩემზე, მხოლოდ
ცხადი იყო — ახრი არ მომიწონა. მე წიგნი დავხურე და ჩავფიქრდი. ოთახში
დედა შემოვიდა. მან ყველაფერი გამომკითხა და მითხრა:

— ნუ სწუხხარ, შვილო, ერთი მყევხარ და, ღმერთმა ნუ ქხას, უძაღლესი
სასწავლებელი არ დაგამთავრებინო. მინდა ექიმი გამოხვიდე...

იმ დღიდან სწორედ დედამ შთამინერგა სამედიცინო ინსტიტუტში შესვ-
ლის სურვილი. ეს ბაბუამ არ იცოდა. არც მე მითქვამს რაიმე, რადგან გულთ
არასოდეს მიფიქრია ექიმობა. სასაცილოდაც არ მყოფნიდა, დედა კი გატაცე-
ბული იყო.

სიმწიფის ატესტატი სახლში რომ მივიტანე, პატარა მაგიდა გაშალეს. ახლო
მეზობლები მოიპატივეს. დიდი სიხარულით აღნიშნეს ცხოვრებაში ჩემი ახა-
ლი ნაბიჯის გადადგმა. მე კმაყოფილი ვიყავი უფრო იმით, რომ თბილისში წა-
ვიდოდი.

სტუმრები რომ წავიდნენ, ბაბუამ მითხრა:

— ნუ აჩქარდები. ზურაბ, სადაც მამაშენი და მე ვმუშაობდით, თუ იქ არ
გინდა, მაშინ მანქანათსაშენ ქარხანაში მოეწყვე. ასე აჯობებს.

დედა სასტიკი წინააღმდეგი იყო.

— რატომ ვამუშაოთ ბავშვი, როცა ისედაც სუსტია.
გამიხარდა.

— ბავშვის მომავლისათვის ეს უკეთესია. — უთხრა ბაბუამ.

— ისეთი არაფერი გვიკერს, ბავშვი რომ ვამუშაოთ და კიდევ ვასწავ-
ლოთ. თანაც ჩემი ზურაბი ექიმი უნდა იყოს.

ბაბუამ მკაცრად შეხედა.

— ბიჭს ის ვასწავლოთ, რაც უფრო ეხერხება.

— რა იცის ბავშვმა, რა სჯობია.

პირველად ვხედავდი, დედამ ბაბუას უკმეხად რომ მიმართა. ბაბუამ დაუთ-
მო. მე უმაღლეს დედას მივემხრე. ოღონდ თბილისში წავსულიყავი და სულ ერ-
თი იყო, ექიმი ვიქნებოდი თუ ინჟინერი.

იმავ დამეს გადაწყდა, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარებდი მი-
საღებ გამოცდებს.

* *

სახლში გაწბილებული დავბრუნდი. მეორე გამოცდაზე ისტორიაში ჩავი-
ჭერი. დედამ გამამხნევა, გულს ნუ გაიტეხ, მომავალ წელს ჩააბარებო. ბაბუა
მოწყენილი შემხვდა, ხმა არ გამცა. ხოლო ნაცნობებში ხმა დავავადე, ერთი
ქულა არ მეყო, თორემ ჩავირიცხებოდი-მეთქი. და მეცადინეობას შევეუდექი.

ბაბუამ ისევ გამაფრთხილა, მუშაობა დაიწყეო.

დედა კი კვლავ მირჩევდა, სწავლა განაგრძეო.

ჩვენს კამათს დედა შემოესწრო.

— იმეცადინე, შვილო, გულს ნუ გაიტეხ, — მითხრა მან.

მხოლოდ სამ თვეს ვმეცადინეობდი, მერე წიგნები გვერდზე გადავდე, გა-
ვიფიქრე, ჯერ კიდევ ადრეა, შემდეგ მოვემზადები-მეთქი. დილიდან საღამომ-
დე პარკში ვიყავი. იქ ნაცნობი ბიჭები თავს ვიყრიდით და ვმასლაათობდით.

ფიჭვის სუნით გაყვნილი ნიაგი სახეზე გველამუნებოდა. მე პაპროსის წვევა დავიწყე. ერთი ამხანაგი მუდამ თავის ამბავს გვიყვებოდა. იგი მესამედ ჩაიჭრა მისაღებ გამოცდაზე...

ერთ საღამოს, პარკიდან დაღლილი რომ დავბრუნდი, ბაბუამ კვლავ გამაფრთხილა, მუშაობა დამეწყო.

ჩვენს საუბარს თურმე დედა ისმენდა. დილით მან გამაფრთხილა. იქნებ ბაბუა მართალია, იქნებ მუშაობის დაწყება სჯობსო. მეწყინა, საერთოდ ბოლო ხანს ნებისყოფა მღალატობდა, ხმადებლა ლაპარაკი არ შემიძლო. ახლაც ხმას ავუწიე.

— სწავლა მინდა, ხელი შემეწყვეთ.— დავიყვირე მე.

დედა დეღავდა, ვხედავდი, შიშველ მკლავებზე კუნთები რომ უკანკალებდა. შემეცოდა, წასვლა დავაპირე.

— სად მიდიხარ?

თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე.

მე ხელი ჩავიქნიე და კარი ცხვირწინ მივუხურე. საღამომდე პარკში ვიყავი, სახლში გვიან დავბრუნდი. კარებთან ლაპარაკი შემომესმა.

— ასე არ შეიძლება, ბავშვი უსაქმობას დაეჩევეა, — ამბობდა ბაბუა.

— ვიცი, ვიცი. — თქვა დედამ, — ჩემი ბრალიცაა, მაგრამ ვაცალოთ კიდევ.

— სადამდე, აბა მითხარი სადამდე?.

— ორი თვე დარჩენია... მერე თბილისშია წასასვლელი.

ის ორი თვე შეუმჩნევლად გავიდა. თბილისში წასასვლელად მომამზადეს, გააცილეს და გზა დამილოცეს.

* *

ნაცნობებში ისევ ხმა დავაგდე, ერთი ქულა არ მეყო-მეთქი.

ოთახში ჩავიკეტე. როგორც გავიგე, ის მაღალი ბიჭი ჩემს დღეში ყოფილა. მხოლოდ მას მეორე დღესვე მუშაობა დაუწყია.

ერთ საღამოს ბაბუამ მიმიხმო. იგი თუთუნს აბოლებდა. მაშინვე ვიგრძენი, კარგს არაფერს მეტყუოდა.

— ახლა რაღას აპირებ.— მკითხა ბაბუამ.

ისტებიარი არ გავიტეხე.

— წელს უკეთ მოვემზადები და მომავალ წელს ჩავაბარებ.

— შენ ახლა დიდი ხარ, გონს მოდი, ძველი გზა არ გამოგადგება.

იგი წარბშეკრული მიყურებდა. ჩემი ცლა ამაო იქნებოდა, უნდა დავყოლოდი. დედა შუაქარებში იდგა. სიტყვა; არ უთქვამს, მაგრამ თვალებგაფართოებული გვიცქეროდა. უცდელა, თუ რა პასუხს ვავცემდი ბაბუას. ცხადია, მე აღარ მომემხრობოდა.

— მოლოქრე, სად გირჩენია მუშაობა! — მკაცრად მითხრა ბაბუამ.

მაგრამ მუშაობაზე მაინც არ დავთანხმდი.

შემდეგი სამი დღე ოთახში გამოვიკეტე. არ ვჭამდი, არ ვსვამდი. მესამე დღეს დედას ვუთხარი.

— ვიმუშავებ და დაუსწრებლად ვისწავლი-მეთქი.

საბრალო დედა... როგორ გაუხარდა!

— ასე სჯობს, შვილო, ასე სჯობს.— მეუბნებოდა იგი და მეკვროდა.



მე შევხედე მის ლაწვეებს, რომელზეც კურცხალი დაცურდა, მანქანის
 თმას, თვალებს და ვიგრძენი, როგორ დავტანჯე ჩემი საბრალო დედა...

ორშაბათ დილით მე და ბაბუა მანქანათსაშენი ქარხნისაკენ მივაბიჯებდით.
 ბაბუ გახარებული იყო. მაგრამ არ მელაპარაკებოდა.

გავიდა ერთი წელი.

დაუსწრებლად ვსწავლობ. ბაბუა ისე მეპყრობა, როგორც ტოლს. ხანდა-
 ხან მხარზე ხელს დამკრავს და მეტყვის:

— როგორ ხარ, ჩემო ბიჭო, ხომ კარგად მუშაობ?

მე თავს თანხმობით ვუქნევ.

ბოლო დროს ისე დამიმეგობრდა, დაფარული არაფერი გვაქვს. ერთხელ
 ისიც კი მითხრა:

— შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ, ქალიშვილებისაკენ ხომ არ გაგირბის თვა-
 ლი, ა?..

შემრცხვა და თავი დავხარე, თუმცა გულში ჭაბუკურმა ცეცხლმა შემი-
 ლიტინა.

ახლა სადამოობით ოთახში ჩაკეტილი ვარ და ვმუშაობ. ბაბუამ იცის, თუ
 რაზე ვმუშაობ, მაგრამ არაფერს მეუბნება. ერთ-ორჯერ ყური მოვკარი, კარებს
 იქით რომ ჩაილაპარაკა, ცოდოა ბიჭი, კარგი იქნება რომ გაუმართლებდესო.

მჯერა: გამიმართლებს.



ჯამბე ჯაყერი

ჭ ი ა თ უ რ ა ს

სადგური...

ქალაქი..

აქ ვინ ვის აცილებს,
აქ ვინ ვის ხედება და
ბაგე ღიმს არ აქრობს.

არ გიცნობ, დავდივარ,
თვალეებს ვერ გაცილებ,
მომწონხარ ქალაქო,
ო, მთების ქალაქო!

შენ იქნებ იგრძენი, რომ მომყვა

სურნელი

აჭარულ თამბაქოს, ოქროვან ბაღების,
მე შენი ტრფიალით ვარ განუკურნელი.
მიწის წიაღით და

ლაქვარდის თაღებით.

მე შენი ხევის ქარს არ გავეურჩები, —
დავივლი აქ ყოველ უბნამდე
უბნიდან.

მწამს შენი ნათელი, ლამაზი ქუჩები
მოდიან, მოდიან მაღაროს უბიდან.

მოდიან და მოაქვთ სიმდიდრე ქვეყნისა.
ივსება ბარაქა, ვით მთების ალალი.

სალამი ქალაქო, რომ შენი მერმისი

ასე ნათელია და ასე მაღალი,
სალამი ქალაქო, რომ შენი შვილები
მნგრეველის სახელით მომავალს აგებენ.
დიდება! —

რომ გშვენის ეგ მხარგაშლილობა,
მასპინძლის ნათელი რომ შემომავებე.

დიდება! —

რომ ასე შენდები, ირთვები
და ამით მომავალ
დღეებს რომ აშენებ.
გამშვენებს ქედები,
ბორცვები, მინდვრები
და შავი ყვირაღაც
მტკვარივით გამშვენებს.
სალამი ქალაქო,
რომ შენი კედლები
ჯერ კიდევ ნედლია
და დგანან ტინებად.
ამ ჭიათურაში ეს გასახედები
რა ხელმა აშენა,
რა გულმა ინება,
რა მაჯამ გაუძლო
სანგრევის დაწოლას,
რა შუბლმა აზრივით აშუქა ნათურა,
მალარო გათხარა,
ხეობა მოზომა
და სთქვა,
ეს არისო ქალაქი ჭიათურა.

* * *

დიდება ქალაქო,
უთბილეს, უნაზეს
ცხოვრების მფეთქავი გული ხარ,
ნერვი ხარ.
დიდება, რომ ჩვენი პლანეტის რუკაზე
სიმდიდრის ქალაქის სახელით სწერიხარ.



გიორგი სანაღიკაძე

ეჭვის ნამცხვრი

ცინდალი ძალზე პატარა იყო და სასაცილო. დასდევდა ჩრდილს, ფეხსაცმლის ზონარს, კაბის ქამარს და, წარმოიდგინეთ, საკუთარ კუდსაც კი. ყოველთვის, როცა ქმარი იგვიანებდა, ეს ჭრელი ცინდალი აქცევინებდა მარინეს თავს. მაგრამ დღეს წამითაც არ მოუხედნია მისკენ. იჯდა ჩუმად, მკლავებს დაყრდნობილი და წვიმით დასველებულ ქუჩას გაჰყურებდა.

ცინდალი ერთხანს კიდევ დაფაცხუნობდა, მერე, ყურადღება რომ არავინ მიაქცია, აიბუზა, კუდის ქიციანით გაძვრა სკამის ქვეშ და მიუყჩღა. ოთახში თბილოდა. მარინემ დაინახა მუქი ღრუბლებით გამურული ცა და გააყრყოლა. მერე სინათლე აანთო და ფარდა ჩამოუშვა.

— რა მოწყენილი საღამოა, როგორ ზანტად გადის დრო...

უნებლიედ სარკეში ჩაიხედა.

თვალი შეავლო ნატიფ მკლავებს, ლამაზ, უკვე ოდნავ გაცრეცილ სახეს და ცალკუბად ჩაიცინა: „შენ კი იჯექი, ელოდე“...

მან იცოდა, რომ ლევანი მშენებლობაზე რჩებოდა ასე გვიან. ისიც იცოდა, რომ იქ ყველაფერი რიგზე არ იყო. მაგრამ მას რა, მას ხომ არაფერი დაუშავებია? ბრაზობდა. ყოველი წვრილმანი აღიზიანებდა. რაღაც დარდი უღრღნიდა გულს და მოსვენებას უკარგავდა. იგი არაერთხელ შესწრებია ვაფთრებულ ლევანს, რომელიც ტელეფონით ედავებოდა მომპარაგებელ განყოფილებებს. ყვირილიც გაუგონია, აგურის მოწოდება რატომ შეწყვიტეთო. მარინეს ეს არ აინტერესებდა. ჩვეულებრივ, თავის საყვარელ ადგილას, სარკემლთან მოყუყულიყო და კითხულობდა. იყო შემთხვევა, როცა ლევანი ძლიერ აღელვებული მოსულა სახლში და, თუმცა მთელი დღის ნაშიშშილგვი იყო, მაინც უხალისოდ შეექცეოდა სადილს. დროდადრო ფერშეცვლილი ამოუხედავდა დიდი და ნათელი თვალებით.

— წარმოგიდგენია, — ამბობდა იგი, — კუთხის მოპირკეთება დავიწყეთ. თურმე ფილა უვარგისია, კალატოზები დავობენ, ასე როგორღა ვიმუშაოთო...

ქალი ყოველთვის გაფანტული ყურადღებით უსმენდა ლევანს. ყველაფერზე უქნევდა თავს და ფიქრობდა, ალბათ, საშინლად გაუჭირვა საქმე ამ მოსა-

ბირკეთებელმა კუთხეებმა და ფილებმაო. სწყინდა თახაც — სულ გადავიწყობდიო. მაშინ ლევანი წყვეტდა წუწუნს და დამნაშავესავით გაიღიმებდა ხოლმე. მაბატიე, კარგო, მაბატიე, თავი შეგაწყინე, ალბათ...

— არა, რატომ... მე გისმენ,— ამბობდა ქალი და უყურებდა ქუჩას. ქუჩაში ალვები კენწვროებს არხედნენ და შეყვითლებული ფოთლები ტრიალით ცვიოდნენ მიწაზე.

— აჰ,— ამოიხზრა ქალმა და წიგნი გადადო.

კედლის იქით სევდიანად ჟღერდა როიალი. მეზობლის ბიჭი უკრავდა. მარინე არაერთხელ შეხვედრია მას, ფართომხრებიანია, ჭიოტა ლოყებზე ღიმილი უნთია და თმა მუდამ ჩამოშლილი აქვს.

კარებზე დააკაკუნეს.

ეს იმ ბიჭის დედა მოვიდა თერმომეტრისათვის.

— ღმერთო ჩემო, ხუთი ცალი მქონდა, დიახ. ხუთი ცალი, მაგრამ...

— სადმე გადაინახედით და დაგავიწყდებოდათ.

— მეც აგრე ვფიქრობ, მაგრამ როცა გინდა, იპოვი?

მეზობლის ქალი გამხდარი იყო, მაგრამ სანდომიანი სახე ჰქონდა. მან თვალს შეავლო მაგიდაზე დაწყობილ თევზებს და ჩუმად, სულ ჩუმად, თითქოს თავისთავს ეკითხებოდა:— არ მოსულა?

— არაო,— თავი გაუქნია მარინემ.

— ახლანდელი ქმრების არაფერი მწამს, დია! დაიღუპოს მავათი თავი.

— რა ვუყოთ, ასეთი სამუშაო აქვს, დეიდა ელისაბედ.

— სამუშაო? — დაეკითხა ელისაბედი,— შენ არ მუშაობ თუ? შენ ხომ წოდდი სამუშაოდან?..

— მშენებლობა მაინც სხვაა, აქ კიდევ კვარტალის ბოლომაც მოატანა.

— შეიძლება,— თქვა მეზობლის ქალმა. მერე სული დაითქვა და რომელიღაც ოჯახის ამბავს მოჰყვა.— ქმარიც ასე იგვიანებდა. დია, მერე ღამეც აღარ მოსულა და...

მარინე მიუხვდა. ნაძალადევად გაიღიმა და წამოდგა. წამოდგა ელისაბედიც.

— იღბალს ვერსად გაეჭყევი, დია,— თქვა მან. მერე ფრთხილად გამოადო კარი და უკვე დერეფანში მობრუნდა:— შენ კი დაურეკე... აიღე ტელეფონი და დაურეკე. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ხო იცი...

„ესეც კიდევ ახალი ამბავი!“— იწყინა მარინემ. მერე კარგახანს იდგა კარებთან. ესმოდა როიალის სევდიანი ჟღერა და ამან კიდევ უფრო ცუდ ხასიათზე დააყენა. აქამდე მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ ლევანს მისი მოტყუება შეეძლო, მარინეს ახლაც არ უნდოდა ამის დაჯერება, მაგრამ შინაგანი ხმა არ ასვენებდა. იგი საწერ მაგიდასთან მივიდა, მერე ყურმილს დაადო ხელი და გაიტრუნა. ცივი იყო ყურმილი. აიღოს? ამის დრო არაა ახლა. სისულელეა ეს ყველაფერი. უბრალოდ, ძლიერ უნდოდა გაეგონა ლევანის ხმა, ისეთი ტკბილი, სასიამო, მაგრამ ახლა ეს არ შეიძლებოდა, სწორედ ამ წუთს არ შეიძლებოდა აეღო შილაკი.

ერთბაშად მოსცილდა მაგიდას.

რვა სრულდება. ლევანი კი არა ჩანს და არა.

— მერე რა, წინათ ხომ ათ საათამდეც დალოდებია.

სამზარეულოში გავიდა. საქმეს გულს გადავატანო. გული მაინც ვერ და-
იმშვიდა.

არასოდეს ყოფილა ასეთ გუნებაზე, არასოდეს.

ტელეფონს დასწვდა და... ერთ წამს საკუთარი გულისცემა ესმოდა მხო-
ლოდ, მერე მშენებლობის კომუტატორი გამოეპასუხა.

— სთხოვეთ ბაქრაძეს, — თავისივე ხმა ეუცხოვა.

იგი მაგიდას მიყრდნობილ იდგა, მთელი ტანით თრთოდა.

— ალო! — მან მაშინვე იცნო ეს ხმა, ტყბილი, ხავერდოვანი...

წამით იყუჩეს, მერე ლევანმა შეშფოთებით იკითხა:

— ხომ მშვიდობაა?

— რა თქმა უნდა. — იგრძნო, რომ სათქმელი შემოვლია. ძლივს განაგრძო:

— ისე დავრეკე. მინდოდა გამეგო, როგორაა თქვენთან საქმე.

— მოიცა, — თქვა ლევანმა. — ამისთვის დარეკე? მაშ, ამისთვის დარეკე?

— ნუ ცხარობ, კარგო. — თქვა მარინემ. — მე მინდოდა დაგლაპარაკებო-
დი, ისე... უბრალოდ... გავიგე?

— ვერაფერი ვერ გავიგე.

— ეჰ, შენ...

ისევ დუმილი. ამჯერად უფრო ხანგრძლივი. მერე ვაჟმა ვაიცინა და მარი-
ნესაც გაუბრწყინდა სახე, „მეგონა, არც კი გაინტერესებდაო“.

— მე? — თქვა ქალმა. — მე ყველაფერი მაინტერესებს. — აგურიც, ფილაც.
მოპირკეთებაც...

— გესმის, — თქვა ლევანმა, — აგური უკვე მივიღეთ. უნდა ნახო, როგორ
უხარიათ ბიჭებს. გეგმას ხომ აგურის გამო ვერ ვასრულებდით. ახლა კი... მოკ-
ლედ, მალე სახლში მოვალ და გიამბობ...

მარინემ ყურმილი დაჰკიდა. მერე თვალზე აბრწყინებული კურცხალი შე-
იმშრალა. კარგა ხანს იყო ასე, გარინდული. იმ წუთს სინდისის ქენჯნას განიც-
დიდა. თავისი საქციელისა რცხვენოდა თითქოს. სახე აუჭარხალდა. მერე მობ-
რუნდა, სამზარეულოში გავიდა და განჯინა გამოაღო. „მალე ლევანი მოვა,
დადლილი იქნება, მშიერიც, მე კი ჯერ არაფერი მომიშაადებია“

როცა სუფრას შლიდა, თვალი მოკრა ჭრელ. კუდაპრებილ და წოაწოა
ყურებიან ცინდალს. იგი სავარძელში მოკუნტულიყო და თვლემდა.



თენგიზ ჩაბიშვილი

მ ა მ ა ს

არა, არ ვიტყვი მე შენზე: მოკვდა,
არა, არ დავლევ შენს შესანდობარს —
შენი სიკვდილი სიცოცხლეს მოგავს,
გიგონებ როგორც წასულ მეგობარს,
დღეს რომ არა და ხვალ დაბრუნდება.
მე შენი სახის ცეცხლიც მეყოფა
და შენი გულის აგუგუნება.
ჰამაგ! ვერ შევძელ მე შენს საფლავზე
მუხლის მოყრა და თვალის შეველება.
ცხოვრებამ თუმცა დამითალხა მზე,
შენი ღიმილი კვლავ მეშველება.
შენს საფლავს, ალბათ, ყაყაჩო შვენის,
სადაც ხალხისთვის დამარხე გული,
ჩემს ჰკერდში ფეთქავს სიცოცხლე შენი
სამშობლოს ტრფობით გალაღებული.



ჩეხოვ ანთოლოგია

ცხოვრების სიხარული

ხეები მზისკენ ტოტებს,
ხელებივით იშვერენ როცა,
როს მზისკენ ილტვის ერთად
მიუვალ მათაა ჰიმნი,
არა, ეს არ არის ვედრება,
არა, ეს არ არის ლოცვა,
არა, ეს არ არის სხვა რამ —
ეს არის სიცოცხლის ჰიმნი.
ძარღვში ჩუხჩუხებს სისხლი,
განიერდება ზეცა,
სულში მეღვრება სინათლე,
სულში მეღვრება სითბო,
რადგან ოცნება დიდი
დღეს სინამდვილედ მექცა,
ამ მიწის სიყვარულით
ცამდე ვმალდები თითქოს.
თითქოს ცას მივწვდი ხელით
და მზეს შევფიცე ძმობა,
და ქვეყნად სიცოცხლეს სიხარულს
ისე ალაღად ვიყოფთ,
ისე დიდია ჩვენი
სიცოცხლისადმი გრძნობა.
ეს მზე,
ეს მიწა,
ეს ცა
თითქოს და ტოლები ვიყოთ.
გმადლობ, მშობელო მზეო,
გმადლობ, მშობელო მიწაო.

გმადლობ, მშობელო ცაო,
გმადლობ, მშობელო ხალხო.
გმადლობ, სიცოცხლევ დიდო.
მე თავი თქვენთან ვიცან,
და ცხოვრებასაც ქვეყნად
თქვენით ავუღე ალღო.

შეგოთენება

თენდება... დილის ხალისი მაწვიმს,
ცისა და მიწის ვნახე ალერსი,
და ამ დილითაც მზე მოგავს ქალწულს,
პირველი კოცნით სახეალეწილს.

ამ სიდიადის მოწამე მეც ვარ,
მზე პირველ სხივებს ნისლში რომ გაცრის,
ისე სუფთაა მაშინ ეს ზეცა,
როგორც ნამუსი ქართველი კაცის.

განთიადს მოაქვს სინათლევ, სითბოც,
განთიადია გაღია მზისა,
ალბათ ამიტომ მგონია თითქოს,
სიცოცხლევ იშვა განთიადისას.

რა იქნებოდა ეს მიწა, ეს ცა
სიცოცხლის ეშხი რომ არ ამკობდეს.
სირცხვილი არის, რომ კაცი გერქვას
და ამ კაცობით არ ამაყოზდე.



ბედა კაკიგაძე

სასინარულო გასეირნება

კიბეები მარდად ავირბინე და მეგობრის სანახევროდ ღია კარებზე ჩემბურად დავაკაკუნე, არაინ გამეპასუხა. „ალბათ, ძინავს“, გავივლე გულში და ოთახში ფეხაკრეფით შევედი. ჩემი მეგობარი სავარძელში იჯდა. თავი მალლა აეწია და ჭერს მიჩერებოდა. მივესალმე. არ უპასუხნია. მიზეზი ვკითხე. არც შემოუხედავს.

— რა მოგივიდა, დიდო მწერალო, მსოფლიო სევდა გაწამებს ხომ?..

— თავი დაშანებე, თორემ...

— თორემ?..— გამოვაჯავრე, გაეღიმა...

— ალბათ, ისევ რედაქციაში გაწყენინეს, არა?— ვუთხარი და მისი გულის მოსაგებად რედაქტორს სასტიკად დავემუქრე. არაფერი უთქვამს. მაგიდას მივუჯექი. პაპროსი ამოვიღე და საფერფლეს მივწვდი. იქვე თვალი მოვკარ სუფთად გადაწერილ ფურცლებს. დავაცქერდი. სათაური „უმუშევარი“ ამოვიკითხე და ჩემს მეგობარს მივუბრუნდი.

— როდის ჩამობრძანდით ამერიკიდან?

— დიდი ხანი არ არის,— იმავე ტონით გამეპასუხა და გულმოსულმა დასძინა.— გაიგე, ჩემს მოთხრობაში იმ უმუშევრობაზე არ ვლაპარაკობ, შენ რომ ფიქრობ. მე თვითონ ძლიერ კარგად ვიცი, რომ ჩვენში უმუშევრობა არ არის, ამერიკის ცხოვრებას კი ამერიკელები ასახვენ, ჩემი საქმე არ არის. მე მხოლოდ ერთი შემთხვევა ავწერე, როცა ადამიანი დროებით უსამსახუროდ დარჩა. მსურდა მეჩვენებინა, რომ მისი „უმუშევრობა“ სრულიადაც არ არის ის, რაც...— სათქმელი აღარ დაამთავრა და მეორე ოთახში გავიდა. დავინტერესდები, ფურცლები ერთმანეთზე დავაწყვე და კითხვას შევუღდექი.

* *

ჩვეულებრივ სამსახურში ცხადდები. იკავებ განკუთვნილ ადგილს და იწვებ მუშაობას. ასეა თითქმის ყოველდღე, მაგრამ სამუშაო, რომელიც გიზიდავს, სახალისოა და მსუბუქი. მეც დავდიოდი სამსახურში და ღლები ისე შე-

უმჩინველად მიდიოდნენ, მიკვირდა, ისე აღრე რომ შემასხვებდა ბულაღტყევეს
კუთვნილ შვებულებში გასვლის დროათ.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვეულებრივად სამსახურში ვცხადდები. ყველას ვე-
სალმები და განკუთვნილ ადგილას ვჯდები. თათაში არაჩვეულებრივი სიწყყა-
რეა. ყველა თავისთვის ზის და საქმეს ჩაპკირკიტებს. ცოტა ხნის შემდეგ დი-
რექტორმა შემოიხედა. უგულოდ მოგვესალმა და კარები მიიხურა. მე რაღაც
სასწრაფო მასალას ვამზადებდი და დირექტორის უგუხებობა არ შემომჩხვია.
უცბად ზარის წკრიალი გაისმა... დირექტორი მე მითხოვდა. სასწრაფოდ მის კა-
ბინეტში გავიხნა და საწერი მაგიდის წინ თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექ. სძე-
ნადქცეული მიეჩერებოდი. მაგრამ შევამჩნიე, სათქმელის გამხელა ძლიერ
უქირდა. ბოლოს ჩაახველა. გასაღები ნერვულად თითზე დაატრიალა და ხმა-
დაბლა დაიწყო:

— ამხანაგო გივი, აგერ ორი წელია ჩემთან მუშაობ და, სინამდვილე ვითხ-
რა, ისე შეგეჩვიე, როგორც ძმას. ერთმანეთისათვის არასოდეს გვიწყენინე-
ბია, მაგრამ ხანდახან კაცს სრულიად მოულოდნელად ეწყევა ხოლმე უბედუ-
რება, რომლის წინაშე უძღური ხდება მეგობარიც და თვით მშართველი დირექ-
ტორიც. — ჩაახველა... გასაღების ტრიალს საჩვენებელ თითზე უფრო შოუხში-
რა, შემდეგ ვითომ განოსავალი იპოვაო, პაპიროსის კოლოფს დასწვდა, გრძელ
„საკურორტოს“ მოუკიდა და ისე გაუჩინარდა პაპიროსის ბოლში. როგორც
ნამგალა მთვარე ღრუბლებში. არ ვიცი, ეს სასწაული პაპიროსის ბოლმა ჩაიდი-
ნა თუ მე დანეკარგა მხედველობა. „ნეტავ, რა უბედურებაა ჩემს თავს“, — გა-
ვივლე გულში და უცბად საწყალი ბებიჩემი მომაგონდა. ამ ბოლო დროს სულ
ავადმყოფობდა სოფელში და ვიფიქრე, ალბათ, მისი გაკირვების დეპეშა სამ-
სახურში თუ გამომიგზავნეს-მეთქი. გულმა რეჩხი მიყო.

— ბებია გარდაამეცვალა ხომ, პატივცემულო დირექტორო?! — ვუთხარი
და თვალეზზე კურცხალი მომადგა.

— ეჰ, ჩემო გივი, ცოტა მაგაზე მძიმე ამბავია, მაგრამ...

— დედაჩემი?! — შეეკვირე და ზეზე წამოვიჭკრე.

— არა, არა, დამშვიდდით. დღეს ბულაღტყევეს სამინისტროს მიერ დაღ-
გენილი შტატები გადმომცა. ერთი საშტატო ერთეული ამოუღიათ. შეგწუხდი,
მაგრამ რა უნდა მექნა. მაინც და მაინც შენი თახამდებობა გაუუქმებიათ. არ
ეღაროდ, უმუშევარს ვინ დაგტოვებს! უმადლესი დაგიმთავრებია, აგერ ხუთი
წლის გამოცდილება გაქვს. მეც დაგეხმარები და ერთ-ორ კვირაში შესაფერ
სამუშაოს მოგიხმავთ.

— პატივცემულო სამსონ, — ძლივს ამოვიდგი ენა, — რაღაც უსაშველო
მეგონა. სამუშაო აქ არ იქნება. სხვაგან მოვიტყენი. მაგაზე როგორ ვიდარდებ! —
და სამსახურიდან ჩემი განთავისუფლების სიმძიმის შედარება ბებიას გარდა-
ცვალეხსთან გულში ძლიერ უმართებულოდ მივიჩინე.

კადრების განყოფილებაში ძალიან დამამედეს... მითხრეს, ამ დღეებში
საქმეს უსათუოდ გააჩენით. მაგრამ მოვიცალე?.. რაღაც ეშმაკად საიდვარს წა-
ვეჩხუბე და ჩვენთან აღარ მოდიოდა. დავრჩი ოჯახში ბავშვების ამარა. მე-
უდლესს კი, დილით რომ გაიხურავდა კარებს, ექვს საათამდე თვალით ვერ ვნა-
ხულობდი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი. სამუშაო საათები ასე გავ-
ნაწილე — ცხრა საათზე ბავშვები მიმყავდა საბავშვო ბაღში, იქიდან მივდიო-
დი ბაზარში, შემდეგ ვიწყებდი მზარეთულობას. ერთი სიტყვით, ვაკეთებდი თი-

თქმის ყველაფერს, რისიც საქვეყნოდ თქმა არც თუ ისე სახარბიელოა მამაკაცისათვის, მაგრამ რა უნდა მექნა! ოჯახს კიდევ გავართმევედი თავს, მაგრამ მას ვენეხს?.. საქმე არაფერი აქვსო და ყველა შეეცადა როგორმე „დაეცვიოთ“. მარტო მეზობლებს ვეღარ აუველი. დედაშვილობამ, შემოვიღოდა კარის მეზობელი თებრონე, ბაზარში მივდივარ, აგერ გასაღებს დაგიტოვებ და შემისხედე ხანდახან, ნათქურამ არ იბოლოსო. მქონდა ასეთი შემთხვევა: როგორ შეგაწუხოთ. მაგრამ სამაგიერო ჩემზე იყო. ბინის ქირა გადაიპადაეო. მეც ერთი ხათრიანი კაცი ვარ და უარს ვერავის ვეუბნებოდი. ჩემმა ცოლისძმამ მოციქული გამომიგზავნა, მანაც არ მუშაობ, ხელი წამიკარი, გარაჟს ვაშენებო. არ მომცა საშველი, ღურგლობა, კალატოზობა და თუნუქის მხურაობა ორ-სამ დღეში ამათვისებინა. ჩამოვხში კაცი და ერთ დღეს შეუღლეს გამოვუტყდი: შეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ხვალვე ვიწყებ სამსახურს-მეთქი. შემეშურდა: სადაც ამდენი მოგიტმენია, ცოტაც მოითმინე და მუშაობას ნუ დაიწყებო, მაგრამ მე ჯორზე შეეჯექი და ყოველგვარი კომპრომისები მტკიცედ უარყავი.

მეორე დღეს მე და მეუღლე ერთად გამოვედით სახლიდან. ის სამსახურში წავიდა, მე კი ზღვისპირა პარკში გავწიე. მომაჯობდა, რომ ორი კვირის თავზე ვამაგირი უნდა მიმეტანა სახლში და შევწუხდი. ცოტაოდენი ფული სალაროში მქონდა. ხუთასი მანეთი გამოვიტანე და ჯიბეში ჩავიდე.

„ახლა ხარ, ჩემო გივი, ცოდე, ახლა!“—გავეპაუტე ჩემს ორეულს. დრო სწრაფად გაირბენდა და სად უნდა მენახა კიდევ ხუთას-ხუთასი მანეთი? და აი ვზივარ ზღვისპირა პარკის გრძელ სკამზე და ვეოცნებობ. ფულის შონის მრავალი ვარიანტი მოვიფიქრე. ერთი დაკარგული შევალეც მომაგონდა, მაგრამ შკოლაში არც ერთი არ დამოჯდა. თქირებში გართულმა ვერც შევამჩნიე, როდის ჩამოჯდა ჩემს გვერდით შუახნის სანდომიანი მამაკაცი. ასანთის ჩხაკუნმა გამომარკვია. გაესწორდი. მან ერთი შემომხედა და გულისტკივილით შეძჩვილა: რამდენად ლამაზი იქნებოდა ის შავთვალწარბა ქართველი გოგონა, ცხვარივით რომ არ გაკრეჭილიყო და შოლტვივით ნაწნავებს ატარებდესო.

— ასჯერ უკეთესი.— დაუღდასტურე.

საუბრის გუნებაზე არ ვიყავი, მაგრამ ჩემი თანამოსაუბრე ისე ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა, რომ დუმლი აღარ შეიძლებოდა. ჩვენ ვისაუბრეთ ღრტყრატურაზე, ხელოვნებაზე და ბევრ საქირბოროტო საკითხზე. ძლიერ მომწონდა მისი დინჯი და აზრიანი საუბარი. ვამჩნევი, მასაც მოვეწონე. ბოლოს, საუბარი სამსახურზე ჩამოვარდა. ის კულტურის სამინისტროს მუშაკი აღმოჩნდა. მე კი დასამალი რა მქონდა. განა ჩემი უხიაგი მუშაობისათვის გამათავისუფლეს? ყველაფერი ისე ვუთხარი, როგორც იყო. გულდასმით მისმენდა. როცა სათქმელი ვთქვი, შემეკითხა, ცოლ-შვილი თუ გყავთო. მყავს-მეთქი, ვუთხარი. იგი ერთ ხანს დუმდა. მეც ხმას არ ვიღებდი. შევამჩნიე, მარცხენა თვალის ქუთუთო ამითამაშდა. მომაგონდა ბებიაჩემი. მარჯვენას ახარებსო, მეტყოდა დაჯერებით. უცნობმა პაპიროსს მოუკიდა, ჩახველა და მითხრა: გუშინ ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა განცხადება შემოიტხა, პენსიაზე გასვლას ითხოვს. ტკბილი მოხუცია. ჩვენ თითქმის მის ხელში დავვაკაცდით და გვიძძიმს მისი მოცილება, მაგრამ გვითხრა, არა, დროა დავისევხოო. დაკვირვებულნი კაცი ჩანხართ, იმუშავეთ, მიეჩვეით და, მწამს, თქვენც ისე კარგი და სა-

ყვარელი მუშაკი დადგებით, როგორც ის ჩვენი მოხუცი მეგობარია. შეძლებს ბოდიში მომიხადა და მეორე დღისათვის სამინისტროში დაძიბარა. შეძლებს

მეორე დღეს დილა უკვე დანიშნულ ადგილზე გამოცეხადდა. დიდი ხნის მეგობარივით შემხვდა ჩემი ნაცნობი. მას ყველა პატივცემულ შოთას ეახდა. საჭირო საბუთები მომიტანეო, მოხოვა და ხვალვე გაგაფორმებთ ბრძანებით.

როცა სახლში დავბრუნდი, სახტად დავრჩი. ჩემი დირექტორყოფილის მდივანი დამხვდა. შეუღლეს ესაუბრებოდა. გამიკვირდა.

— გილოცავთ, გილოცავთ!— დაიწყო მან.

— გზადლობთ, ახალ სამსახურს?

— თინათინმა მითხრა და ძლიერ მეწყინა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისევ ძველს ირჩევთ.

— როგორ, მე ხომ შემამცირეს?

— ყველაფერი გაუგებრობის ბრალზეა. პატივცემულო გივი, სამინისტროს მემანქანე ქალს სრულიად შემთხვევით გამორჩენია თქვენი თანამდებობა სამსახურთა ერთეულში და ამან გამოიწვია ყოველივე. პატივცემულ სამსახურს სერაპიონოვიჩს აღარ ეცალა, ხომ იცით როგორ დატვირთულია!

— ვიცი, ვიცი მიაი დატვირთვის ამბავი, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, მეტი გულისყური გამოეჩინა. მადლობა გადაეცით თქვენს დირექტორს, მე კი უკეთესი სამუშაო ვიშოვე. ჩვენს ქვეყანაში სამუშაოს რა დაღვეს!

— როგორ, მართლა აღარ მოხვალთ ჩვენთან?— გაიკვირვა მერიმ.

— არა!— მტკიცედ ვუთხარი და დავძინე:— მე იქ მივდივარ, სადაც უფრო გულისხმიერი ადამიანები მელოდებიან და არა ცირკულარის ისეთი მონები, როგორც პატივცემული სამსონ სერაპიონოვიჩია.

* *

მოთხრობა ასე მთავრდებოდა. გამეღიმა. მართლაც უცნაური თავგადასავალია, მაგრამ სათაური არ მომეწონა. სიტყვა „უმუშევარი“ მაინც არ შეეფერება მოთხრობის გმირს. იგი გადავხაზე და მის მაგიერ „სასიხარულო გასიხარება“ ავირჩიე. ჩემი მეგობარი ამ ნათლობაზე დამეთანხმა, თუმცა მითხრა, ცუდი არც ძველი სათაურიაო.



ქაჩო კობახიძე

ეს მიდამოა, ვანა ველია?

მე სიყვარულით დაეხედავ მიწას,
რომელიც სულის სიმღერად ვიცან-
გაიცრიცება საღამო ვიდრე, —
ლილისფერ ზეცას ავხედავ კიდევ-
ნუმც მღირსებია ღამე და ნამი,
ბარემ ჩამიქრეს ბედის სანთელი, —
მე თუ სიცოცხლე მიღირდეს რამედ
და უფრო ძვირად სხვა არაფერი.
აქეთ უწყალოდ ღრუბელი იწვს,
იქით იელმა ტოტი აზიდა.
მხვდება მაღლი და სურნელი მიწის.
ჩვენი სამშობლოს სილამაზითა.
ეს მიდამოა, ვანა ველია?..
ბადალი ველარ ნახო ველარსად.
მე ამ ბაღნარებს ვერ შეველოე
და სიყვარულის მოწყურებასა.
მე ამ ბაღნარის სურნელი მშია,
მე იმ ღრუბელის აღმურით ვიწვი
და თუ ღიმილი მჩვევია ხშირად,
ჩვენი ტყეების ბრაღია ისიც.



გიორგი ურუშაძე

ს უ რ ა თ ე ბ ი

1

მზეს ალიონმა გაუღო კარი,
შუქი აღმოხდა მწვერვლებს იქით,
კვლავ აშრილდა მთანი და ბარი,
კვლავ ახმიანდა ჩიტთა ჭიკჭიკით.

თითქოს წამოდგა ქვეყანა მთელი
სიცოცხლისა და შრომის ხალისით
და ნამდანაპკურ მინდვრებს და ველებს
მზემ გადმოაჩხედა სიდარბაისლით.

2

მზემ ცეცხლის ფრთები შემოიკეცა
და აიკალთა მწველი სხივები.
სიომ დაჰბერა და შეათრთოლა
ენძელეები და ია-იებში.

დაეშვა ბინდი...
შემდეგ ინათა, —
ზღვაში დაღალი ჩააწო მთვარემ,
კვლავ მოისვენა ქვეყანამ, რათა
უფრო ძლიერად წამოდგეს ხვალე.



ლია ჭავჭავაძე

უვერტიშრა

ვანო სარაჯიშვილის სლოგნს

გულშემზარავად ქვითინებს ჩელო,
მუხის კუბოსთან თავდახრილი ტირის
— არ მოიტანოთ სალამური გადატეხილი ემილი,
— ო, თავო ჩემო!

— მე ერთი ტკბილი ბუღბული ვარო,
მუხის კუბოსთან აქვითინებს ჩელოს
— ხალხს მიეცითო სიმღერები გადარჩენილი, ემილი,
დადუმდა ვანო.

ქრება და ქრება სალამურთან შუქი
ყველგან ჭადრები, მოცახცახე ხეების ჩერო, კანდელის,
ამოსამღერი ჰანგი რამდენი...

გულშემზარავად ქვითინებს ჩელო:
— ო, თავო ჩემო!!!



მინიერ პოლონოვი

ს ა ლ ი

I

მაგიდაზეა დამწვარი დენთის სუნით გაყენებული ვაზნის მასრები. ცხვრის ძვალი, საველე რუკა, ნაკრები ცნობები, ცხენის ოფლით გაპოხილი ასაწყობი ალვირი, პურის ყუა. ყველაფერი ეს მაგიდაზეა, ხოლო სველი კედლისაგან დაობებულ გათილ 'მერხზე, ფანჯრის რაფაზე ზურგით მიყრდნობილი ესკადრონის უფროსი ნიკოლკა კომევი ზის. გათოშილ, უძრავ თითებში ფანქარი უჭირავს. მაგიდაზე გადაფარებული მოძველებული პლაკატების გვერდით დევს ნახევრად შევსებული ანკეტა. ხეხეში ფურცელი ძუნწად მოგვითხრობს: ნიკოლოზ კომევი. ესკადრონის უფროსი. მიწის მუშა. რაკ-ას წევრი.

„წლოვანების“ ხაზის გასწვრივ ფანქარს ნელა გამოყავს: „18 წლისა“.

მხარბეჭიანია ნიკოლკა, თავის ასაკზე უფროსი ჩანს. მოხუცის შეხედულებას აძლევს ნაოჭებში ჩამჯდარი თვალები და მოხუცივით მოხრილი ზურგი.

— ჯერ ხომ ბავშვია, პაცანი, მოუმწიფებელი, — ხუმრობით ლაპარაკობენ მასზე ესკადრონში, — მაგრამ ბადალი არ ჰყავს: ვის შეუძლია გამოცდილი მეთაურივით თითქმის უდანაკლისოდ ორი ბანდის განადგურება და ნახევარ წელს ბრძოლებსა და შეტაკებებში ესკადრონის წინამძღოლობა.

რცხვენია ნიკოლკას, თვრამეტი წლისა რომ არის. საზიზღარი ხაზის „წლოვანების“ გასწვრივ ფანქარი ყოველთვის მიზოზინებს, სირბილს ანელებს. ხოლო ნიკოლკას ღაწვები სინანულით აელეწება ხოლმე. ნიკოლკას მამა კაზაკია, ბაბუაც კაზაკი იყო. სიზმარივით ახსოვს, ხუთი-ექვი წლისა რომ იყო, მამა ცხენზე შესვამდა ხოლმე.

— ფაფარში ჩასჭიდე, შვილო, ხელი, ფაფარში! — ეძახდა იგი. დედა კი სამზარეულოს კარებიდან უღიმოდა ნიკოლკას, გაფითრებული და ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა მის პატარა ფეხებს, ცხენის ზერხემალს რომ შემოკვროდა, და მამამისს, რომელსაც ალვირი ეჭირა ხელში.

დიდი ხანია მას აქეთ. მამა გერმანიასთან ომში დაიღუპა, თითქოს წყალმა

შთანთქაო. მისი აღარაფერი ისმის. დედა მოკვდა. ნიკოლკამ მამისგან მემკვიდრეობად მიიღო: ცხენის სიყვარული, უსაზღვრო მამაცობა და წაღლი, ისეთი, როგორიც მამას ჰქონდა, მტრედის კვერცხის ოდენა, მარცხენა ფეხზე კოკს ზემოთ. თხუთმეტ წლამდე მოჯამაგირეობაში წვალობდა, შემდეგ გრძელი ფარაჯა იშოვა სადღაც და სოფლად გავლილ წითელ პოლკს გაჰყვა ვრანგელის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ზაფხულს სამხედრო კომისართან ერთად დონში ბანაობდა. კომისარმა ენის ბორძიკით და კონტუზიიანი თავის თავის მოღრეცით ნიკოლკას ხელი მოუთათუნა მზისგან გარუჯულ ზურგზე და უთხრა:

— შენ ისე... იცი... შენ... ბედ... ბედნიერი ხარ!.. ჰო, ბედნიერი! ამბობენ, ხალი ბედნიერების ნიშანიაო.

ნიკოლკამ კბილები დაკრიჭა, დაყვინთა, დაიფრუტუნა და წყლიდან დაუყვირა:

— სტყუი, შე ობროდო, შენა! მე ბავშვობიდან ობოლი ვარ, მოჯამაგირეობაში სიცოცხლე ჩავკალი, შენ კი — ბედნიერება!..

და გასცურა ყვითელი ნახევარკუნძულისაკენ, დონს რომ რკალად ერტყა.

II

ქოხი, რომელშიც ნიკოლკა ცხოვრობს, ციცაბოდან დონს გადაყურებს. ფანჯრებიდან მოჩანს დონიდან გადმოხეთქილი წყალი. დამდამობით, ქარიშხლის დროს, ტალღები ეხეთქებიან ციცაბოს, ქოხის დარაბები ჭრიალებენ. თითქოს იხრჩობიან, და ნიკოლკას ეჩვენება, რომ წყალი იატაკის ნასვერტებიდან შეპარვით მოცოცავს, მატულობს, ქოხს აძაგდაგებს.

უნდოდა სხვა ბინაში გადასულიყო, მაგრამ არ გადავიდა, შემოდგომაშივე დარჩა. სუსხიანი დილა იყო. ნიკოლკა აივანზე გამოვიდა, დაჭედილი წაღების ხრჭილით დაამსხვრია სიჩუმე. ჩავიდა ალუბლის ბაღში, დაწვა ცვრისაგან შექადარავებულ, აცრემლებულ ბალახზე. ესმის როგორ ეხვეწება დიასახლისი ძროხას, დაწყნარდით; ბოხი ხმით, დაყინებით ზმუის ხბო, ხოლო ქოთნის კედლებზე რძის ნაკადი ჩხრიალებს.

ეზოში ჭიშკარი აჭრიალდა, ძაღლმა დაიყეფა. ზემდეგის ხმა:

— შეთაური სახლშია?

იდაყვზე წამოიწია ნიკოლკამ.

— აქა ვარ! რა მოხდა?

— სოფლიდან შიკრიკი მოვიდა. ამბობს, ბანდა გადმოსულა სალსკის ოლქიდან, საბჭოთა მეურნეობა გრუშინსკი დაუყავებიათ...

— აქ მოიყვანე.

შიკრიკი საჯინბოსაკენ მიათრევს ცხელ ოფლში გაღვრილ ცხენს. ცხენი შუა ეზოში დაეცა: ჯერ წინა ფეხებზე, შემდეგ გვერდზე, მოკლედ და ხამუშხამუშ დაიხროტინა და მოკვდა. მინის თვალებით მიჩერებია იგი ჯაჭვით დაბმულ ნაგაზს, რომელიც გააფთრებული ყეფისაგან იხრჩობა. მოკვდა იმიტომ, რომ პაკეტზე, რომელიც შიკრიკმა მოიტანა, აღნიშნული იყო სამი ჯვარი და ამ პაკეტით მოაჭენებდა შიკრიკი ცხენს ორმოც ვერსს, დაუსვენებლად.

წაიკითხა ნიკოლკამ, თავმჯდომარე თხოვდა, ესკადრონით წამოსულიყო დასახმარებლად. ოთახისაკენ მიდის, ხმაღს ირტყამს და ფიქრობს ქანცგამოლეული: „სასწავლად უნდა წავსულიყავი სადმე, აქ კი ბანდა: სამხედრო კო-



მისარი მარცხვენს: სიტყვას ვერ დაწერ სწორად და ესკადრონის მეთაური ხარო... მე რა შუაში ვარ, რომ სამრევლო სასწავლებელი ვერ დავაჯობო ახორებული კაცია... აქ კიდევ ბანდა... კიდევ სისხლი, უკვე მოვიქანცე ასეთი ცხოვრებით... ყველაფერი მომბეზრდა...“

აივანზე გამოვიდა. გზადაგზა კარაბის ტენიდა, ხოლო ფიქრები მიჰქროდნენ, როგორც ცხენები დატყვნილ გზაზე: „ქალაქში უნდა წავსულიყავი... მესწავლა“.

საჯინიბოკენ წავიდა, მკვდარ ცხენს ახლოს ჩაუარა, დაინახა სისხლის შავი ზოლი. ცხენის დამტვერილი პინჩიდან რომ გადმოდიოდა, და შებრუნდა.

111

საზაფხულო კოლბოხიან გზებზე, ქარის გალოკილ ნაკვალევებში თავისფერი გზისპირა აქოჩრილა. თითაბო და მწყერისფეხა სქლად აბინინებულა. ამ გზით ოდესღაც თივა მიჰქონდათ საბრძოლვეში... გათელილი გზა კი გაწოლილა ტელეგრაფის ბოძების ძირში. ბოძები გარბიან შემოდგომის გამომუნებულ სიღრმეში, ალაჯებენ ხეებებსა და ბორცვებზე. ბოძების გვერდით კი, კრიალა გზით ატამანს მიჰყავს ბანდა ყუბანის და დონის კახაკებისა. საბჭოთა ხელისუფლებით უძმყოფილო ნახევარი ასეული. სამი დღე და ღამეა, როგორც ცხვის ფარიდან გამოგდებული მგელი, ისე დაეხეტება უგზოუკვლოდ. უკან კი კვალდაკვალ ნიკოლკა კოშევის რაზმი ადევნებია.

წყალწალბული ხალხია ბანდაში—ნამსახურევი, ათას დარჯაქში გავლილი. მაგრამ მაინც ძალზე დაფიქრებულია ატამანი: უზანგებზე დგება, ველს თვალებით ჰჰამს, ვერსებს ითელის დონის იქით გადაჰიმული ტყეების მტრედისფერ არშიამდე.

ასე მგლებივით მიდიან. ნიკოლკა კოშევის ესკადრონი იმათ კვალს ტყეპნის.

დონის ველებზე, ზაფხულის საუცხოო დღეებში, სქელი ცის ქვეშ ვერცხლივით წკრილებს და ქანაობს პურის თავთავი. ასე არის მოთიბვამდე, როდესაც ხორბლის თავთავს უღვაში ჩვიდმეტი წლის ბიჭივით გაშვებია, პურეული კი სულ მალა, მალა გარბის და, სადაც არის, აასწრებს.

გრძელწვერა გლეხები აყალოზე, ქვიშიან ბორცვებზე, გზისპირებზე პურეულს თესავენ. არასოდეს არ ხარობს იგი. ძველთაგან დესეტინაზე იძლევა ოცდაათ საწყავამდე, მაგრამ მაინც თესავენ, ვინაიდან მისგან არაყს ხდიან, ისეთ ანკარას, როგორც გოგოს ცრემლია, ვინაიდან ძველთაგან ასეა შემორღებული: პაპები და პაპის პაპები სვამდნენ, ხოლო დონის ოლქის ჯარის კახაკების ღერძზე ტყუილად კი არ ეხატა ღვინის კასრზე დედაშობილა შემჯდარა მთვრალი კახაკი. შემოდგომაზე ფეხარევით დაეხეტებთან სოფლები და სტანიცები, ფეხაკრევით დაქანაობენ ღობეებზე წითელციანი ბოხოხები.

ამიტომ არის, რომ ატამანი დღემუდამ მთვრალია, ამის გამოა, რომ მეეტლეები და ყველა ტყვიამფრქვეველი ლოთური ვაჟკაცობით წამოიჭრებიან ხოლმე რესორებიან ტაჩანკებზე.

შვიდი წელია მას აქეთ, რაც ატამანს არ უნახავს მშობლიური სოფლები. ტყეობა გერმანიამში, შემდეგ ურანგელი, მზეში ჩაფლული კონსტანტინეპოლი, ბანაკი ეკლიან მავთულეებში, თურქული პატარა ნავი გაზეთილი მლაშე ნიბით, ყუბანის, სულთნის ლელიანები და ბანდა.

აი, როგორია ატამანის ცხოვრება, თუ უკან მოიხედავ.

სული გამოფეტიტა მას, როგორც ზაფხულის სიცხეში ტალახიან მინდორში იფიტება ხოლმე ხარების გაორებული კვალი. უცნაური და გამოუცნობი ტყვილი ღრღინის შიგნით, გულისრევით ევსება კუნთები და გრძნობს ატამანი: ვერ დაავიწყებს და ვერავითარი არაყი ვერ გააქარებს იმის ტანჯვას. სვამს კი. ერთი დღე არ არის ფხიზელი, ვინაიდან ტკბილად და სურნელოვნად ყვავის პურეული დონის ველებზე და ლოყააწითლებული, უქმროდ დარჩენილი ქალები ისეთ არაყს ხდიან სოფლებში, რომ ანკარა წყაროსაგან ვერ გაარჩევ.

IV

დილიდანვე დაჰკრა ზამთრის სუსხმა. ვერცხლის ქაღარით დაცვრა ფართოფოთლიანი ლუმფარა. მხოლოდ დილით წისქვილის ბორბლებზე შეამჩნია ლუკიჩმა აფერადებული თხელი ყინულის ლოლუები.

ლუკიჩი დილიდან ცუდად გრძნობდა თავს: წელში ჩხელტდა, ყრუ ტკივილებსაგან ფეხები ისე ეკვროდნენ მიწას, თითქოს თუჯისაგან ჩამოუსხამთო. დაფაჩუნობდა წისქვილში, ძლივს დაათრედა რაღაც უაზრო, უსულო სხეულს. სოროდან თავის ბახალა გამოძვრა. მაღლა აიხედა ლუკიჩმა ცრემლმორეული თვალებით: ქერქვეშ, ძელიდან ისმოდა მტრედის ჩქარი, საქმიანი ლულენი. თითქოს აყალოსგან გაკეთებული ცხვირის ნესტოებით ჩაისუნთქა ბაბუამ წყლის ნესტისა და დაფქვილი პურეულის სუნი, ყური მიუგდო, როგორ ლოკავდა წყალი წისქვილის ბოძებს და ფიქრში წასულმა თავისი ოფოფისებური წვერი მოისრისა.

სკასთან მიწვა ლუკიჩი დასასვენებლად. ტყაპუქის ქვეშ დაეძინა; პირი გაეღო, ტუჩების კუთხეში წვერს ინერწყევავდა თბილი და მწებავი ნერწყვით. ბინდმა დაფარა ბაბუას ქოხი, ნისლის რძისფერ ნაფლეთებში გაეჩხირა წისქვილი.

როდესაც გამოიღვიძა, დაინახა ორი ცხენოსანი გამოვიდა ტყიდან. ერთმა მათგანმა დაუყვირა სკების შუა მიმავალ ბაბუას:

— აქეთ მოდი, ბაბუ!

ეჭვით შეხედა ლუკიჩმა, გაჩერდა. ბევრი უნახავს მას აწეწილი წლების განმავლობაში აი, ასეთი შეიარაღებულები, რომლებიც უკითხავად ეზიდებიან საკვებს და ფქვილს და ყველა ისინი, განურჩევლად იმისა, თუ ვინ იყვნენ, ძალზე ეზიზღებოდა.

— ცოცხლად წამოდი, ბებრუხანა!

სკების შუა წავიდა ლუკიჩი, უხმოდ, გამოსუნებული ტუჩებით ჩიფჩიფებდა, მოშორებით დადგა, აღმაცერად უტკერდა სტუმრებს.

— ჩვენ წითლები ვართ, ბაბუ... ჩვენი ნუ გეშინია, — მშვიდობიანად ამოიხრინწა ატამანმა, — ბანდას მივდევთ, ჩვენებს ჩამოვრჩით, ეგებ დაინახე, გუშინ აქ რაზმმა ჩაიარა?

— იყვნენ ვილაცეები.

— საით წავიდნენ, ბაბუ?

— ჰირმა იცის იმათი თავი!

— რომელიმე მათგანი ხომ არ დარჩენილა წისქვილში?

— არა, — მოკლედ მიუგო ლუკიჩმა და ზურგი შეაქცია.

— მოიცა, მოხუცო. — ატამანი ჩამოხტა უნაგირიდან, წაბორძიკდა მთვრალ, მოკაცულ ფეხებზე, მაგრად მიაოროტქლა არაყის სუნი და უთხრა:

— ჩვენ, ბაბუ. კომუნისტებს ვსპობთ... ასეა ეს!.. ვინა ვართ, ეს შენი
ჭკუის საკითხავი არ არის...— წაიბორძიკა, აღვირი ხელიდან გაუვარდა...
საქმეა ხორბალი დაამზადო სამოცდაათი ცხენისათვის და ენას კბილს დააკი-
რო... აბა, მალე!.. მიხვდი? სად გაქვს ხორბალი?

— არა მაქვს. — ამბობს ლუკიჩი და იქით-აქით იხედება.

— აბა ბედელში რა გაქვს?

— სხვადასხვა ძველმანის... ხორბალი არ მაქვს!

— აბა, წამოდი!

კისერში ხელი ჩაავლო მოხუცს და წიხლის კვრით გაიგდო მიწაში ჩაფ-
ლული, მოღრეცილი ბედლისაკენ. კარი გამოაღო. ბედლის თაროებში ფეტვი
და ქერი.

— ეს ხორბალი არ არის, ბებერო არამზადავ?

— ხორბალია, ხორბალი... ნაწისქვილარია... ერთი წელი მარცვალ-მარ-
ცვალ ვაგროვებდი, შენ კი ცხენებს უნდა გაათუქებინო...

— შენი აზრით, ჩვენი ცხენები შიმშილით უნდა დაიხოცონ, არა? შენ,
რათ, წითლების მხარეზე ხარ, სიკვდილს მთხოვ?

— შემობრალე, ჩემო მოწყალე, რას მერჩი? — ქუდი მოიხადა ლუკიჩმა,
მუხლებზე დაეცა. ატამანის ბანჯგვლიან ხელებს კოცნის.

— სთქვი: წითლები გიყვარს?

— მაპატიე, შენი ჭირიმე!.. მაპატიე ბრიყული სიტყვა, მაპატიე, შემობ-
რალე, — მოსთქვამდა მოხუცი, ატამანის ფეხებს ეხვეოდა.

— დაიფიცე, რომ წითლების მხარეზე არა ხარ... თავი ანებე, პირჯვრის
წერა არ გინდა, მიწა შექვამე.

პეშვით იღებს და უკბილო პირით ღეჰავს ბაბუა ქვიშას და ცრემლებით
ასველებს მას.

— ახლა მჯერა, ადექი, ბებერო!

ეცინება ატამანს. ხედავს, რომ მოხუცი ვეღარ დგება დაკუთხულ ფეხებზე.
ბედლიდან კი ცხენოსნები ეზიდებიან ქერს და ხორბალს, ცხენების ფეხქვეშ
აბნევენ, მთელი ეზო ივსება ოქროსფერი ხორბლით.

V

ვარიერაჟი ნისლსა და ბნელ ნესტში ვახვეულა.

ვერდი აუარა ლუკიჩმა ყარაულს და გზით კი არა, ტყის ბილიკით, რო-
მელიც მარტო მან იცის, ჩირგვნარებით ტყე-ტყე, ყურებდაცქვეტილი, სოფ-
ლისაკენ წაცუნტულდა.

ქარის წისქვილამდე მიიბრინა, უნდოდა ქუჩისაკენ გადაეხვია, მაგრამ
თვალწინ აღიმართინენ ცხენოსნების ბუნდოვანი ლანდები.

— ვინ მოდის? — შეშფოთებულმა შეძახილმა დაარღვია სიჩუმე.

— მე ვარ... — ჩაიჩიფჩიფა ლუკიჩმა. აცახცახდა, ოფლად გაიღვარა.

— რომელი ხარ? საშვები? რა საქმეზე დაეხტები?

— მეწისქვილე ვარ... წყლის წისქვილიდან. საჭირო საქმეზე მივიღვარ
სოფელში.

— რა საქმე გაქვს ასეთი? აბა, წამოდი მეთაურთან! წინ წადი... — დაუ-
ყვირა მან და ცხენით წამოეწია.

კისერზე იგრძნო ლუკიჩმა ცხენის გაორთქლილი ტუჩები და კოჭლობით აუჩქარა სოფლისაკენ.

მოედანზე, კრამიტით დახურულ ქოხთან გაჩერდნენ. გამცილებელი ჩამოხტა უნაგირიდან. ცხენი ღობეზე მიიბა და ხმლის ჩხარუნით აივანზე ავიდა.

— მომყევი!..

ფანჯარაში სინათლე მოჩანს. შევიდნენ.

თამბაქოს კვამლისაგან ლუკიჩმა ცხვირი დააცემინა, ქული მოიხადა და აჩქარებით პირჯვარი გადაიწერა.

— მოხუცი დავაკავეთ. სოფელში მიდიოდა.

ნიკოლკამ ბუმბლიანი აბურძგნული თავი მაგიდიდან ასწია, ნამძინარე-ვია, მაგრამ მკაცრად ეკითხება:

— სად მიდიოდი?

ლუკიჩმა ნაბიჯი გადადგა, სიხარულისაგან კინლამ დაიხრჩო.

— საყვარელო, ესენი ჩვენები ყოფილან, მე კი მეგონა ისევ ის წყეულე-ბი იყვნენ... ძალზე შევშინდი და კითხვაც კი ვერ გავბედე. მე მეწისქვილე ვარ... თქვენ რომ მიტროხინის ტყით მოდიოდით და ჩემთან შემოიარეთ, მე რაქც კი დაგაღვივინეთ, ჩემო საყვარელო... დაგავიწყდა თუ?..

--- კარგი, რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, ჩემო ძვირფასო, რომ გუშინ, დაღამებისას, თავს დამეხსა ბანდა და პური მთლად ცხენებს გააფუჭებინეს. დამცინეს... იმათმა უფროსმა მითხრა, მთელი სულით და გულით შემეფიცა მათთვის და მიწა შემეპაძა.

— ახლა სად არიან?

— იქვე არიან. არაყი მოიტანეს თან ბინძურბემა ჩემს ოთახში, მე კი აქეთ გამოვიქეცი თქვენი მოწყალებისათვის მომეხსენება, ეგებ მათ რაიმე სამართალი გაუჩინოთ.

— უთხარი შეკაზმონ!.. — წამოდგა ლოგინიდან, ბაბუას გაულიმა და დაქანტულმა ფარაჯის საყელო ასწია.

VI

გათენდა.

უძილო დამეებისაგან გამწარებული ნიკოლკა მიექრა ტყვიამფრქვევის ორბორბალს:

— როდესაც იერიშზე გადავალთ — დასცხე მარჯვენა ფრთას. ეს ფრთა უნდა დავლევოთ, — და გააქანა ცხენი გაშლილი ესკადრონისაკენ.

ჩამომხმარი მუხნარის იქით, გზაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ ოთხ-ოთხად დაწყობილნი, შუაში — ტაჩანკები.

— ჭენებო! — დაიყვირა ნიკოლკამ და, როცა იგრძნო, მის უკან თანდათან მატულობდა ფლოქვების თქარუნი, თავის ულავს მათრახი გადაუჭიროა.

ტყის ნაპირას თავგანწირვით აკაკანდა ტყვიამფრქვევი, დამხედურები კი, რომლებიც სავარჯიშოდ გამოსულებს ჰგვანდნენ, ნიაღვარივით გაიფანტნენ.

* * *

ბირკებში გახვეული მგელი ბორცვზე ამოვიდა. ყური მიუვდო თავჩალუნულმა: სროლა ისმოდა ახლოს და ტალღასავით ირხეოდა სხვადასხვახმიანი ყმუილი.

ტუკ! ისმოდა თხილნარში სროლის ხმა, მხოლოდ სადღაც, ბორცვის
ით. ნახნავეებში, აჩქარებით ბურღულულებდა ექო: ტაკ!

კიდევ უფრო ხშირად: ტუკ, ტუკ, ტუკ! ბორცვის იქით კი ექო: ტაკ, ტაკ,
ტაკ!..

შეჩერდა მგელი და აუჩქარებლად, ბაჯბაჯით ხევისაკენ გასწია ვაუთობავი
ლერწმის გაყვითლებულ შამში.

— ყოჩაღად!.. ტაჩანკები არ დავრჩეთ, ტყისკენ, მაგათი დედის სისხ-
ლიც... — უზანგებზე შემდგარი ყვიროდა ატამანი.

ტაჩანკებთან კი ფუსფუსებდნენ მეეტლევები და ტყვიამფრქვევლები:
პრიდნენ საწეე ღვედებსა და ჯაჭვებს. ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი ცეც-
ხლისაგან უკვე დაშლილი ბრბო ვარბოდა.

მოაბრუნა ატამანმა ცხენი, დაინახა, რომ ფრთებგაშლილი მიჭქრის მისკენ
მოწინააღმდეგე და ხმაღს იქნევს. ბინოკლით, რომელიც მას მკერდზე ეკიდა,
და ნაბდით, რომელსაც მოაფრიალებდა, მიხვდა ატამანი, რომ ეს უბრალო
წითელარმიელი არ არის და მოსწია აღვირი. შორიდანვე შეამჩნია ახალგაზრ-
და, უშუღვასო სახე, სიბრაზისაგან მოღრეცილი და ქარისაგან დაეწრობუ-
ლი თვალები. ატამანის ცხენი ცეკვავს და უკანა ფეხებზე დგება. გააძრო ქა-
მარზე დაკიდებული მაუხერი. დაიყვირა:

— აქნიე, აქნიე ხმალი, თეთრდრუნჩიანო ლეკვო, მე შენ დაგიქნე!

ატამანმა ესროლა უცბად მოზღვავებულ ნაბადს. ცხენმა გაირბინა რვა
საყენი, დაეცა. ნიკოლკამ მოიძრო ნაბადი, სროლით ვარბოდა ატამანისაკენ და
თანდათან უახლოვდებოდა მას.

ტყის გაღმა რაღაცამ მხეტურად შეიღმუვლა და ჩაუწყდა ხმა. მზე ღრუბ-
ლით დაიფარა და შემოდგომისაგან გაფერფლილ ველზე, გზაზე, ტყეზე ქარმა
მცურავი ჩრდილები გააწვიანა.

„ყოჩაღია ღლაპი, ფიცხი და ამიტომ მას აქვე ჩატყებნის სიკვდილი“, ნა-
წყვეტ-ნაწყვეტად ფიქრობდა ატამანი. შეუტადა, ვიდრე მას ეაზნები გაუთავ-
დებოდა, აღვირი მოუშვა და ქორივით ზედ დააცხრა.

უნავირიდან გადმოწვა, ხმალი მოუქნია, ერთი წუთით იგრძნო, როგორ
მოითენთა ტანი და უნებურად დახრხდა მიწაზე. ჩამოხტა ატამანი, მკედარს
ბინოკლი ააძრო, შეხვდა ფეხებს, ციებიანოვით რომ კანკალებდნენ, მიიხედ-
მოიხედა, ჩაჯდა, რათა მკედრისათვის ქრომის წაღები გაეხადა. ფეხი დააპირა
ატკაცუნებულ მუხლს, ერთი წალა სწრაფად და მოხერხებულად გააძრო, მეო-
რე. ეტყობა წინდა ჩავარდნილიყო შიგ, არ ძვრებოდა. მოსწია, ბრაზიანად შე-
იჯინა, წაღასთან ერთად გააძრო წინდაც და ფეხზე, კოჭის ზემოთ ხალი დაინა-
ხა, მტრედის კვერცხის ოდენა...

ნელა, თითქოს გაღვიძების ეშინიაო, გადმოაბრუნა გაცივებული თავი, პი-
რიდან ამოხეტქილ სისხლში გაისვარა ხელები, ჩააცქერდა და მხოლოდ
მაშინ ჩაიხვია მკერდში მისი დაკუთხული ბეჭები და ყრუდ წამოიძახა:

— შვილო!.. ნიკოლუშკა!.. საყვარელო!.. სისხლო ჩემო!..

გაშეშებულმა დაიყვირა:

— ერთი სიტყვა მაინც მითხარი, ბიჭო! აბა, ეს რა არის, ა?



დაეცა, ჩამქრალ თვალებში ჩაშტერებოდა, სისხლჩაქცეულ ქუთუთოებს უწედა, უნებურად მოთენთილ სხეულს ანჯღრევდა, მაგრამ ნიკოლკას ძველი ჩაეკენიტა ენის გალურჯებული წვერი, თითქოს ეშინოდა არ წამოცდენოდა რალაც განუსაზღვრელად დიდი და მნიშვნელოვანი.

მკერდზე მიიკრა, ჩაკოცნა ატამანმა შეილის გაყინული თითები, ჩასჭიდა კბილები მაუხერის დაორთქლილ ფოლადს და პირში გაისროლა ტყვია.

სალამოზე კი, როდესაც ტყიდან ცხენოსნები გამოჩნდნენ და ქარმა კაცის ხმა, ცხენების ფრუტუნი და უზანგის ქლარუნი მოიტანა, ატამანის აბურძგნული თავიდან ძერა ზანტად აფრინდა.

აფრინდა და ვაჰქრა შემოდგომის ნაცრისფერ ცაში.

თარგმნა **ზ. ამაშუკელმა.**



აკაკი პაკიანი

ყველაზე ნამდვილი ცხოვრება

სამუშაო კომბინეზონიანი შუახნის კაცი დედას სწერდა და ტიროდა. საქალაქო ფოსტის მრგვალ დაბალ მაგიდაზე იისფერი მელნის ნაშეფეხები ზვინავდა. წამდაუწუმ ჩახუნობდა კარები, წყრიალებდა შინები, „საქალაქთა-შორისობები“ ხმას იხლეჩდნენ სატელეფონო ჭიხურებში. კაკუნობდა ტელე-გრაფის აპარატები, ტელეფონისტი ქალიშვილი ნერვებაშლილი, უკანასკნელ მოდაზე თმაშეკრეჭილი, ბიბლოზე ცისფერ კლიპსმიჭობილი ყურიდან ტელეფონის მილს არ იშორებდა და ეჩინიანად იმეორებდა ერთსა და იგივეს: „მოქალაქე, რამდენჯერ უნდა გითხრათ — დარეკეთ უფრო მოგვიანებით“.

კაცმა მოათავა წერა, მიმოიხედა, კონვერტი დაწება, დააკრა მარკა და სარკმელთან რიგში ჩადგა შეკვეთილი წერილის გასაგზავნად. წელანდელი ცრემლებისაგან წაშრებები ჯერაც სველი ჰქონდა. შეწითლებულ ქუთუ-თოებს ცხვირსახოცით იმშრალებდა.

დამაინტერესა ამ კაცმა. ნახევარი საათის შემდეგ უკვე სასტუმროს ნომერში ვბასობდით და ჩინური თერმოსიდან მაგარ ჩაის შევექცეოდით.

გვარად საზონოვი იყო ჩემი ახალი ნაცნობი. პაშა ერქვა. ასე მომმარ-თეთო, მთხოვა. პაშა სატვირთო ავტომანქანის შოფერი აღმოჩნდა. ნოვორო-სიისკში გაეგზავნათ საბავშვო ბაღის ცემენტისათვის და ახლახან დაბრუნე-ბულიყო. პაშა გარეუბანში ცხოვრობდა და ტრამვით ბრუნდებოდა შინ, რადგან გარაჟი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. მოკრძალებით იჯდა ქათქა-თა რბილ სავარძელში, ლაპარაკობდა გულლიად და ლიტერატორებისაგან ნამდვილი, ჭეშმარიტად ნამდვილი, ცხოვრების აღწერას მოითხოვდა.

„თქვენ მკითხეთ, რატომ ტიროდი, დედას რომ წერდი?“ — მკითხა პაშამ ჯიქურ. იგი პირდაპირ მიცქერდა, ისე, რომ ერთხელაც არ დაუფახუ-ლებია ნაღვლიანი, დატანჯული თვალები. — განა ასე ადვილი ასახსნელია?! საამისოდ მთელი ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი ნამდვილი ცხოვრება უნდა შეიტყოთ. მომისმინეთ და მოგიყვებით. ჩემი ამბავი თმის შემდგომ იწყება. ჩვიდმეტისა წავედი ფრონტზე და ოცისა ჩამოვედი. არმიიდან სოფელში უკავიკოდ დავბრუნდი. მივედი შინ. გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ერთი

თვე დასვენება მერგებოდა, მაგრამ არ დამისვენია. პატარა და მყავდა. ფეხშიშველი დაეხეტებოდა მინდვრად, ჩამპალ კარტოფილს ნახულობდა. მოჰქონდა სახლში და მერე დედაჩემი მოტანილ კარტოფილს ქატოში ახალავდა და პურს აცხობდა. მომართვა დედაჩემმა ჯარის შემდეგ პირველად ასეთი პური და ვერ ვჰპამე. გავბედე, ვუკბინე ერთი-ორჯერ და მაინც ვერ ვჰპამე, გული აწერია. წვნის შეჭამადი მოედულებინა დედაჩემს და ცოტა ის მოვსვი. ამასობაში ბებიაც დაბრუნდა, სამათხოვროდ ყოფილიყო წასული. ნამათხოვრებ პურში თეთრი პურის ნატეხებიც გამოვიღე. ვჰპამე, ვიტირე კარგა მაგრად ჩემთვის ჩუზად და დილით გორკის ჰესს მივაღეჭი. მივედი, რას ვხედავ — უამრავი ხალხია. ჯარში შოფრობა ვისწავლე, ჰოდა, ვიფიქრე, ამდენ ხალხში ჩემს ადგილს როგორ ვერ ვიპოვი, რა დაჰკარგავს მეთქი. სადაც ათასი მოეწყობა, ერთის ადგილიც მოიძებნება. მივედი გაბედულად კადრებში, ვუჩვენე დოკუმენტები, არ ვარგავო, მითხრეს, თურმე შოფრობის მოწმობა უნდა მამეტანა გორკიდან. იქ გამოგვდინაო, მოწმობას მოგცემენ და როცა მოიტან, მაშინ მივიღებთო. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა ჩემი ფეხებით უნდა ჩავსულიყავი გორკში?

დაბერებული ხელცარიელი, მეწყინა. მთლად ბავშვი ვიყავი მაშინ და ჯიბეში ვახვრეტილი შაურიანიც არ მომეძეოდა, სალდათის გამოხეული შარვალი მეცვა. ვიფიქრე და გადავწყვიტე: აღარ წავალ გორკში, ჯანდაბას იქით წასულა ყველა წვრილმანი ადამიანი-მეთქი. „გამიწყვე, დედაჩემო, საგზალი, წავალ ივანოვოს, იქ მაინც მოვეწყო ეგებ“. მიხიკ-მოხიკა დედაჩემმა ჩემი ნივთები, მომცა ფულიც...

ჩავედი ივანოვოს, მივდექ-მოვდექი. ცოტა გამოვიქევე კიდეც ცხოვრებაში. გადავწყვიტე უფრო ფრთხილად და ჰკუთით მოვეცეულიყავი მილიონობით ნაფრონტალი იყო მაშინ, მედალოსანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდი, ჰოდა კადრების ხალხს ასე ადვილად ვერ გააცურებდი, გულს ვერ აუჩვილებდი და ვერც დამსახურებით გააკვირვებდი. აღარ მივდგომივარ პირდაპირ კადრებს, ჯერ მივზვერ-მოვზვერე, სად ვინ უნდოდათ. შოფრობა შემეძლო, მაგრამ შოფერს ოთხას ათი მანეთის მეტი არ გამოსდიოდა. კარგი მუშა ქარხანაში გაცილებით მეტს იღებდა. არ უნდა ლაბარაკი, ზეინკლად ნოწყობა ჯობდა, მაგრამ ზეინკალზე მეტს მჭედლები აკეთებდნენ. მოვეწყვე მჭედლად. ჩხინკორა ბიჭი ვიყავი, კაცი იტყოდა ჩინჩხვარივით გადავტეხ წელშიო, მაგრამ ვერ მოგართვეს, თვითონ არ ვიცოდი თურმე რა ძალა მქონია. დავითვალე და ერთ ცელაში თხუთმეტი ათასჯერ მომიწია უროს მოქნევა. ურო სულ ცოტა ხუთ კილოს იწონიდა. მათე-ნატეკოსს არ გაუჭირდებოდა გამოთვლა, რა წონას ვწევდი ცელაში. რომელი ატლეთი მაჯობებდა? მაგრამ ფულიც კარგა გვარიანად გამომდიოდა — ჯერ შვიდასორმოცდაათი, მერე ცხრაასი, ათას სამასიც დაეურტყი ერთხელ, სინდისს გეფიცებთ. წარმოგიდგენიათ — 1.300!

ჩემი უფროსი, მჭედელი ივანე ხანშიშესული წარმოსადეგი, მხარბეკიანი კაცი იყო. ზოგჯერ ქარხანაში მისვლას დავასწრებდი, ქურას გავაჩალებდი, დეტალებს მოვამზადებდი და ისიც მოვიდოდა. ხეზე ხომ არ გეძინა, პაშკა? როდის მოასწარიო, მეტყოდა ხოლმე. ისე, ნამდვილი თუ გინდათ იცოდეთ, ალიონზე იმიტომ მივებოდი ქარხანაში, რომ ხალხში გამოჩენისა ნრცხვენოდა — თითგამოვარდნილი წულები მეცვა, სახვევები ფეხზე შემომადნა. დედას ვუგზავნიდი ფულს, ლუქმას ვიკლებდი, ტანსაცმლისათვის

კაპიკს კაპიკზე ვაწებებდი. ჰოდა, თუ დამიჯერებთ, ერთ წელიწადში ქალაქი ტანსაცმელიც ვიყიდე, ჯერ ბამბის, მერე მაულის.

ბოლომდე ასე კარგად წავიდოდა საქმე, რომ ჩემი არ დამმართნოდა. მეც კაცი ვიყავი და ქალი მომინდა. სანამ წულღებით მოვიპარებოდი სამუშაოდ, არც მე მცხელოდა სხვისთვის და ვერც მე მამჩნევდა ვინმე, მაგრამ როცა ჯერ ერთ კოსტიუმში, და მერე მეორეში გამოვიჭიმიე, მოგვეათ ლხენა, მზერაც დამიწყეს და არც მე ჩამოერჩი. ქალებზე გეუბნებით. რაც არ უნდა ყოფილიყო, ჯარშიც ვიშასხურე. გერმანიაზე გამარჯვებისათვის მედალიც მქონდა. ხელობაც გავიჩინე, ჯამაგირსაც ისეთს ვურტყამდი, სავსებით იკმარებდა ერთი ოჯახისათვის. თუმცა ისიც მართალია, რომ არავინ იცოდა, ეს სასიძო ბიჭი ნახევრზე მეტს დედასა და დას რომ უგზავნიდა, წელში გამართვას, კერიის აღდგენას რომ შევლოდა მათ.

შევათვალთვალე ერთი გოგო. მასაც პაშა ერქვა, ჩუმი, წყნარი, ჰიანჭველას ფეხს არ ადგამდა. არა, ნასწავლი არა, ბუნებით იყო ასეთი. გამოვარჩიე რატომღაც სხვებში. ჰო, მართლა, ყვითელ კბაბს იცვამდა და ყვითელ ფერს გულგრილად ვერ ვიტანდი, მიზიდავს რაღაც ყვითელი ფერი. მომხიბლა მისმა ყვითელმა კაბამ და ლამაზმა ფეხებმა. თვითონ გამხდარი კაცი ვარ, ფეხებიც, ხედავთ, ტარანცივით გამხმარი მკვეს, მაგრამ ქალს რაც უფრო მსუქანი კანკები აქვს, მით უფრო მომწონს. არა, ცუდად ნუ გამიგებთ, უშნოზე არ გეუბნებით. ჩაიარს, მაგალითად, გოგო საამქროში, მე შეჩვენებული მივაშტერდები ფეხებში, თუ მსუქანი კანკები ექნა, ხომ კარგი, მთელ დამეს ვიწროილებდი ლოგინში, აღარც სახე მახსოვდა მისი, აღარც ტანი, კანკები მეღანდებოდა მხოლოდ, განსაკუთრებით ჩექმები თუ ეცვა, მთლად საჩემო იყო...

მოვიყვანე ჩუმად, უაუტრზაუროდ. მივედი სამუშაოზე, გავახურე დეტალები და ასმენსუთე დარტყმაზე ვეუბნები ივანე ვასილის-ძეს, ცოლი მოვიყვანე-მეთქი. შემხედა ეჭვიანად, არაფერი უთქვამს, სახეზე შევატყვე მხოლოდ, არ სჯერა. განვაგრძეთ ჭედვა. მოვიწინე ასჯერ ჩემი ხუთკილოიანი კიდეც და ვუცდი. გამიგო, როგორც იქნა, დაუშვა ურო და მეკითხება: „კაცი, შენ არ სტყუი, მგონია?“ „არა-მეთქი“ — ვუპასუხე. „რა ქვია?“ — „პაშა“. — „პაშა?“ — „ჰო“. მეტი არაფერი, განვაგრძეთ ჭედვა, ხუთასზე შევისვენეთ მოსაწევად. ივანე ვასილის-ძემ, აქაო და ცხოვრებისა მეტი ვიცო, მიჩნია სახელი გადაარქვი, შენც პაშა, იგიც პაშა, ვინმემ არ აუროსო. რა უნდა დამერქმია? კლავოჩკად ხომ არ მოვნათლავდი? აიღე და პანია დაუძახეო. მომეწონა მისი აზრი. დავარქვი პანია. მივედი შინ და პანია-თქო დაუძახე. მომხედა და გამიღიმა, არ გაკვირვებია. კაცმა რომ თქვას, ახლა სახლში მისგლა გაცილებით უფრო მეხალისებოდა კიდევ... წყალი მზად დამხვდა. ნაჭირავებ ოთახში ვცხოვრობდი და მაინც მოეხერხებინა გაცხელება. დეწყო ლამაზად ტაშტი, საპონი, ქისა, ზურგიც თვითონ დამბანა, ერთი-ორი წამიხეცინა კიდევ; თუმცა ლიტინს ვერ ვიტან. ერთი სიტყვით, დიდებულად ვგრძნობდი თავს.

გავათავე ბანა, გაიტანა სამი ვედრო წყალი, ორი ჩაზანგულ-ჩაშავებულს, მესამე ჩვეულებრივად ნაბანი. მივუჯექით შავიდას სასადილოდ. საერთოდ, რომ თქვას კაცმა, რაღა დროის სადილობაა ღამე, მაგრამ მოგესხენებათ მუშა კაცი ვახშობისას სადილობს სწორედ. დღე, სამუშაოზე შავი

პურის ნატეხითაც გაიტანს თავს. თუ ღმერთმა ქნა და ყველიც იშოვა. უკეთესი. საღამოს კი მიირთმევ, როგორც წესია, წვნიანს, მიაყოლებ კარტოფილს და პატარა ხორცის ნაჭერსაც მიხვევ მღოვრვასმულს.

პანიამ მითხრა — სწორედ ჩემს ნაფიქრალს მიმხვდარხარ. მეც ვიფიქრე, ერთმანეთი როგორც უნდა გავარჩიოთ-მეთქი. ვამიღიმა, ჩამიციანა და დაუმატა — კიდევ კარგი, თორემ ვინმეს ავერეოდითო. ხუმრობაც შეეძლო სანდახან, აბა! მზად ვიყავი მაშინ სულაც კი გამეწირა მისთვის, სული რაა — უხილავი — სიცოცხლესაც არ დავიშურებდი. ასე მეგონა, ბედს ვეწიე, ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა-მეთქი. ეპ. რა უცნაურადაა აწყობილი ჩვენი ცხოვრება, საათის მექანიზმი რაა, იმაზე უფრო რთულია, მე შენ გეტყვი, თქვენსებტ ანკერის ქვაზე არ ბრუნავდეს. კარგი და არ ჩამოვსულიყავი ივანოვოში, არ მეყიდა მთუდის კოსტიუმი, ხომ ვერ ვეწეოდი ბედს? ის ფორმალისტიც კი დავლოცე, კადრებში, გორკში წასვლა რომ მომთხოვა. დამტოვებდა კაშხალზე და ვის შეხვდებოდა მერე პანია?

ასე ვფიქრობდი, ყოველ შემთხვევაში, რომ არ მოვიტყუო, ნახევარ წელიწადს. მერე კი საგონებელში ჩავვარდი. წარმოიდგინეთ — მეფე ჩამოვბგდეთ, ბურჟუები გავრეკეთ, ჰიტლერს კისერი მოეუგრინეთ, და როგორც კი საქმეში რძალ-დედამთილის ურთიერთობა ჩაერევა, განსაკუთრებით რძლების დამოკიდებულებას ვგულისხმობ, გამოირკვევა, ივანე მრისხანეს დროსაც არ გავცილებდითარ, სიტყვაზე რომ ვთქვით. ეწეროს მაინც სადმე, ან ვაზეთში, ან ჟურნალში, ან თუნდაც საოჯახო წიგნში, როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში კაცი. შენც არ მომიკვდე, არავის სტიკვა საამისოდ თავი — როგორც გენებოს, ისე მოიქეციო. საქმეა ეს?

საგონებელშიც სწორედ ამან ჩამაგდო. დედას რომ ფულს ვუგზავნიდი, თითოეული ასო გულმოდგინედ გამომაყვდა ბარათზე, ვიკოდი, მარტო ჩემი ნაწერიც კი გაახარებდა. მსიამოვნებდა, რითიმე მაინც გადამეხანდა დედის ამაგი. ჰოდა, შემეჩნდა პანია. მომადგებოდა ზურგს უკან, დამიწყებდა დათაფლული ენით — გადაასწორე პირველი ციფრი, მოაკელი ერთი. გადავასწორე. შემრცხვა, მაგრამ მაინც გადავასწორე და ერთი ასიანით ნაკლები გავუგზავნე დედას. რასაკვირველია, დედას არაფერი მოუწერია ამ ცვლილების შესახებ, წინანდებურად მადლობას მწერდა, მოკითხვას უთვლიდა პანიას. ერთხელ კიდევ დაუუჯერე და ერთი ნიშნით კიდევ გადავასწორე, ისევ მადლობის მეტი არაფერი შემოუთვლია დედას. სულ გავედით თავს — ორ თვეს ას-ასი მანეთი გავუგზავნეთ მხოლოდ. ფუყურებ ჩემს კნინას, ბოლოს ნოლიანის მოკლებასაც ხომ არ შემომთავაზებს-მეთქი. შენც არ მომიკვდე, ამდენს კი მიხვდა, პირიქით, უფრო და უფრო მელაქუცება.

გავიდა დრო და პატარა ოთახიც მოგვცა ადგილკომმა. ბინაზე ძაან ვიწროობა იყო მაშინ. ჩავვარდით საგონებელში — უშიფონეროდ ოთახი გინდა გქონია და გინდა არა. შევათვალთვალე ერთგან კიდევ შეფანერებული, შელამაზებული. ცოტა მასაც ჰქონდა გადანახული, მაგრამ მაინც არ გვეყო. ..რა ვქნათ, იცი, მოდი ერთხანს ნუ გავუგზავნით დედაშენს ფულს, ვიციდით შიფონერს და მერე..“. დავატანე თავს ძალა, დავეთანხმე. ერთ-ორ თვეს გაოგნებული დავდიოდი, ვგრძნობდი, ვაწყენინე მოხუცს, მაგრამ შიფონერი? ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა, რომ მშობელი დედა შკაფში გავცვალე.

მთელ ნახევარ წელიწადში მოვახერხე და ნაპარევად ერთი ასიანი



გაუგზავნე როგორც იქნა. მეშვიდე თვის თავზე მოულოდნელად ვიღებ. დედაჩემი მიგზავნის. დავთვალე, შვერცხვი კაცი, კაპი-კაპი ბრუნა მთელი თანხა, რაც ცოლის შერთვის შემდეგ გამეგზავნა. მეორე დღეს წერილი დამხვდა: „გატყობ ვერა ხარ, პაშენკა, კარგად, ალბათ, საშუაო თუ დაკარგე და გამხელა გერიღებ, ან ავად ხომ არ ხარ, შვილო? გიგზავნი რაც დამიგროვდა, თქვენია, მოიხმარეთ, როგორც გინდოდეთ, არ იღარდო ოღონდ. სამუშაოს ყოველთვის ნახავ — არა და ჩამოდით სოფელში, სახლი გვაქვს და კარი, ჭერსაც აღარ უვლის, უკეთესადაც ვართ, პურიც გვეშოვება და ხორცსაც ვჭამთ ხანდახან...“ ზეპირად ვისწავლე მთელი წერილი, არც მახსოვს, რამდენჯერ გადავიკითხე, ცრემლი მალრჩობდა. ნახა პანიამ წერილი, წაიკითხა ჩუმად, აბზიკა ცხვირი და ისეთნაირად შეისწორა თმა, მარტო ამისთვის მოკლავდა კაცი, თანაც, იცით რა შითხრა? — „ხომ ხედავ, პაშა, მშვენიერად ყოფილან, პურიც ჰქონიათ და კვერცხიც. შეგნებული ქალია დედაშენი, ჩვენ, მოდი, ტიულის ფარდები ვიყიდოთ და ერთი სამასმანეთიანი კედლის ნოხიც წაუშობათ“.

ჰოდა, მაშინ იყო, რომ რეჩხი მიყო გულმა ცოლის წინააღმდეგ. გამოდის, ვერ გამიგო ვერც მე, ვერც დედისა გაიგო რა, და საერთოდ არაფერი გაუგია ამ ქვეყნისა. კაცო, შენსას თუ აკეთებ რამეს, სხვისას რას ექაჩები? მთლად უნდა დაკარგო ნამუსი? ეჰ, ფიქრით კი ვიფიქრე ასე, მაგრამ, ისევ მას დავუჩერე. თავისი გაიტანა მაინც, მომიღბო გული, ეშმაკის გაჩენილია ქალი. სოფლად ბევრი არ უნდა ადამიანსო, ქალაქად თუ გრეხილი სკამი არ გიდგას. კაცად არ ვარგისარ, სოფელში ჯორჯოც ავეჯიო. უარი უნდა მეთქვა დედის ფულზე, სადაც წესია, მაგრამ ვერ შევძელი. დამიძიმდა გული, ო, რომ იცოდეთ, როგორ დამიძიმდა: ასე მეგონა ჩემია ქვეყანამეთქი — ორბორტიანი კოსტიუმიც შევიკერე, პეწიანი ფეხსაცმლებიც ვიყიდე, შკაფიც მოვათრიე, ფარდებიც დავკიდე და... გამახსენდებოდა, როგორ ექებდა ჩემი და დამპალ კარტოფილს მინდორში და საყვირამდე რული არ ეკარებოდა თვალს. დედა მედგა სულ თვალწინ, სამამანეთიანს რომ მაძლევდა, „წაიღე, შენ უფრო გამოგადგება ივანოვშიო“...

გავები, მაგრად გავები, და ხსნა არსით იყო. ოჯახური ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა, შვილი არ გვყავდა, ექიმიან არ წავსულვართ, ერთმანეთს არ ვაბრალებდით, მაგრამ მაინც ვეაწუხებდა რაღაც.

ისევ შემეჩინდა ერთი წლის შემდეგ, „შორეულ ჩრდილოეთში გადავიდეთო“. არ ვიცი ვინ ამიტხა — წავიდეთ და წავიდეთო, ამომიღო სული, შემკაშა, გადაყვანისა — ერთიო, გადიდებული ხელფასი — მეორე და ამასთან წანამატიც შიათვალეო. მეც არაუშავს მოვეწყობიო, აკი ზეინკლად მუშაობდა. „დავბრუნდებით და საკუთარ სახლსაც ვიყიდით, დედაშენსაც ჩვენსა გადმოვიყვანთ, განა ვერ ვხედავ, დარღობო“. დამითანხმა, როგორც იქნა, ამ ბოლო არგუმენტით. ავტყდი მეც, „შევიტანე განცხადება, მოწმობები. გვაფორმეს ორ თვეს, შოგვეცეს ბოლოს გადასაყვანი ფული და ავიდეთ სამგზავრო მატარებლის ბილეთებიც“.

ვერ გავძელით ჩრდილოეთში, ისევ სითბოსაკენ გავვიწია გულმა. ავიკარით ვულა-ნაბადი და წამოვედით. ივანეს სხვა მჭედელი აყვანა. საწარმოში ახალი დირექტორი დაგვხვდა, დაგვიწყო აღმაცერად ყურება, არ მოსწონდა ხეტიალი ხალხი.

დამითანხმა ცოლმა ყუბანში გადასვლაზე. სითბოც მეტია და საქმელიც, მოწყობაც უკეთესად შეიძლებაო. სახლის აშენებაც იაფი დავგიჯდებო. ყუბანში მტაცეს ხელი, მხარე შექანიზებულია სავსებით და საჭესთან დამსვეს.



მსმელი კაცი არ ვარ და ამით გარაჟის გამგის გულიც მოვიგე. ყუბანს გარდა თუ წავიდოდი, უკან რეისზე ხე-ტყის წამოღებასაც არ მიშლიდა, ადგილიც ვიძოვე და გავაწყვეთ ორთავლიანი სახლი, ვერანდაც მივაშენეთ პატარა და შიფერით გადავხურეთ. გაჩაღდა ჩვენი კერიაც გარეუბანში, მეზობლებიც გაგვიჩნდნენ, ჰავაც კარგი გამოდგა, რბილი... დედაჩემის ამბავს მკითხავთ, ალბათ? რა ვითხრათ, ოთახებში, ისე მოეწყო. საქმე, რომ ერთი სანტიმეტრი ადგილიც აღარ დარჩა ზედმეტი კაცისთვის...

პაშა შეიშმუშნა სავარძელში, დაცურებული ჩალითა გაასწორა და მეორე სიგარეტის მოწვევის ნება მთხოვა. თვალეზი ისევ ჩაუნადვლიანდა, ისევ მოიბუხა და საცოდავი ჩანდა, აღარც მინდოდა კიდევ გახსენებოდა რამ.

აი სწორედ რა „ნამდვილი ცხოვრება“ აფიქრებდა ჩემს შემთხვევითს ნაცნობს. კაცს ნადვლის ამონახვევა, ლაპარაკი, გულის მოთხება უნდოდა, თუნდაც არაფერიც რომ არ მეთქვა მისთვის.

— ცუდად ნუ ჩამომართმევთ, — განაგრძო მან თითქმის ჩურჩულით, — შეიძლება ჩვენ აღარც შეგხვდეთ აწი არასდროს. რატომ ვიყავი უფრო გულარხინად ჩემს ძველ წულღებში, ვიდრე საკუთარ სახლში ვარ ახლა? წლების ბრალით, მითხრა ერთმა შეგობარმა, მაშინ ახალგაზრდა იყავი, უფრო მჩატეო... შეიძლება ასეც იყოს. ოცდათხუთმეტისა ვარ უკვე. მაგრამ წლებს ჰკუაც მტერი მოჰყვება ხოლმე, მტერი შეგნება. ჩვენ კი დედასთან კავშირი სულ გავწყვეტეთ. არაშხადა ვარ და თავი მინდა გავცმართლო. გამოვითვლი, გადმოვიყვანო თუ არა და ვერ ვახერხებ — ფულს ვუფრთხილდები. ღობე არ გვექონდა დამთავრებული, ჰაზზე საქაჩავი მოვაწყოთო, ახლა ამაზე ამიხირდა. თუმცა რას ამიხირდა, თავს ვიტყუებ, თორემ, ვატყობ, რომ ჩემშიც კარგა შხამი სოკოსავით იზრდება მესაკუთრე.

ერთი უბედურებაც დაგვერთო — ექიმებმა ქალს უშვილობა დაუდგინეს. რაღაცა ეშმაკი გაჩენია, გადაირია, საოპერაციოდ არ მიდის — დამკლავენო, ეშინია...

მივწერე ჩემი უბედურება დედაჩემს, რჩევა ვთხოვე. არ დაუყოვნებია, ავიაფოსტით გამომიგზავნა პასუხი, ჩამოვალ დროებით, წაგეხმარებით, სანამ პახია სავადმყოფოში იქნებაო, არც ბილეთის ფული მოუთხოვია. ჩემი და ბრიგადირად ყოფილა ახლა კოლმეურნეობაში და დამპალი კარტოფილის დრო აღარც კი ახსოვთ. არ იდარდო, ქალის ავადმყოფობა ჩამომრებია, მოიკეთებსო. დაანებოს თავი სამსახურს, მარტო შენი თუ არ გეყოთ, დაგეხმარებითო. აი რა მომწერა დედამ...

პაშა, ეს ხელდაკოყრილი — ჩაშავებული კაცი ჩემს წარმოდგენაში გარდაიქმნა უცებ. წარმომიდგა თვალწინ მისი ბავშვობა, დარბის ქუჩაში, წვინტლიანი, შავთვალეზა, მომდგარა წინაკარზე დედა: „პაშა, სახლში!“ იგი კი დარბის, არც ესმის მისი, არც ფიქრობს არაფერზე, და სულაც არ არის ისეთი, შემდეგ რომ გახდა. შიქრიან დაუნდობლად წლები და აი ზის შენს წინ კაცი, კაცი, რომელსაც თავისი შეხედულება აქვს ცხოვრების სიმართლეზე და ჯიუტად გთხოვთ წერო მასზე ისე, რომ არაფერი დააკლო, არაფერი შეელამაზო, არ დაფარო მისი შიშველი ცხოვრება, რომელიც არც შეიძლება სამარცხვინო იყოს.

სართულის ძორიგემ დარეკა:

— ბოდიში, თქვენთან ნომერში უცხო კაცია.

— გმადლობთ. იგი ძალე წავა...

და განა უცხოა იგი? რად არ ვუთხარი ეს ძილმორეულ სართულის მორიგეს? ან იქნებ დაუპატიჟებელი სტუმრის მოცილებაში უნდოდა დაძმარება და პაშამ ადმინისტრაციას უფრო ადვილად გაუგო, ვიდრე მე. წამოღვა და ხელი გამოძიწოდა:

— ხახვამდის, ამხანაგო...

— გაგაცილებთ, პაშა...

გამოვდივართ ქუჩაში. სიჩუმეა. მთვარე დანათის ქალაქს, სპილენძისფერი მთვარე და ნათლად მოჩანს მის დისკოზე, როგორ აუტაცხია ფიწალზე ძმას ძმა. მივყვებით მთვარისა და ლამპიონების შუქზე შეფერილ მწვანე გვირაბს, ხეთა რტოებს რომ შეუქმნიათ. გვირაბს ყუბანის ნაპირზე ვავყავართ.

— წამოდით ჩემთან, — მთხოვს პაშა, — გთხოვთ, გაათიოთ ჩემთან. ხვალ მიემგზავრებით? გაათიეთ ეს ბოლო ღამე ჩემთან. შორს კი ვცხოვრობ, მაგრამ არაუშავს! ტაქსის ვიშოვი, — ჯიბეები მოიქეჯა, — ფული მაქვს. ხვალ გამოსასვლელი დღეა, გაგაცილებთ წამოხვალთ?!

თვალეებში შუდარა უკრთის.

— არ შემიძლია, პაშა, მშვიდობით!

ო, როგორ ვინანე შემდეგ, რომ არ წავყევი. როგორ მემუდარებოდა. ვინ იცის, როგორ სწყუროდა მას იმ სულიერი აშლილობის ეპოს ადამიანი, ადამიანი, რომლის პოვნაც ასე ძნელია მიმიგე, გამოუვალ წუთს, მით უმეტეს თუ გვერდით შეგობარი არ გყავს, შეგობარი, რომელიც ყველაფერს გაგიგებს. და კიდევ ვირწმუნე ერთხელ — რა ბედნიერებაა გყავდეს მეუღლე, ნამდვილი მეუღლე.

თარგმნა ვაჟა ზანდიშვილმა.



გიორგი მაკაველაშვილი

აღიღებუდი, დაწიფებუდი სიცოცხლის გმოსანი

მისი თავი წიხნიდან „გიორგი ლეონიძე“

გიორგი ლეონიძეს სამართლიანად თვლიან ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვითმყოფად და ეროვნულ ქართველ პოეტად, რომელიც უმკიდროვინად არის დაკავშირებული მშობლიური ენის იღუმალეზასთან. ჩვენც აქ უნდა ვემოთ გიორგი ლეონიძის პოეტური თავისებურების საფუძველი და პირველწყარო. მართლაც და ვინ შეედრება ჩვენი პოეზიის ამ დაუღალავ გუთნისდედას ქართული ენის ყამირის გატეხაში, ტკბილი ქართულის ჯერ მიუკვლეველი და ხელუხლები ფენების ამოხელტვაში, მის გადამალულ საუნჯეთა გაამომწეურებაში, სიტყვის აღმოჩენა-გაცოცხლებასში, შეგროვება-შერჩევაში, მორთვა-მოკაზმვაში ან, თუ ვნებათ, შეთხზვა-გამოგონებაში? ხოლო ენა ხომ ლიტერატურის ეროვნული ფორმის პირველემენტი და მთავარსაწინდარია! ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ჯერონად შესწავლილი და შედარებული, თუ რა დიდ და უნივერსალურ გავლენას ახდენს ენის ფენომენი არა მარტო პოეტური სტილის ყველა დანარჩენ კომპონენტზე, არამედ თვით პოეტური აზროვნების ხასიათზე, უფრო მტიც — ყოველი ადამიანის (უკვე პოეზიის ფარგლებს მიღმაც კი) ეროვნულ თავისთავადობაზე, მისი ფსიქიკის, მისი სულიერი სახეაროს ეროვნულ გარკვეულობაზე.

სწორედ ქართული ენის სტიქიასთან (აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლექსიკა არ იგულისხმება) უღრმესმა და საოცრად ორგანულმა კავშირმა განაპირობა, როგორც ვთქვით, გიორგი ლეონიძის პოეზიის თვითმყოფადობა და განუმეორებელი თავისებურება.

ერთი აუცილებელი განმარტება: როდესაც ჩვენ

ამა თუ იმ პოეტის თავისებურებაზე, მისი პოეტის სპეციფიკურ ნიშნებზე ვლაპარაკობთ და გამოვყოფთ მის რომელიმე განსაზღვრულ თვისებას, — ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ თვისებას მოკლებულია ყველა სხვა პოეტი ან რომ ის პოეტი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, მოკლებულია ყველა დანარჩენ ნიშან-თვისებას! პოეტის სახეით საშუალებათა მდიდარი კომპლექსი და ურთულესი ხლართია, ხოლო პოეზიაში ინდივიდუალურ სპეციფიკას ამა თუ იმ ნიშნის უნიკალობა ან ამა თუ იმ პოეტურ ხერხზე მხატვრის მონობოლია კი არ ქმნის, არამედ სტილისტურ კომპონენტთა ურთიერთკავშირი და მიმართება, ამ კავშირის ხასიათი და ბუნება, გარკვეული სტილისტური ელემენტის დომინანტური მდგომარეობა და, რაც მთავარია, ყველა ამ სახეით საშუალებათა გაცოცხლება, განსაზღვრა, განპირობება თვით პოეტის სულიერი სამყაროთი, მისი მსოფლგაგებითა და მსოფლშეგრძნებით, ხასიათითა და ტემპერამენტით. ცოცხალ ბუნებაშიც ხომ სპექტრის შვიდად-შვიდი ფერის სხვადასხვაგვარი შეხამება სულ სხვადასხვა ეფექტს იძლევა, ხოლო მსგავსი ქიმიური ელემენტების განსხვავებული ურთიერთმიმართება ნაირნაირ ნივთიერებას წარმოშობს!

როდესაც ჩვენ გიორგი ლეონიძის პოეტური ენის თვითმყოფადობაზე და მშობლიური ენის იღუმალეზასთან მგონის უღრმეს კავშირზე ვლაპარაკობთ, სრულიადაც არ გვულისხმობთ სიტყვით თვითმნიშვნურ გატაცებას, პირიქით, ქართული სიტყვისადმი პოეტის ინტერესი სწორედ იმიტომაა ეგზომ ღრმა, რომ ენა მისთვის ის ცოცხალი



ძაფია, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს პოეტის
ერის, ხალხის სულიერ საუნჯესთან, მის წარსულ-
თან, აწმყოსთან თუ მყობადთან, მის ოცნებას-
თან თუ მოგონებებთან. ჭირთან თუ ღვინთან,
კმუნებასთან თუ სიხარულთან, მის ტრფიალთან,
სიძულვილთან, ვნებათა ღვლასთან, მის სიცოც-
ხლესთან და არსებობასთან.

სულ ჩემი გულის მონაწერი,
რაც დაეწეა ჩაღალდს ლექსები,
გულზე სამშობლო, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყვესებო.
მშობელ მიწაში მიდგას ფეხები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესუსებო,
თუ სამშობლოსგან დავიწორებო!
მარადი შუქით ბრწყინვალეებს იგი,
მისი ნათელი დამთვებია.
სიცოცხლე — მისი მშვენიერის იქით
ერთ ნაბიჯზედაც არ მიღობებია!
აქედრდეს მისთვის პოეტის ენა
და ტკბილი სიტყვით გამართულობა;
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა, —
ჩემი თქმულობა, ლექსქართულობა!
დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი, —
ეს ყვავილები მე დაეაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამდროვე!
გულის ნათელი მე მიპოვნია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახელი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქება,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, გიორგი ლეონი-
ძის მუშის ავტობიოგრაფიაა; და ეს პროგრამაა,
რომლის ერთგულია პოეტი იმ დღიდან, რაც მან
ლექსის წერა დაიწყო.

ღიას, ეს პატრიოტი პოეტის მოქალაქეობრივი
პროგრამაა, მისი ეთიკური კოდექსია. როგორღია
მისი ესთეტიკური მრწამსი? თუ ლეონიძის პატ-
რიოტულ დეკლარაციას სხვა ქართველი ოსტატე-
ბიც მოაწერენ სრული უფლებით ხელს, სიღამა-
ზის კონკრეტული ფორმებისადმი მათს მიდრეკი-
ლებაში ხომ უნდა იყოს საგრძნობი სხვაობა? ხომ
სხვადასხვაა მათი წარმოდგენა იმ უკეთეს ფორ-
მზე, რომელშიც უნდა ჩამოყალიბდეს თუნდაც
მინათესავე გრძნობები და თვისტომი იდეალები?

აი ამომწურავი პასუხიც ამ კითხვაზე:
ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხ-მგებლო,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს, იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვდიადში.

და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არის ცხოველი: —
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი —
შენი სიტყვების ღმილს მოვლის.
შენ გელოდება დასასტამბავად
ათი ათასი ჩანჩქერის ბღავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩუქურთმაში გამოწყვანილი!

სიცოცხლის სიჭარბე, სიუფე, სიმწიფე, მისი
უადრესი „ავსებულობა“, „სისავსე“ და ამავე
დროს მარადუქნობი სიჭაბუკე — აი, გიორგი
ლეონიძის ესთეტიკური იდეალი, მისი სიყვარუ-
ლის საგანი, მისი არჩივი. და მან არ იცის ზომი-
ერება ამ გრძნობაში, იგი არასდროს არ აიკებს
ვნებათა ღვლას, არ უღებს ზღვარს თავის მღელ-
ვარე მუშის მიმოქცევას. შეიძლება ვეთობრან, რომ
არც სიცოცხლის სიჭარბე და არც მისი უქნობი
სიჭაბუკე არ შეადგენს ლეონიძის გემოვნის
მონოპოლიას. მართალია, მაგრამ ეს მისი ერთად-
ერთი სიყვარულია. ხომ არიან პოეტები, რომ-
ელთაც უყვართ წვიმანასხური განთიადი ან სა-
დამოს მიმწუხრი და არა მცხუნვარე შუადღე,
მწვანედ მოზიბინე ჯეჯილი და არა დაპურებული
ყანა, ზამთრის ან შემოდგომის მდინარისპირა
პეიზაჟი და არა გაზაფხულის წყალდიდობა? ხომ
არიან პოეტები, რომელთაც „დასასტამბავად
ელოდება“ არა ათი ათასი ჩანჩქერის ბღავილი,
არამედ მორიდებული ნაკადულები, სულგანაშუ-
ლი ტბები, ანკარა წყაროები ან თუნდაც წყალუბ-
ვი მდინარე, რომელსაც ზნადაც, ამაყი ლიე-
ლივით მიაქვს თავისი ზვირთები ზღვისაკენ? აქ კი
სწორედ ათი ათასი გიჟი ჩანჩქერი ლამობს ეტვე-
როს, ბღავილით შეასკდეს პოეტის სტრიქონს.
შეარღვიოს მისი ლექსის ჯებირი.

არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
ნარტყამი ხმალი სააკაძისა,
არ მინდა სირჩა სხვისი ნასვამი,
ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა,
სხვის იალქანი ათროთლებული!
მე მიპოვნია ჩემი სიმღერა,
ჩემი სიტყვები გამაბობელი, —
სიტყვა ამტყვარი წვიმასავითა,
ცისარტყელებით ვარაყმფრქვეელი!

ღე ჩემი ლექსი დარჩენილიყვეს,
ვით ხმლის ნატეხი დაძველებული,
ვით წყალდიდობის ქაფი შენხმარი
დიდი მდინარის ნაპირებისა...
ვიცი, ფერფლიდან ტლდა წამოვა,
ძალა ექნება დაჯახებისა;
ვიცი, ტალიდან წარღვნა წამოვა
და არ ექნება ბოლოკიდური.
შიგ დღევანდელი ხმა დაძახებს,

ჩემი გულის ხმა სიცოცხლიანი...

ახალ ვაჟაცაბა ახალი ღონით,

ახალ ქართლის შვით გაჩაღებულნი...

ნუ კი იფიქრებთ, რომ ლეონიძის პოეზია უდარ-
დელად ოპტიმისტურია. დიხაზე, იგი დაბადებულა
თავბრუნდამხვევი სიხარულისთვის, წრეგადასული
ლაღობისათვის, აღტიწნებული სიმღერისათვის,
გამარჯვების ზეიმისათვის. მაგრამ მით უფრო
გულსხმირია იგი, მით უფრო ადვილია მისი
დადარდინება უბედურებით, მოშინავე მწუხარე-
ბით, შეუარაცხოფა უსინდისობით. პოეტი თუ ამ-
ბობს — „არ დაიდარდო, დედაო“, განა თვით ეს
სიტყვები უდიდესი გულისტკივილის ამოგვინვა
არაა?! და ყველგან, ყოველთვის — სიჭარბე, სი-
უსხვე, სისაგვე გრძნობის გამომჟღავნებაში: სიხა-
რული თუა — ლე იყოს უზომო, ტკივილი თუა —
იყოს დაუთკებელი. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა
გიორგი ლეონიძის პოეტური ციკლი, მიძღვნილი
საქართველოს ისტორიული წარსულისადმი —
„ქართლის ცხოვრება“. მკითხველის წინაშე ცოც-
ხლდება ტრაგიკული ფურცლები პატარა ერის
ისტორიისა, რომელმაც განსაცვიფრებელი თავგან-
წირვით. გმირობითა და შეუდრეკლობით მოიგე-
რია რომელთა და ბიზანტიელთა, მონღოლთა და
ხაზართა, არაბთა და სპარსთა, თურქთა და ლეკ-
თა სისხლიანი შემოტევები. ტრაგიკული თემა
ვარიაციებად გადადის ლექსიდან ლექსში (ლეონ-
იძე პოეტური ვარიაციის დიდოსტატია) და ისე-
თია აქ პოეტური განცდის ძალა, ისეთია სისხლით
დაცლილი ხალხის ტანჯვა-წამების აღწერის და-
მარტვანებული სიმართლე, რომ სახეები, რომ-
ლებიც ფორმალურად შეიძლებოდა პიპერბოლათა
რივისათვის მივეყუთუნებინა, აღარ აღიქმებიან
როგორც ასეთი, რეალისტურად უზუსტნი ჩანან,
გვესახებინან იმ ბრძოლებში გამოკვეთილ ცოცხალ
ნაპერწკლად, იქ დაღვრილი სისხლის წვეთად,
მამინდელ ნახანძრალთა კვამლად და ნანგრევთა
ფერფლად. და ისევე, როგორც ლეონიძემ თქვა
ქართველი ერის მატინის „ქართლის ცხოვრების“
შესახებ, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ ლეონიძის ამ-
ვე სახელწოდებით დასათარებულ წიგნზე:

გაშალე... ყველა ფურცელი

არის ფოლადის ნაცარი,

დამსხვრეულ ხმალითა ჟრიალი,

დეკაცაბა ნამამაცარი.

გაშალე... ყველა ფურცელი

გულზე ნაწოლი ღრილი...

დღობანდინი ჯარები

სიკვდილის პირით მოდიან.

შავი დროშების ნისლივით

სამშობლოს დაეფინება,

ხმალს სისხლის ორთქლი აუვა,

სიკვდილით დაიკბინება...

საფლავად გაემზადება

ციხე-გალავნის თხრილები, —

ქალი და ბავშვი აწყვია

კოშკიდან გაღმორილები.

ისმის ტყვეების ჭლივლი.

კვამლი ბლავიან ხარები...

ქერქებგახდილი ხეები...

დამწვარი ნასახარები...

და რაც თმას ყალუზე აყენება.

რაც ნწარედ გვემზახოვრება, —

ქართლის მგვლელობის ძველ ამბებს

უწოდეს „ქართლის ცხოვრება“!

ამ მართლაც რომ შესანიშნავი ლექსის უკა-
ნასკნელ სტრიქონში მომბნნილია საოცრად ღრმა
და ტევედი პოეტური სახე, რომელიც უარდის
ლაკონიზმით გაღმორვეცემს ლექსის თემის — სა-
ქართველოს ისტორიული ბედობლის მთელ ტრა-
გიკულ არსს. სიკვდილი მონათლულია სიცოცხ-
ლედ. განა მხოლოდ მწარე ირონია ეს? არა, ეს
სახე ბევრად უფრო ფართოა და მრავლისმთქმე-
ლი. არ შეიძლება მასში არ დავინახოთ ქართველი
ხალხის სიცოცხლისუნარიანობით. მისი ცეცხლ-
გამძლე ამტანობით აღტაცება. სიამაყე. არ შეიძ-
ლება არ დავინახოთ მასში ის ისტორიული ოპ-
ტიმიზმი, რომლის მარადიული მატარებელია
ხალხი და მხოლოდ ხალხი. აი, რისი თქმა უნდო-
და გიორგი ლეონიძეს და ჩვენც თამამად შეგვიძ-
ლია ვაღიაროთ, რომ ამ ისტორიული ოპტიმიზმის
სულსიკვებობითაა გამსჭვალული პოეტის თუნ-
დაც ყველაზე ტრაგიკული სტრიქონები, მიძღვნი-
ლი „ქართლის ჭირისადმი“.

მამა რა გასაკვირია, რომ პოეტი, რომელმაც
შავბნელი ისტორიის წყვილადმიც კი განჭვრიტა
მზის სხივი და თვით სიკვდილშიც შეიცნო სი-
ცოცხლის ზეიმი, რა გასაკვირია, რომ იგი გული-
დან ამონახებთი სიხარულთ, აღტაცების ყიყინით
შეხვდა დღევს, რომელთაც არგუნეს ბედნიერება
ხალხს, თავისუფლება სამშობლოს, გამარჯვება
გონებასა და ადამიანობას? და თუ პოეტურ
რკალს — „ქართლის ცხოვრება“ ჩვენ შეგვიძლია
ვუწოდოთ ვაჟაკტური რექვიემი ან „ქებათა-ქება“,
მიძღვნილი წარსულის გმირებისადმი, თუ წარმ-
ტაცი ციკლი ლირიკული პეიზაჟებისა, ქანრული
ჩანახატებისა და ელვარე ნატურმორტებისა, რომ-
ლებიც გაერთიანებულია ციკლში „თბილისის გან-
თიადები“, შეიძლება ჩათვალოთ თავისებურ-
რომანტიკულ სიუჟიტად, — უკვე ნამდვილ პათე-
ტიკურ სიმფონიად ჟღერენ პოეტის ლექსები,
სადაც გადაშლილია განახლებული, აღორძინებუ-
ლი, აყვავებული საქართველოს თვლისმომჭრელი
სურათები.

უხედავ, არწივმა აწივა მიწა,

გულმა როგორ არ გაიმცნაუროს?

მიწა ივიძებს, მიწა გუჟუნებს,


დაძინებული ძარღვი ხმაურობს.



— გასკერ ხეობა! —
 იბრძვის წერაქვი,
 ავარდა ნაღმი, ბელტი გადადის.
 — აღსდექ, შეხმარდი ქვეყნის დიდებას,
 გემის, იორო, ხალხის ღაღადი,
 გეყოფა, მიწვა, ცხედრული წოლა,
 უღაბნოება, ზაგის, ნაცარი, —
 აღსდექი, მხრები შეიტორტმანე,
 გვიჩვენე შენი ნამოღვაწარი!
 მარად მშვენიერ შენს სამშობლოში
 გეყო, რაც იყავ უღაბნოელი!
 უღაბურ ბელტიში ჩამარხულ ძახილს
 ვეხმიანები, ნახმევს მოველი.
 და შენც, რუსთავო, შენმა წიადმა
 ახალი ძალა უნდა დაბადოს!
 შენც უნდა სწორედ ცეცხლის ენებით
 ქართლის ცხოვრების ახალ კაბადონს!
 — იყავ, იორო, ჩვენის ნებისა,
 აბა, მოვიდა დღეს შენი ბედი!
 უხვად დაალბე ჩაქაგებულო,
 ათასი წლობით ჩამხმარი ბელტი.
 რომ შენს ნიადავს ფესვი გაეხას,
 კვირტ გადმოსკდეს გამოსატანი
 და წამოვიდეს ზვაგად, ლანქერად
 პურის, ღვინის და ხილის მადანი!
 მე გვარძნობ, ბეჭეში ღრთები მეზრდება,
 მე გბედავ, გხედავ, ვერ ვუძლებ ლოდინს,
 გულში ოცნების ზღვა ვადრწურა,
 მოდი, მისო, ათასჯერ მოდი!
 ვიცი, მოხვალ და მეც აქ დავგვადები,
 როდესაც თბილისს ვარდებს მიაშლი...
 გულო, აქედრდი თვალგადღუწვედნელ
 ზურმუხტ ყანების ლივლივ-ნიავეში!

„პოეტური სიმფონიზმი“ პრინციპზეა აგებული გიორგი ლეონიძის ლირიკულ-ეპიკური პოემები — „ფორთოხალა“ და „სამგორი“, სადაც თანამედროვე თემა, „ახალი ქართლის“ თემა გადაწყვეტილია ისტორიულ თემასთან თავისებურ კავშირში და მიმართებაში, თანაც ისტორია და თანამედროვეობა ამ ნაწარმოებებში ურთიერთთანდაკავშირებული როგორც კონტრასტის, ისე ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთიანობის გამომხატველი მნატურული ხერხებით. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა პოემა „ფორთოხალა“. იგი მთლიანადაა აგებული ისტორიული წარსულისა და დღევანდლობის სწორედ ასეთ შეპირისპირებაზე: პოეტი ძველი კოლხეთის მკვიდრს — გლეხის ქალ ფორთოხალას საუკუნეთა ბურუსიდან გამოსახედინებს აწმყოში და დაანახევებს დღევანდელი, მართლაც რომ მზიური საქართველოს სურათებს. ფორთოხალა სიმბოლური სახეა. იგი განასახიერებს ქართველის დედას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შრომობდა კიდეც და შეიღებსაც ზრდიდა მოსური არსებობის მძიმე უღელქვეშ.

ფორთოხალას ცხოვრების აღწერისას პოეტმა გვაძლევს რაიმე კონკრეტულ ნიშნებს იმ ეპოქისა, რომელშიც ფორთოხალა ცხოვრობდა. და თუმცა პოემის ერთ-ერთ კომენტარში ნახსენებია XI საუკუნე, ხოლო თვით პოემის ტექსტში ნათქვამია, რომ ეს ამბავი მოხდა ათასი წლის წინათ. „შოთას უწინ“, — ფორთოხალას ბედი ერთნაირად დამახასიათებელია როგორც უფრო ადრინდელი, ისე მოგვიანო პერიოდისთვისაც, რადგან თავისი საერთო ჩანაფიქრის თანახმად ლეონიძე ცდილობს გადმოგვეცეს ის მთავარი თვისება, რომელიც ნაშანდობლივი იყო საერთოდ ფეოდალური ხანის საქართველოსათვის, მისი სოციალური ყოფისათვის: მშრომელი ხალხის მძიმე ხვედრი.
 ზღვა დაშრება, — უთქვამთ ასე, გინდ ქარიშხალს გაეძრძოლოს, ქარიშხალიც გააუშდებოდა, შენს ჯავსაც კი არ აქვს ზოლო... უმზეო და უფარსკვლაგო, ცხოვრება გაქვს ბნელზე ბნელი! ჭაობი სჭამს შენს მოსავალს და ბატონი — ბელზებელი. ასე იცის ბედშობამ, მწარე დღეებს მიაწყვილებს; მწარე ტანჯვაში დაიხარჯა შენი ტურფა სიყმაწვილე!
 მაგრამ XI საუკუნესთან ფორთოხალას ბირობით „მიმავრებას“ აქვს მაინც თავისი მეტად დრმა აზრი. აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ პოლემიკურ ამოცანაზე, რომელიც ავტორს აქვს დასახული. ლეონიძე ილაშქრებს ორი ტენდენციის წინააღმდეგ, რაც დამახასიათებელი იყო ძველი ისტორიოგრაფიისათვის — საქართველოს ფეოდალური წარსულის იდეალიზაციის წინააღმდეგ (რაც გამოიხატებოდა ფეოდალებისა და გლეხების ვითომდა იდილიური დამოკიდებულების აღწერაში) და მშრომელი ხალხის ისტორიული როლის დამცირების, საქართველოს ისტორიის მხოლოდ და მხოლოდ როგორც მეფეებისა და დედოფლების ისტორიის ასახვის წინააღმდეგ. მკაცრი პოლემიკური პათოსით მათ მიმართ, ვინც ვერ ამჩნევდა ხალხის როლს საუკუნთა ქვეყნის ისტორიაში, და, ამვე დროს, მშრომელი ხალხისადმი, ქართველი ერისადმი, „ქართველის დედისადმი“ უსაზღვრო სიყვარულის გრძნობითაა გამსჭვალული ლეონიძის პოემის მგზნებარე სტროფები:
 ათასი წლის მანძილიდან
 შეიღერ ალერსს გაგიბედავ,
 საქართველოს დიდ ცხოვრებას
 შენა ჰქმნიდი, ტკბილო დედავ!
 დიდ ვაჟაკებს, დიდ ოსტატებს,
 შენი კაბის კალთა ზრდიდა.
 ვინც ეტრატზე სწერდა ქართულს,



ვინც ჩუქურთმას ქვაზე სჭრიდა,
საქართველოს კერის ცეცხლი
შენ გეზარა გაუშტრალი,
შენ იყავი გულგებფერი —
ხამის კაბით გლახის ქალი...
შენი ოფლის ნაღვარული
დღევანდლამდის არ ამშრალა,
ყველგან განახე, დამივლია
მე სამშობლოს გზა და შარა.
მაგრამ „ქართლის ცხოვრებამი“
ვერა ვნახე შენი სახე,
არაფერი არ სწერია
შენს ლაწლზე და შენს შესახებ.
დედოფლებზე ბევრი სწერეს,
ბევრს კლამიც დაეღალა,
ვიცით ბერი დედოფალი,
არ კი ვივით ფორთოხალა!
მატიანე შენს სახელზე
ალბათ მრტომ გაინაბა,
მარგალიტთ ჩაქსოვილი
რომ არ გიცვა ოქროს კაბა.
მაგრამ დღესაც შენ ახსოვხარ
საძირკველ და სახლის კერას;
მინდორს, სოსტანს, ეზოს, ყვავილს,
ჯარას, თოს და ნემსისწვერას...
შენგან დაგულ, დამყნილ ხეებს,
შენი ოფლთ დარწყმულ მიწას,
შენს დამარულ, დამსკდარ თითებს
და შენ ჩაკულ პურსა ვფიცავ!

შავად შეკრულ შენს სიცოცხლეს
დღეს დაენო სხივი ზედა,
ცრემლდაუთვლეს მე ცრემლს გაყრი,
უსახელო ქრთვლის დედა!..
ეს დიდებულიპიშია, მიძღვნილი ისტორიის
შემოქმედ ბაღსადაში, უსახელო გლეხი ქა-
ლისადმი — მხველ-მთესველთა და მეომართა,
ქვისმთლელთა დ ოქრომჭედელთა, ხუროთმოძ-
ვართა და მგოსახთა დედისადმი...
„ფორთოხალას ლეონიძემ ლირიკული პოემა
უწოდა. ამით აისწება მისი კომპოზიციის თავი-
სებურებაც — თოქოსდა ფრაგმენტულობა, ინ-
ტონაციათა ხშირ ცვლა, რიტმული გადასვლები,
თხრობითი, სასოპო, ლირიკული და პუბლიცის-
ტური მოტივების მონაცვლეობა. ამითვეა განსა-
ზღვრული პოეტური ტონალობის მრავალფეროვ-
ნება, პოემის საერთო ყურადღობის აშკარა პოლი-
ფონიური ხასიათი პოეტს არ დაუსახავს წმინდა
ეპიკური (ამ სიტვის ქართული გაგებით) ამოცა-
ნები. ხოლო ლირიკული პოემისათვის, რომლის

მიზანია საქართველოს წარსულისა და
მე ვიტყვი, ფილოსოფიური გააზრება, საგსტრუ-
ქანონზომიერია ის პირობითი პოეტური ხერხიც,
რომელსაც მიმართავს პოეტი, აჩვენებს რა თავის
ფორთოხალას დღევანდელ საქართველოს. ასევე
ორგანულად ქუდრს პოემაში თვით ავტორის ხმა,
მისი ლირიკული და პუბლიცისტური წიაღსე-
ლები — სულერთია სამშობლოს წარსულზე ლა-
პარაკობს იგი, მის აწმყოზე, თუ მრისხანე გაფრ-
თხილებით მიმართავს ბუნელ ძალებს, რომლებიც
ლამობენ კვლავ ჩაითრიონ ქვეყანა ახალი უბედუ-
რების მორევში.

ძველო კოლხიდაც, სამშობლოც,
ახალ მზითა ხარ ნათევი;
რომს ასუქებდი, ელადას,
მედღეს ნაღალატევი.
დამპყრობელ იაზონებმა
გაგვცქვენეს და დაგაბორკილეს;
შენი შვილების ძვალსისხლით
შენივე გზები მოაქირეს.

მაგრამ რაც მტერმა გატატა,
ვერ იხსენ გადასარჩენად;
ის დაგიბრუნა ასკეცად
შენი შვილების მარჯვენამ.

და თუ მოგადგა კვლავ „არგო“,
ზღვა ატყდა ქარიშხალითა,
სამჭოთა მკვლავი დახედება
ახალ ჩამოსხმულ ხმალითა!

გიორგი ლეონიძის დიდი პოემები — „ეპო-
პეა“ და „სამგორი“, „ფორთოხალასაგან“ განსხ-
ვავებით, უკვე საკუთრივ ეპიკური ნაწარმოებებია,
თუმცა მათშიც მეტად მძლავრია ლირიკული ნა-
კადი. მათ ჩვენ სხვა ადგილას შევებებით, აქ კი
მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ პოემებშიც გამო-
ვლინდა ყველა ის სპეციფიკური ნიშან-თვისება,
რომელიც „ადიდებული, დამწიფებული“ სიცოც-
ხლის მგოსანს ახასიათებს. აქაც აქვს მას ნაბოვნი
თავისი „სიმღერა“ და „სიტყვები გამაპოზელი“,
აქაც არის მისი სიტყვა „ამტყდარი წვიმასავითა“
და „ცისარტყელებით ვარაყმფრტყეველი“; პოეტის
ღეჭი კვლავ სიჭაბუკესთან არის დაწყვილებული,
„ერთ ჩუქურთმამში გამოყვანილი“ და, რაც მთავა-
რია, ამ ლექსს აქაც არ უჩანს —
და არ ექნება ბოლოფიდური,
შიგ დღევანდელი ხმა დაიძახებს,
ჩემი გულის ხმა სიცოცხლიანი
ახალ ვაჟკაცთა ახალი ღონით,
ახალ ქართლის მზით გაჩადლებული.



მოთა ქიჩია

„მკვდრის მზე“

რა არის ჩვენი სიცოცხლე,
თუ არა საქმე კეთილი.

გრ. ორბელიანი.

ყველა, ვინც კი წაიკითხა გიორგი შატბერაშვილის ახალი მოთხრობა „მკვდრის მზე“, ერთხმად აღიარებს, რომ იგი ჩვენი ქართული პროზის მნიშვნელოვანი შენაძენია და უთუოდ ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებს ორმოცდაათიანი წლების ქართულ მოთხრობებს შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მაღალი შეფასება მან სავსებით დაიმსახურა. მოთხრობა გამოირჩევა შინაარსის სიმდიდრითა და სიღრმით, მაღალი მხატვრული ოსტატობით, შესანიშნავი, ძარღვიანი ქართული ენით. ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს „მკვდრის მზე“ მივიჩნიოთ ქართული საბჭოთა პროზის სერიოზულ მიღწევად.

მწერლის ესოდენ თვალსაჩინო გამარჯვება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ იგი წარმოგიდგება არა როგორც უბრალო აღმწერი, რომელსაც საკმარისად მიაჩნია გაგვაცნოს ესა თუ ის მოვლენა, მოგვიყვას რაიმე ამბავი, არამედ როგორც მოაზროვნე, რომელიც ცხოვრების მოვლენებში ხედავს გარკვეულ აზრს, გარკვეულ კანონზომიერებას და მიზნად ისახავს ნაგრძნობთან ერთად თავისი ნაფიქრიც გაგვიზიაროს. ამით აიხსნება, რომ „მკვდრის მზე“ ცოტა გონებრივ საზრდოს როლი აძლევს მკითხველს და აფიქრებს ბევრ პრობლემაზე. მართალია, მათი დიდი ნაწილი ე. წ. მარადიულ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, მაგრამ ეს როლი ამცირებს მოთხრობის სოციალურ ქედრადობას, რადგან ისინი მარადიული ხომ სწორედ იმიტომ არიან, რომ მუდამ და ყოველგან

იჩენენ თავს, მათ შორის ჩვენს თანადროულობაშიც? ვის შეუძლია უარყოს, რომ ისეთი პრობლემები, როგორცაა ძველისა და ახლის ბრძოლა, ცხოვრების მიზანი, სიკვდილ-სიცოცხლე და სხვ., უაღრესად აქტუალურია საბჭოთა სინამდვილეშიც და მათ სწორად გადაწყვეას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველთა განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

შეიძლება თქვან, თითქოს ოთხობა გადატვირთულია პრობლემებით, რომ მწერალი ერთ პატარა ნაწარმოებში ბევრ საიფხვარს გამოედევნა, მაგრამ ასეთი საყვედური, ჩვენ აზრით, უსაფუძვლო იქნებოდა. საქმე ის არის რომ ისინი ერთი მეორის გვერდით კი არ არსებებენ ან ერთმანეთში კი არ არიან არეული, არამედ ბუნებრივად გამომდინარეობენ ერთი მეორისგან და ავსებენ ერთმანეთს. ცხოვრების მიზნისგარკვევა, მაგალითად, თავისთავად გულისხმობს ცხოვრების არსის გარკვევასაც, ხოლო, მეორე მხრივ, განა შეიძლება ცხოვრება წარმოვიდგინოთ სედილ-სიცოცხლის, ძველისა და ახლის ბრძოლის, პათი ჭიდილის გარეშე? ხაზი უნდა გაესვას იმპარემოებასაც, რომ პრობლემათა ამ რიგიდან ფელისა და ახლის ბრძოლას მწერალი გამოყოფს როგორც მთავარს, ძირითადს, როგორც განმსაზღვრელს. ცხოვრება, ამბობს იგი, უპირველეს ყოვლისა — ეს არის ძველისა და ახლის ჭიდილი, იგი აძლევს მას შინაარსსა და სიღამაზეს, იგვანასაზღვრავს ადამიანის ვინაობას, რადენდადღირნიც ცხოვრების

მიზანი, სხვა არაფერია, თუ არა გადაწყვეტო ვის მხარეზე დავები — ძველის მიმდევარი ვინდა იყო თუ ახლისა, პროგრესს გსურს ემსახურო, თუ, პირიქით, ხელი შეუშალო მას.

მასასადავმე, ზოგადად თუ ვიტყვი, ნაწარმოების თემა ბრძოლა ახალსა და ძველს შორის, რომელსაც მწერალი წყევტს საბჭოთა შემოქმედის თვალსაზრისით, ე. ი. ცხადყოფს, რომ ახალი და პროგრესული მუდამ იმარჯვებს ძველზე, ძველმა აღრე თუ გვიან გარდუვალად უნდა დაუთმოს ადგილი ახალს. ამ იდეის გადმოსაცემად გიორგი შატბერაშვილმა მიმართა საინტერესო მხატვრულ ხერხს, კერძოდ, ნაწარმოებს საფუძვლად დაუდო ლეგენდა და მასზე ააშენა მოთხრობის კომპოზიციური ჩარჩო, მაგრამ ისე, რომ ეს სრულიადაც არ ენებს მკაცრ რეალიზმს, პირიქით, კიდევ უფრო აწმდილებს მას. ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ დიდმა რეალისტმა ბალზაკმა თავის უკვდავ „შაგრენის ტყავში“ მსგავს მხატვრულ ხერხს მიმართა. ბუნებაში არავითარი ისეთი ტყავი არ არსებობს, რომ ადამიანის სურვილის განხორციელების კვალობაზე იკუმშებოდეს და პატარავლებზე. ეს ლეგენდა, მაგრამ სწორედ მისი მეშვეობით შექმნა მწერალმა ფართო რეალისტური ტილო, რომელიც დღესაც ხიზლავს მილიონობით მკითხველს. ლეგენდა გამოიყენა ლიონ ფოიბტანგერმაც რომანში „ესპანეთის ბალადა“, რამაც საშუალება მისცა მას ბრწყინვალედ ეჩვენებინა მშვიდობის იდეის ძალა, ცხადყოფს, რომ „უნცია მშვიდობის ბევრად ჯობს ტონა გამარჯვებას“. მასასადავმე, რეალისტი მწერალი სასეხებით თავისუფალია მხატვრული ხერხის არჩევაში, მის შეუძლია, თუ კი სურს, მიმართოს რომანტიკულ ან რომელიმე სხვა მხატვრულ ხერხს, ოღონდ იმ პირობით, რომ სიმართლეთა ასახვის ცხოვრება და სრულყოფილად გადმოსცეს საქმეებში. ასევე მოიქცა გიორგი შატბერაშვილიც და მიაღწია დასახულ მიზანს — ლეგენდის მომარჯვებით მშვენივრად გვიჩვენა საბჭოთა სინამდვილის სიღაღღე, საბჭოთა ადამიანების ვაჟკაცური შემართება, ახლისა და პროგრესულის უღელვებლობა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მკვდრის მზეში“ მთავარია არა თვითონ ლეგენდა, არამედ იდეა, რომლის გადმოცემასაც იგი ემსახურება. მწერალმა ლეგენდა მხოლოდ იმ მიზნით გამოიყენა, რომ ცხადყოფს საბჭოთა ახალგაზრდობის ძალა და ძლიერება, სულიერი სიმდიდრე და სიღამაჟე, ამასთან დაემსგებრია ყალბი შეხედულება, თითქოს ჩვენი წინაპრები, სხვადასხვა ლეგენდის გმირები, რაღაც განსაკუთრებული ადამიანები იყვნენ და თითქოს მემკვიდრენი უძლური არიან გაიმეორონ მათი ვაჟკაცური საქმეები. ხომ ვერ გაიმეორა გერაგინ უბრალო კალატოზის ხიზამპარელის ვაჟკაცური საქმე, ხიზამპარელისა, რომელმაც არა მარ-

ტო ასწია ვეპებრთელა ლოდი, ე. წ. საჯილოლო ქვა, არამედ ცხენის ზურგსაც კი გადაატარებდა მოხუცების შეგნებაში ეს ფანტასტიკური დიდებით მოსავდა გარდასულს. აფიქრებინებდა მათ, რომ გოლიათები გადაშენდნენ და წინაპართა მამაცობა გადალუბახავი იყო. მაგრამ განა მართლაც ასეა, განა ჩვენს თანამედროვეებს, საბჭოთა ადამიანებს მართლაც არ შეუძლიათ შეეჯიბონ წინაპრებს ვაჟკაცურ საქმეებში? განა ჩვენი თათმა მამობრივად არ წარმოშობს ისეთ დევკაცებს, როგორც ხიზამპარელია ხალხის მეხსიერებაში? ასე მიიღო ხიზამპარელის საჯილოლო ქვამ სიმბოლური მნიშვნელობა, ასე გახდა იგი ძველისა და ახლის მარადიული დავის გამოხატველი.

ვინ არის მართალი ამ დავაში, ვინ ტყუის და ვინ არა? აი მთავარი, ძირითადი კითხვა, რომლის გარკვევასაც მიეძღვნა „მკვდრის მზე“ და რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მოთხრობაში აღძრული ყველა პრობლემა. თუ ეს უარყავით, თუ საქმე ისე წარმოვიდგინეთ, თითქოს ჭაბუკ კობაიძეს სახელის მოხვევის წყურვილი ეკლავა და ამის გამო შეეძინა საჯილოლო ქვას, ამით მხოლოდ გავაყალბებთ როგორც მოთხრობის დედააზრს, ისე თვითონ თენგი კობაიძის მხატვრულ სახეს. არა პირადი განდიდება, არა სახელის მოპოვება ამოძრავებდა თენგი კობაიძეს, როცა გადაწყვიტა ხიზამპარელს შეეჯიბრებოდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი — ხიზამპარელის დამარცხებით დაემარცხებინა წარსულის წრეგადასული მეტოქე და ცხადყოფს, რომ საბჭოთა ადამიანები არაფრით არ ჩამოუვარდებიან ხალხურ გამოცემათა გმირებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ლეგენდარულს ეძახიან.

ზღაბრულ, ლეგენდარულ ვაჟკაცად მიაჩნდა ნოსტელი კალატოზი თენგი კობაიძესაც თავის ბავშვობაში. მისთვის ხიზამპარელი „ისეთივე ზღაბრული ჭაბუკი იყო, როგორც დევებთან მეტოქე-ლი ასფურცელა ან რომელიმე მზეჭაბუკი“. როცა წამოიზარდა და მკლავებში ღონე იგრძნო, სხვებივით ისიც წაბანებია ლურჯ ლოდს, მაგრამ „ამაღად მიუჩინებია მისი დაძვრა“ და, ვინ იცის, შეიძლება არც არასოდეს დასტიდებოდა მას, ვერ შავდა-თუას, ხოლო შემდეგ გიორგის რომ არ დაეწუნებინათ თენგოსა და სოფლის ფიზკულტურელთა ვაჟკაცობა. „ვაჟკაცობას სანტიმეტრებით კი ნუ მიზომავთ, — მიმართა შავდათუამ მათ, — თუ ბიჭები ხართ, იმ ძველებს აჯობეთ!“ „ის ძველები“ კი თურმე ერთი ფეხის დაკრებით სამი ნაბდის ცაშლაზე სტიმბოდნენ. კიდევ მეტი, გიორგის თქმით, „ის ძველები“ ვეპებრთელა ლოდებს სწევდნენ და არა მომცრო რკინის განტელებს. „აბა, ეს თხილის მარცვლები რა საევაკაცოა, ავარ ის ლურჯი ლოდი ასწიე თუ ღონე გერჩის“. „ის ლურჯი ლოდი“ კი სწორედ ხიზამპარელის საჯილო-



დაო ქვა იყო. „გავიგონიათ ხიზამბარელისა და ამ ლოდის ამბავი?.. თუ არ გავიგონიათ, მოდით და შეგვეკითხოთ, გეტყვით და ვიამბობთ, ვინ ვიყავით და რა ღონე გვერჩოდა. თქვენსავით კი არ“... ეს უკვე გამოწვევა იყო. თუ სოფელში ბევრმა არ იცოდა, ხტებოდნენ თუ არა სამი ნაზღის ვაშლაზე ძველად, ხიზამბარელის ვაჟკაცობა გაუგიათ, სმენიათ და სჯეროდათ — ვაჟკაციც ყოფილა და ამბავიც სავაჟკაციო დაუფლიაო. „რა ღონეც გერჩით, იმით ეწვიეთ, ყჩქმატებო, — ერთხელ კიდევ დასცინა გიორგიმ ახალგაზრდებს. — რაცა მჭეია, პირსა მცხიაო. ამით გინდათ ქვეყანა გააკვიროთ, გირვანქებითა და სანტიმეტრებითა?..“


ერთი სიტყვით, ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა სოფლის ფიზკულტურელებს მხოლოდ ხიზამბარელის დამარცხებით შეეძლოთ გემეტყუნებინათ შავდათუა და წარსულის სხვა მეხოტბენი, ყველადაც ვიგონებინათ. თუ რა შეუძლია საბჭოთა ახალგაზრდობას. „ასჯერ რომ ავწიო ამ ლოდზე მძიმე რკინა და მთელი საქართველოს გაზეთები ავალაპარაკო, — ფიქრობდა თენგი, — ჩვენებური ბუტერბრე ამას ვაჟკაცობად არ ჩამითვლიან (იქნებ არც დაიკვირონ...). ჩაიცივნებენ და იტყვიან, თუ ბიჭია, მოვიდეს და ხიზამბარელის ღონე ასწიოს... ისინი ცხოვრებას იმით ზომავენ, რასაც თვალთ უყურებენ, იჯერებენ მხოლოდ იმას. რასაც ხელს შეახებენ... ჰოო, ამბობენ ისინი, აი ეს მესმისო, თორემა, ცხრა მთას იქით აბა რა ვიცის, რა მოხდაო... ჩვენი სკოლის ახალი შენობა მოსწონთ და თითქოს სჯერათ კიდევ; თან ცალი თვალი უკან უჭირავთ, „აბა ისეთი ააშენეთ“ და თითს ქვათახევის ან სამთავისის ტაძრებისაკენ გაიშვებენ...“

ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ თენგი კობაძის სახელისათვის არ გამოუღვლია თავი, მას სურდა მხოლოდ ერთი რამ — წარსულისათვის ჩამოცილებინა ის ზემდეტი, რაც აბრმავებდა აღამიანებს და აფიქრებინებდა, თითქოს რაც იყო, ძველად იყო. მას არც პირადი წყენა ამოძრავებდა და მამას დაუპირისპირდა არა როგორც მამაკაცი მამაკაცს არ არა როგორც შვილი მშობელს, არამედ როგორც ახლის წარმომადგენელი ძველის დამცველსა და წრეგადასულ ნებოტებს. საგულისხმოა, რომ თუმცა მამამ პირადად თენგოს მიმართა, „აგერ ის ღურჯი ლოდი ასწიე თუ ღონე გერჩისო“, მან ეს გამოწვევა მაინც მთელი სოფლის ახალგაზრდობის და არა პირადად მის გამოწვევად მიიღო. „იმ სიღაბის შემდეგ, — გვაცნობს მწერალი თენგოს ფიქრებს, — რაც შავდათუამ და გიორგიმ შუბათელ ახალგაზრდებს ვაჟკაცობა გაუტროზავა და მასხრადაც აიგდეს, „ხიზამბარელის ქვა“ მოსვენებას არ აძლევდა. თანდათან უფრო ხშირად ახსენებოდა მამის სატყვეები: „თუ ღონე გერჩით, აი ეს საჯოღლოა

ქვა ასწიეთო“. მამასადამე, თენგი მოქმედებდა არა როგორც განაწყენებული მამაკაცი, რომელიც პირადად შეურაცხვეს, არამედ როგორც ერთ-ერთი სპორტსმენი, რომელმაც გადაწყვიტა ეცეს მთელი სოფლის ახალგაზრდობის ღირსება, სხედეყო, რომ საბჭოთა აღამიანისათვის არაფერი მიუწვდომელი არ არსებობს, რომ ის, რაც ძველმა შეძლეს, სრულიადაც არ არის გადაუღალავი და განუწმეორებელი.

ახალს რომ ასეთი თავგამოდებით იცავს, თენგი კობაძე სრულიადაც არ გძმობს ზიზღს წარსულისადმი, ბირთით, გულწრფელად უყვარს იგი, პატივს სცემს ყოველივე კარგს, პროგრესულსა და ვაჟკაცურს, რაც კი წინათ, დღევანდლობამდე ყოფილა და თაობიდან თაობას გადაეცემა. მან იცის, რომ ცხოვრება წინსვლაა, რომ წინა კაცი უკანა კაცის ხილია, რომ ძველებმაც ბევრი კარგი და მისაბაძი გადაეთეს. მაგრამ ვაი იმ თაობას, რომელიც დღედაღამ არ იბრძვის იმისათვის, რომ მეტი შექმნას, მეტი გააკეთოს, და წინა თაობის მიღწეულით დაკმაყოფილდება. ამიტომ ამბობს თენგი კობაძე: „ეს ცხოვრება ცოცხალი აღამიანის ყველართან შეჯიბრია... ცოცხალი აღამიანი ცდილობს იმაზე მეტი გააკეთოს, რაც მის წინაბრებს გაუკეთებიათ. მოხნას და მოიწიოს მათზე მეტი, გააშენოს და ააშენოს მათზე მეტი, იყოს მათზე ღონიერი, ასწიოს მეტი, იცხოვროს მათზე უკეთ და მეტნაშ... ეს საესებით ბუნებრივი მისწრაფებაა, რაც ქართველმა კაცმა შესანიშნავი ანღაზით მოიწონა: ის ურჩენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, ე. ი. მამულისათვის კარგი ის არის, როცა ცხოვრება წინ მიდის, როცა მიღწეულს არ ჯერდებიან. საცხებით ბუნებრივი გრძნობაა ისიც, რომ შვილი პატივს სცემდეს მამას, ე. ი. ახალი თაობა წინაბრებს, მაგრამ არაფერად ეიარა, როცა ძველის სიყვარული ისე დაგაბრმავებს, რომ ვეღარ ხედავ ცხოვრების წინსვლას. თუ წარსული მაჯალაჯუნასავით დაგაწვა, დაგეკარგება საკუთარი ძალების რწმენა, დაგეკარგება ახლის გრძნობა, რაც პროგრესის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

თენგი კობაძე წარსულის სწორედ ასეთ გაფიქრებას აუშენდრდა, როცა ხიზამბარელის საფალავანო ქვას დაეტიდა. იგი დიდად აფასებდა და უყვარდა კიდევ ნოსტელი კალატოზი, როგორც შესანიშნავი ვაჟკაცი, მაგრამ რა ექნა, თუ მისი სახელი ახლის დაამცირებლად, ძველის; გარდასულის გადაჭარბებული განდიდებისათვის გამოიყენეს? ფიქრებში გატოვლი თენგი ხშირად წარმოიდგენდა, როგორი იყო წარსულის ლეგენდარული ვაჟკაცი, „თვალეებს მოხუტავდა და თავის ხიზამბარელს უღიმოდა, სიყვარულით უღიმოდა. მოსწონდა თავისი ოცნებით დახატული უბადლო ვაჟკაცი, რომელიც თავის საუკუნეში ვერაგის




დაემარცხებინა, უყვარდა, მაგრამ უნდა შერკინებოდა, უნდა შეზმოდა და გაეღაბა, რომ მათთვის ნიშნი მოეყო, ვინც ამ გოლიათის განიერ მხარებზე და განთქმულ სახელს მოჰფარებოდა". ამ სიყვარულში, ამ პატივისცემაში ყველაზე უკეთ ჩანს თენგი კობახიძის დამოკიდებულება წარსულისადმი. არა, მას წარსულის გაბიპრუება სრულებითაც არ სურდა. მან კარგად იცოდა, ვისაც ეჯობებოდა — „მკვდრებმა და ცოცხლებსაც“, თუნცა ხიზამბარელს მკვდრად არც კი თვლიდა: „ვინც ხალხის ხსოვნაში ცოცხლობს, ის მკვდრად არ ჩათვლება“. გიორგიც მიუხედა შვილს: „ხიზამბარელს კი არა, მე მეჯობებდა, მე“, გაიფიქრა მან, როცა შუბათის კლუბთან გაკრული აფიშა წაიკითხა.

დამახასიათებელია, რომ თავის მხრივ ხიზამბარელსაც უყვარს თენგი კობახიძე, პატივს სცემს მას. აქი შეჯობების წინამით გიორგიმ სიზმარში ნახა, თუ როგორი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ნოსტელი კალატოზი საუკუნის შემდეგ გამოჩენილ მქოქებს, რომელსაც მისი დამარცხება მოეწადინებინა. „დიდრონი თვალეზი ჰქონდა ნოსტელ კალატოზს, სარკესავით კრიალა და ნათელი. ამ სარკეს გიორგი თვალს არ აშორებდა, შვილისკენ აღარ იხედებოდა. არც იყო საჭირო. ამ თვალეზის გამომეტყველებით, მოძრაობით, შუბლის შეჭმუხვებით თუ წარბების აწევდა-წვეთა ხედვებით და გრძნობდა ყველაფერს“. მერედა როგორ განიცდიდა იგი შეჯობების მიმდინარეობას, რა უხაროდა და რა წყინდა? როცა თენგი კობახიძე ეკებრთელა საფალავნო ქეას დაწვედა და ასწია, „ხიზამბარელს თვალეზი საოცრად გაუბრწყინდა, უშველღებელი ბაჯე ვაოცებით დააღლო და მოსწაიწია“. მაგრამ აი შუბათელი ქაბუკი მიწოდებულად დაცა. ხიზამბარელის სახეზე მასწინე წაიშალა კეთილი ღიმილი, „თვალეზზე ხელი აიფარა, უკან გაბრუნდა და ბურქნარს შეერია. მერე ამ ბურქნარიდან გიორგის ვაჟკაცის ყრუ ქეთიანი შემოსმდა“. ეს წარსულის სახელგანთქმული ვაჟკაცი ტიროდა, ტიროდა, რადგან არ კამპართლდა, რადგან მემკვიდრემ ვერ აჯობა წინაპარს. მართალია, ყველაფერი ეს სიზმარში მოხდა, მაგრამ, თუ არა სიზმრის მესვენიობით, მწერალს არ შეეძლო ერთმანეთისათვის შეხვედრებინა მკვდარი და ცოცხალი, წინაპარი და მემკვიდრე.

სრულიად აშკარაა, რომ ხიზამბარელი და კობახიძე ერთი ყალიბის, ერთი მისწრაფების ადამიანებია, თუმცა მათ შორის არსებითი სხვაობაც არის. ხიზამბარელი ყმა იყო და არა თავისი სურვილით, არამედ ბატონის ბრძანებით შეეძინა საფალავნო ქეას, თენგი კობახიძე კი სრულიად თავისუფალი იყო არჩევანში — სურდა შეერკინებოდა ხიზამბარელს, სურდა არა — მისთვის არავის უბრძანებ-

ბია დაემარცხებინა ნოსტელი კალატოზი. თუმცა თაშორის, ამით ახსნება ხიზამბარელის საშინელი სიკვდილი. იგი იძულებული იყო პირდაპირ, თითქმის უწვრთნელად აეწია საფალავნო ქეა და, ბუნებრივია, ორგანიზმმა ვერ გაუძლო მოულოდნელ ჰარბ დატვირთვას, ხოლო თენგი კობახიძე, როგორც სპორტსმენი, წინასწარ გულმოდგინედ ვარჯიშობდა, იწვრთნებოდა და, ვინ იცის, რამდენჯერ ასწია ლურჯი ლოდი, ვიდრე საჯარო შეჯობებას გამოაცხადებდა. და თუ ისიც დაილუბა, ეს იყო არა რაიმე აუცილებლობა, არამედ ბრმა შემთხვევის საქმე. მთავარი მაინც ის არის, რაც ამ ორ გმირს ერთმანეთთან აახლოებს და ანათესავებს. უპირველეს ყოვლისა, ორივე მშრომელი ადამიანია და ორივე თავის ვაჟკაცობას ადვილნებს არა პირადი განდიდებისათვის, არა რაიმე მატერიალური სარგებლობისათვის, არამედ ცხოვრების კეთილი საწყისის, მშრომელთა ღირსების დასაცავად. მართალია, ხიზამბარელს ჯილდო ელოდა, მაგრამ იგი მას არ დახარბებია და არც მოისურვებდა საჯილდო ქეა მუხლებს ზემოთ აეტანა. გაღმამბარელს დაცინვით რომ არ ეთქვა მისთვის: „ქაფშით ასწიე, კალატოზო, შენი ქაფითა“. არა, ეს არ იყო მხოლოდ პირადი შეურაცხყოფა. ქაფის აუვად მოხსენებით გაღმამბარელმა ყველა ქაფის, ყველა შრომის კაცს დასაცინა და ხიზამბარელს აგრძნობინა, ვაჟკაცობა მშრომლის საქმე არ არისო. ნოსტელ კალატოზს კი თავი სწორად იმით მოჰქონდა, რომ ამენებდა, ქმნიდა და ნახელავიც გამოუდიოდა. ქაფმა მისი ადამიანობის, მისი კაცობის, ღირსებისა და ვაჟკაცობის საზომი იყო და არა მარტო მისი. ამიტომ განიზომა მან თითქმის შეუძლებელი, ამიტომ არ მიუშვა იგი საფალავნო ქეას, თუმცა ბატონმა უბრძანა: „წელი არ მოიწყვიტო, ეცყოფა, მაჯ აყვია გაღმამბარელს ხომ აჯობეო“, — ამიტომვე უთხრა გაღმამბარელს: „ბიჭო, შენ რომ არ გავემწარებინე, ამ ლოდს რა ამაწვინებდაო“. მართლაც და რა ააწვინებდა!

ასევე გაემწარეს თენგი კობახიძე და ასევე აიძულეს გაეცთობინა თითქმის შეუძლებელი, ვაგმეორებინა ხიზამბარელის საევაკაცო საქმე. გიორგის, შვედათუასა და სოფლის სხვა პეიტრებს არ სწამდათ ახალგაზრდობის ძალა. მათ ეგონათ, რაკი ჩვენ ვერ შევძელით, დღევანდელი ახალგაზრდები მით უფრო ვერ შეძლებენ, რაც იყო, აღარ გამეორებოთ. „კარგად დაიხსომე და დასწავლე, შეაკონებდა შვილს გიორგი საჯარო შეჯობების წინა საღამოს, — ის ლოდი ღვთის ნათლულების ღონის საცდელია. ყველა ვერ გაუმკლავდება“. ეს გიორგის რწმენა იყო, მაგრამ იგი არ სწამდა თენგოს, მან იცოდა, რომ ღმირად და მისი ნათლულები აქ არაფერ შუაშია, რომ ის, რაც ვაჟკაცობა ხიზამბარელმა, შეეძლო ვაჟკაცობინა თვითონ მას,



სხვებს, მის ამხანაგებს. საქმე მხოლოდ მონღო-
მება, გაბედვა, ვარჯიში იყო და ყველა დარწმუნ-
დებოდა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობას ძალუძს
ლევენდა სინამდვილედ აქციოს, მისთვის მიუწე-
ლომელი და გადაულახავი არაფერია. ერთი სიტყ-
ვით, შეჯიბრებას ხიზამბარელთან უნდა ეჩვენებინა
დაღვეანდელობის უპირატესობა, ახლის ძალა,
და შემთხვევითი როდი იყო, რომ ნოსტრელ კალა-
ტოზთან საჯარო შერჯინება თენგოს არა სხვა
რომელიმე დღეს, არამედ სწორედ პირველ მისის
დანისმა, გაზაფხულის, ვარდფურცლობის, ახლის
წვიმის, მშრომელთა დიადი დღესასწაულის დღეს.

აი ასეთი დიდი მიზანი ამოძრავებდა თენგო კო-
ზაიძეს, აი ასეთი დიდი მიზნით სულდგმულობდა
და ცოცხლობდა. მას არ შეეძლო არ შემომღობა
ხიზამბარელს, არ შეეძლო დამშვიდება და თვით
სიცოცხლეს კი ყოველგვარ აზრს დაუარავდა მის
თვალში, თუ ვერ ცხადყოფდა, თუ ყველას ვერ და-
ანახებდა, რომ ლევენდების შარავანდელით შემო-
სილი წარსული არაფრით არ ვიზის აწმყოს. მარ-
თალია, იგი დაიღუპა ბრმა შემთხვევის გამო, მაგ-
რამ საწაღდეს მაინც ღვია — წარმატებით გაა-
მარჯვენირა ახალს, ყველა თვალათვლით დაანახა,
თუ რა შეუძლია ჩვენს ახალგაზრდობას, ყველა
დაარწმუნა, რომ საბჭოთა ადამიანები თავიანთი
სახელოვანი წინაპრების ღირსეული მემკვიდრენი
არიან. თვით ურწმუნო გიორგიმ და შეგდათუამაც

კი აღიარეს, რომ თენგომ გაიმარჯვა, რომ მან ას-
წია ხიზამბარელის საჯილდოო ქვა, თავწვიით ას-
წია, „ისე მკერდზე ხომ ვერ დაღვენიდა“... და ეს
იყო მთავარი. თუ იმ დღეს, როცა გიორგიმ ხი-
ზამბარელის საფლავსო ქვა შეახსენა ახალგაზრ-
დებს და ვაჟკაცობა დაუწუნა, თენგო გავითრე-
ბული იდგა და მამა „ისე დაპყრებდა ჭაბუკს,
როგორც აფოფრილი არწივი თავის მართვეს, რო-
მელმაც უსუსური ჭანვის ვაკერა დაუბარა“, ახ-
ლა, როცა ხიზამბარელს ძლია, თენგოს სისხლე
ბედნიერი ღიმილი კიაფობდა და მკლავეები „გა-
საფრენად გამზადებული არწივივით“ ჰქონდა გა-
შლილი. მართვე არწივად იქცა და ვაი მას, ვისაც
თავის ძლიერ ჭანვს გაჰკრავს! ვაჟკაცები არ გა-
დაშენებულან და არც ვადაშენდებინან, პირიქით,
ჩვენი დრო ადამიანებს უქმნის იმის ყველა პი-
რობას, რომ განვითარდნენ სულიერად და ფიზი-
კურად, რაც შეიძლება სრულად გამოავლინონ
თავიანთი შესაძლებლობანი და აჯობონ წარსუ-
ლის სახელგანთქმულ, ლევენდარულ გმირებს,
როგორც ჭაბუკმა კოზაიძემ დაჩაგრა უღაპრული
ხიზამბარელი.

ამრიგად, ხიზამბარელის დამარცხებით თენგომ
არა მარტო დამტკიცა, რომ მემკვიდრენი თა-
ვიანთ სახელოვან წინაპართა ღირსნი არიან, არა-
მედ ამავე დროს სასტიკად დაამარცხა ძველი და
ფართოდ გაულო კარი ახალს, პროგრესულს, დიდ,

შთაგონებულ სიცოცხლეს. მან გაამართლა საჯილდო-
ლო ქვის წარწერა: „სიკვილითა სიკვდილთაშუაშუა-
რამდენადაც თავისი ვაჟკაციური შემართებით ძლია
თვით სიკვილი — „წუთისოფელი“ რომ დატოვა
„გრძელი სოფლის“ მკვიდრი გახდა და უკვდავებას
უზიარა. ტყუილად როდი ამბობენ, ორჯერ დაბა-
დებულს ერთი სიკვილი რას დააკლებსო. თენ-
გო კოზაიძე მეორედ მამინ დაიბადა, როცა ხი-
ზამბარელის ლოდი ასწია და სოფლის პეტრეტი
ჩააჩუმა, როცა კელაპტარივით დაიწვიო, რათა
გზა გაენათებინა წინ მიმავალთათვის. ამიტომ
დასტიროდა ყველა შუბათელი თენგოს და არც კი
სჯეროდათ, თუ მათ წინ სოფლის თვალი და
იმედი“ ესვენა. იგი თითქოს იმისათვის დაიბადა,
რომ „მთელი სიცოცხლის სამყოფი ძალა ერთ
წუთში“ დაეხარჯა. ოზივაცტლისათვის, რომელიც
მშვიდ, აუღლვებელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს
ეტრფის, უცხო და გაუგებარია შუბათელი ჭაბუ-
კის საქციელი — ვინ ავალებდა, ვინ სთხოვდა,
რა რჯიდა, იმოღენა ლოდს რომ დაეჭიდა და სი-
ცოცხლე საფრთხეში ჩაივლო. ქვეწარმავალმა რა
იციის, რა სიამოვნება ღაგვარდში ფრენა, და-
ჩარმა რა იციის, რა არის გამარჯვების სიხარული!
ოზივაცტლმაც არ იციის, რომ სიცოცხლის სიღამა-
ზე და მიმზიდველობა კეთილ საქმეში, ხალხის
საკეთილდღეო მოღვაწეობაშია, ანუ როგორც
გრიგოლ ორბელიანი ამბობდა:

სოფელი იმად არა ღირს კაცი ნატრობდეს

ვამს გრძელსა,

თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს
მამულსა!

მართლაც, რა არის სიცოცხლე, თუ იგი გა-
ციხრობებული არ არის დიადი, ამაზღვრებელი
მიზნით, სამშობლოს სამსახურის კეთილშობილუ-
რი იდეით, თუ იგი არ არის წვა და შემოქმედე-
ბა? რა აზრი აქვს იცოცხლო, თუ შენი სიცოცხ-
ლე მამულს ვერას არგებს, თუ იგი უსარგებლო
და ფუჭია? მხოლოდ ხალხის, სამშობლოს უმწი-
კვლო და პატიოსან სამსახურს, მხოლოდ ვაჟკა-
ცურ შემართებას მოაქვს სახელი და უკვდავება,
მხოლოდ იგი ანიჭებს ადამიანს ჭეშმარიტ სიხა-
რულს, ნამდვილ ბედნიერებას. და როცა ცხოვრე-
ბა მოგთხოვს, უნდა შეგეძლოს „მთელი სიცოცხ-
ლის სამყოფი ძალა ერთ წუთში“ დახარჯო, არ
დაზოგო იგი, რადგან „დაზოგილი ღონით ნატე-
რა ვის შესარულინია... თუ ერთბაშად რა დაიხარ-
ჯე, თუ ერთბაშად არ მოიქნე ვრთა, ართვლაც
ვერ აფრინდები არწივივით“... მართალია,
„ვინც ერთბაშად დაიხარჯება, ცეცხლი წაე-
კიდება და ბურბუშულასავით დაიწვის“, მაგ-
რამ სწორედ მასშია ენით გამოთქმული სიღამა-
ზე, სწორედ იგა უკვდავების უმრეტეი წყარო.
„სინათლის სი ცეცხლი აჩენს... მერე სინათლე
სხვას უშუქებს გზასა. ხიზამბარელი ერთბაშად რომ

არ დახარჯულიყო და ას წელიწადს დაზოგილი ღონით ცოცხლა, ვერც ქონებას იზოვიდა და ვერც სახელსა, კაცო ლეშაკად იქცეოდა და მერე მაინც მოკვდებოდა... ადრე მოკვდება თუ გვიან, ვერცხლი აქ დარჩება... სახელი კი არ იხარჯება, აქაც ყყოფა და იქაცა, „წუთისოფელშიც“ და „გრძელ სოფელშიც“. თენვოც ისევე მოიქცა, როგორც ხიზამბარელი, და ბურბუშელასავით დაიწვა. მაგრამ ვაამარჯვებინა იღებს, დაიცვა თავისი კაცური ღირსება და არა მარტო თავისი. წუთისოფლიდან იგი წავიდა ვალმოხდილი და ბედნიერი, რადგან „ბედნიერია, ვინც სიკვდილით სიკვდილს ამარცხებს“. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში დიდი ილიას, როცა წერდა:

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწორის დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.

ხიზამბარელსაც და ჭაბუკ კობაიძესაც დარჩათ სახელი და მკვდრად არ ჩაითვლებიან, ისინი ჩვენთან არიან, ჩვენთან ერთად იღვწიან და ქმნიან. მათი ვაჟკაცური საქმე, მათი შვეარდნისებური შემართება თაობიდან თაობას გადაეცემა და მუდამ ალაფრთოვანებს ადამიანებს სამშობლოს საკეთილდღეოდ და საღიბებლად. ამაშია გ. შატბერაშვილის „მკვდრის მზის“ დიდი აღმზრდელი ბიტი მნიშვნელობა. ჭაბუკობაში ყველა ოცნებობს გახდეს სახელოვანი, მაგრამ ყველამ როდი რცის როგორ მიაღწიოს მიზანს. არ იცოდა ეს თენვო კობაიძემაც, თუმცა სულითა და გულით ისწრაფოდა მისკენ. „მინდა რამე გავაკეთო, კარგი და სასახელო“, ეუბნება იგი მიჯნურს და თავის თავს კიცხავს იმისათვის, რომ სულიერი ალტკინებისას მოისურვა იოლად მოეპოვებინა სახელი, გამოეჩინა თავი. „ნინომ დღეს ჩემთვის თავი გამოიღო. თავისი ბედი სასწორზე შეაგდო, დასაღუბადად არ დაიშურა... მე კი წიდან მისთვის თავის მოსაწონებლად კაკლის ხეზე დავაბირე ასვლა. ახლა ამ ფერდობზე ამოვბრვიარ... სულელი ვარ, დამხსველნი. ნინო ქვევრი, ვენახში დავტოვე და ძლევის ქედის მწვერვალისაკენ გავრბივარ, თითქოს ამით დიდი გმირობას ჩავდიოდე... არ დაიჯერებ და ისე შენცხება, კინაღამ ცრემლი წამსკდა“. შერცხვა იმით, რომ მის საქციელში არაფერი ყოფილა ვაჟკაცური, გმირული და, მამასადამე, თავმოსაწონებელიც. გმირულისა და ვაჟკაცურის საფუძველი მხოლოდ კეთილი საქმე შეიძლება იყოს და თავგანწირვასაც ფასი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა იგი აუცილებელია და ხალხისათვის სასარგებლო.

თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე,

რომ ხვალემა მაღლობით სთქვას: ნანერგითა შენით მარგე.

თენვო კობაიძე ჭაბუკობაშივე მიხვდა, რომ სახელი სხვა არაფერია, თუ არა კეთილი საქმე, რომ თვითვეული ადამიანი მოვალეა პატიოსნად, კეთილსინდისიერად გააკეთოს ყველაფერი, რასაც ცხოვრება მისგან მოითხოვს, და სახელი თავისთავად მოვა, ანუ როგორც დიდი ილია ამბობს, „კეთილ საქმეს ზედ გამოემგება“. ამით აიხსნება, რომ ვისაც სახელი გაუთქვამს, ხშირად არც კი უფიქრია ამაზე — უბრალოდ აყუთებდა, რასაც გული და გონება სთხოვდა და მეტი არაფერი. განა ჩარგეიშვილი ცხოვრების იმ დადამწყვეტ წუთებში, როცა ნაღმზე აიფეთქა თავი, სახელზე ფიქრობდა? ან განავნო რაიმე მატერიალური სარგებლობისა ან სახელისათვის იბრძოდა, როცა სამუშაოდ ვადავია ჩამორჩენილ ბრიგადაში და მისი დაწინაურება დაისახა მიზნად? რა თქმა უნდა, არა. მათი საქციელის უმწიკვლობა და კეთილშობილება სწორედ იმით გამოიხატა, რომ ისინი ღრმად იღვურთ ადამიანები არიან და ეს ურთიან არა ჯილდოსა და სახელს, არამედ კეთილ, სამშობლოს სასარგებლო საქმეს. ასეთივე თენვო კობაიძეც. იგი მხოლოდ გარკვეული იდეისათვის შეერკინა ხიზამბარელს და არც ჯილდოს, არც სახელს არ დახარბებია. „ნუ სცოდავ ღმერთს, კაცო, — ნათქვამია ამის თაობაზე მოთხრობაში, — მაშ ამ ქვეყანაზე ვაჟკაცობა აღარ ყოფილა! ხიზამბარელს თუ ვერცხლმა მოსტრა თვალი, თენვორაღად შეეჭიდა ამ ლოდას?!“ მართალია, კეთილი საქმე სახელისათვის კეთდება თუ არა, მაინც კეთილი საქმეა, მაგრამ, ცხადია, პიროვნებას ერთგვარი ჩრდილი ადგება, როცა მის ქცევას საფუძვლად განიღებდა აქვს და არა თვითონ საქმის, ხალხის სიყვარული.

მამასადამე, თენვო კობაიძე იდეური მებრძოლია, შთაგონებული ახალი ყოფის, საბჭოთა წყობილების მგზნებარე სიყვარულით, რასაც იგი ყველაფერზე მაღლა აყენებს. მოთხრობაში მას უპირისპირდება საკუთარი მამა გიორგი, აგრეთვე მამის მეგობარი შვედათუა. ამის გამო შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს ეს დაპირისპირება ოჯახური გარემოთი იფარგლება და მას სოციალური კი არა, პირადი ხასიათი აქვს, მაგრამ მათი წინააღმდეგობის ასეთი გაგება, როგორც დავინახეთ, სწორი არ იქნებოდა. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გიორგი კობაიძე ძველის ტყვეობაშია, წარსული წრეგადასული მენობტება და ძნელად ეგუება ახალ ყოფას, განსაკუთრებით საკოლმეურნეო წყობილებას. მოვიგონოთ, როგორ შეხვდა იგი კოლექტივიზაციას. იმ დროს, როცა სოფლის მშრომელები მასობრივად ქმნიდნენ კოლმეურნეობებს, გიორგი კობაიძემ აშკარად უარყოფითი პოზიცია დაიკავა და ღამით ქურღ-

ლად ამოწყვიტა ცხვარი, რათა იგი კოლექტიური საკუთრება არ გამხდარიყო. „ცხვარი ჩემია, შინდა და ვხოცავ. — შეუყვია მან პატარა თენჯის, რომელიც წინააღმდეგ მამას. — სოფელს დაფურცებ და საერთო ბაქში არ შევრეკავ... წაადი, გაიარე!“ მას არც ის მოსწონდა, რომ სოფელში „ოღიჩის ნათურები“ ანთო, ეჭვით შებყრობილ პეონს, თითქოს ეს ავი განზრახვით გააკეთეს: „მას ისევ ჩემი ჭრები მირჩევნია... ეს იმიტომ ჩამომიკიდეს, რომ ღამე ფანჯრიდან კარგად დამათვალიერონ, აბა, შინ რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ, ხომ არაფერს...“ ერთხანს იგი ოდის შერზე იმალებოდა, რადგან ცუონა ცხვრის დახოცვას გაშიგებენ და დამსჯიანო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ „უხაზღვრო და უსამანო სოფელს, როგორც ჩანდა, მისთვის ამჟამად არ ეცალა, თავისი გზით მიდიოდა“. ასე აღმოჩნდა იგი ამ დიადი გზის გვერდზე და შემხვევებით როდი იყო, რომ „შავიელთა“ შორის მოხვდა. ხიზამბარელის ამბავიც ხომ იმის დამადასტურებელია, რომ მისი ფიქრები წარსულს ეკუთვნოდა და ნაკლებად სწამდა ახლსა.

და მაინც, გიორგი კობაიძეში ყველაფერი უარყოფითი როდია. იგი გაორებული პიროვნებაა, როგორც საერთოდ ყოველი კერძო მესაკუთრე. წვრილი ბურჯუა. ამ გაორების საფუძველი ის არის, რომ მასში ერთმანეთს ებრძვის მესაკუთრე და მშრომელი, ე. ი. ავი და კეთილი. როგორც მესაკუთრე, გიორგი ბურჯუაზიული ფსიქოლოგიის ტყვეობაშია და უჭირს ახალთან შეგუება, მაგრამ მას ამასთან აქვს მშრომელი ადამიანის საუკეთესო თვისებებიც. როგორც ხასიათი, იგი მოგვაგონებს ოთარაანთ ქვრივს, რომელთანაც უთუოდ ბევრი საერთო აქვს. გიორგი ოთარაანთ ქვრივივით გამრჯება, პირში მთქმელი და გოროზი, რომელიც იოლად არავის დააჩაგვრინებს თავს, არავის შეარჩენს წყენას. ისიც ოთარაანთ ქვრივივით ელოლიაგება შვილს, მაგრამ ამჟამად არ უმხელს სიყვარულს, გულში ინახავს მას, თითქოს ცნობილ ქართულ ანდაზას მისდევსო — შვილი მტრულად გაზარდე და მოყვარედ გამოგადგებაო. ბოლოს, ისიც ხომ ოთარაანთ ქვრივივით შვილის საფლავზე კვდება.

რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს გიორგი კობაიძე ოთარაანთ ქვრივის უბრალო განმეორება იყოს. არა, იგი ახალი ხასიათია, რომელშიც ორგანულად შევიდა ილია ჭავჭავაძის

მიერ შექმნილი უცვლადი მხატვრული სახის ზოგიერთი არსებითი ნიშანი. განსხვავებას ამ უჭირველეს ყოვლისა ქმნის ის სულიერი ბრძოლა, რასაც გიორგი განიცდის როგორც მშრომელი და როგორც კერძო მესაკუთრე. ბოლოსდაბოლოს, მასში იმარჯვებს კეთილი საწყისი, ავგიორგი უფრო ადრე კვდება, ვიდრე გიორგი, კვდება მონაპოვლი. ცხოვრების მთელი გამოცდილებით ავგიორგი რწმუნდება, რომ ცდებოდა, სასტიკად ცდებოდა, როცა ეჭვით უტყერდა ახალს, როცა არ სწამდა ახლის სიდიადე და უძლეველობა. ამას მოწმობს ის კეთილი ცრემლი, რომელიც ავგიორგის წასკდა სიცოცხლის მიწურულს, როცა თენჯის ამბავი მისზე შეცოდებანი. ამ ცრემლმა გაწმინდა იგი ძველის ტუტყისაგან, ბურჯუაზიული ფსიქოლოგიის ძლიერი გავლენისაგან და დაანახა შემოქმედებითი სიცოცხლის სილამაზე და მომხიბვლელობა, რომელსაც, როგორც ბრმა სინათლეს, ვერ ხედავდა და ვერ გრძნობდა. აი რატომ ააღლევა მისმა ცრემლმა გიორგი და წარამათქმევინა გულწრფელი თანაგრძნობით გამთბარი სიტყვები: „მოდი, მოდი, ცრემლი მოგხოცო, შე უბედურო... რახან შენს თვალში კეთილი ცრემლი დაივანხე, რაღა მიშვას... ცრემლმა ამოწმინდა შენი გოროზი გული და თვალი“.

და როდესაც ერთმანეთს ადარებ ამ ორ სიცოცხლეს, თენჯო და გიორგი კობაიძეების სიცოცხლეს, ერთხელ კიდევ რწმუნდები, თუ რაოდენ ლამაზი და მიმზიდველია ნამდვილი, ტემპარიტი სიცოცხლე, შთაგონებული კეთილი საქმითა და ამამალღებელი მიზნით, და რა მტანჯველია ფუტად გავლილი წლები, რა უსარგებლო ისეთი სიცოცხლე, რომელიც არაფერს ან თითქმის არაფერს მატებს მამულსა და მშობლიურ ხალხს. ერთი ბურჯუაზიული იწვის და ანათებს, მეორე კი ნელ-ნელა, უალოდ იფერფლება, ერთი ნაღვერდალია, რომელიც დიდხანს ინახავს სითბოს, ხოლო მეორე — ნაცარი და ფერფლი. ამიტომ, ბუნებრივია, თენჯოსა და გიორგის ხვედრიც არ არის ერთნაირი „გრძელ სოფელში“, როგორც არ იყო იგი ერთნაირი „წუთისოფელში“. მზით შობილ და მზით აფთქებულ თენჯოს მზე, მკვდრის მზე „გრძელ სოფელში“ უნათებს. მაგრამ გაუნათებს კი იგი გიორგის? როგორც ჩანს, არა, რადგან „მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდება“, ხოლო ღირსეულად ის კვდება, ვინც ღირსეულად ცოცხლობს.



რომენჯი პიდაძე

ილია ჭავჭავაძის დრამატული პოემა
„ქართვის დედა“

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღ-
ვაწე ილია ჭავჭავაძე ბევრ სხვა უმნიშვნელოვანეს
პრობლემასთან ერთად თავის შემოქმედებაში
განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დედაშვი-
ლური ურთიერთობის საკითხს და მას განიხი-
ლავს ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში.
ამ მხრივ ძლიერ საინტერესოა თვითონ სიტყვა
„დედის“ მნიშვნელობის ის განმარტება, რომელ-
იც ილიამ მოგვცა თავის ერთ-ერთ პუბლიცის-
ტურ სტატიაში. ქართველისათვისო, ამბობს მწე-
რალი, „დედა“ მართო მშობელი როდია: ქართ-
ველი ღვიძლ ენას „დედა-ენას“ ეძახის, უფროს
ქალაქს — „დედა-ქალაქს“, სამთავრო აზრს —
„დედა-აზრს“ და გუთონის გამგებელ მამაკაცსაც
კი „გუთონის დედასო“. „სიდიდე, სიმკაცრე და სიმ-
კვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!.. ამაზე მე-
ტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა!..“
სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც
გვეუბნება „დედა“-ო, დაასკვნის ილია (თხზ., ტ.
3, გვ. 429).

ამიტომ ბუნებრივია, რომ დედაშვილურ ურ-
თიერთობას ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა არაერთი
ნაწარმოები და მათ შორის დრამატული პოემა
„ქართვის დედა“, რომელსაც მნიშვნელოვანი
ადგილი უკავია ქართულ პერიოდიკულ დრამატურ-
გიაში. მისი დედააზრი ის არის, რომ დედაშვი-
ლური სიყვარულის ნამდვილი ძალა და სილამაზე
უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს სამშობლო-
საღმი დამოკიდებულებაში.

ავადმყოფი ქართველი დედა, რომელსაც მოესმა
მამულის განთავისუფლებისათვის აზვირთებული,

ერთი ფიქრით ამოქმედებული ხალხის მკვეთრი
ხმა, აღფრთოვანებით წარმოთქვამს:

ერთი შვილი მყავს საყვარელი და
სანატრელი,

ივია მართო თავის დედის ნუგეშმცემელი.
ჩემი სიბერის მისაყრდომად ისღა მშთენია, —
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია.
ითიქოს ყველაფერი ნათელია — დედამ მტკი-
ცედ გადაწყვიტა სამშობლოს ანაცვალოს შვილი.
მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს ილია ჭავჭავაძის
ერთუფლება ცხოვრების სიმართლისადმი. მწე-
რალმა კარგად იცის, რომ დედაშვილურ ურთი-
ერთობას თავისი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია.
ერთ-ერთი ასეთი ნიშანი ისიცაა, რომ შვილი დე-
დის ნუგეში და სიყვარულია, მისი მისაყრდომი
და დამტყრებელია. ამიტომ როცა სამშობლოსა-
თვის შვილის გამტეხების საკითხი წყდება, დედა,
ბუნებრივია, ორჭოფობს. მას ასე ადვილად არ
შეუძლია მოიშოროს შვილი, დასთმოს იგი. ამ
მერყეობის გამოკრთომას უკვე გვრძნობთ დედის
სიტყვებში:

ის დედა დღეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის
სიყვარული,
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორი გრძნობის ბრძოლა გულმა ვით
გადიხადოს?
ძის სიყვარული თუ მამულის, — რომელი
დასთმოს?..

გრძნობათა ამ ჭიდილში დედა ისევ სამშობ-
ლოს აძლევს უპირატესობას და თავის სიტყვებს
ასე ამთავრებს:

კბა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო,
შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის
სიკვდილი...

დედამ იცის, რომ მისი ალალი რძე შვილს არ
შეერგება, თუ იგი სამშობლოსათვის არ გაიმეტა.
მაგრამ როცა გონებამ საკიბი სამშობლოს სა-
სარგებლოდ გადაწყვიტა, მას ახალი სატიკიარი
გაუჩნდა — სადმე ველად დაჭრილ შვილს ჭრი-
ლობას ვერ შეუხვევს, ვერ მოუფლის, საფრთხისა-
გან ვერ დაიცავს. ეს საფრთხით ბუნებრივი ტკივი-
ლი, შვილის მოსალოდნელი სიკვდილით გამოწვე-
ული შიში, წინააღმდეგობაა. მაგრამ ამ წინააღმ-
დეგობას ქართლის დედა ძღვეს, რამდენადაც
შვილის შესაძლო სიკვდილში სედავს ორი დაბი-
რისპირებული გრძნობის — ვაისა და ნეტარების
შინაგან კავშირს, მათ ერთიანობას. შვილის სიკვ-
დილმა არ შეიძლება დედაში არ გამოიწვიოს უმ-
ძიმესი მწუხარება, მაგრამ იგი, დედა, ამავე დროს
ქართლის დედაა და ამდენად მისთვის ნეტარე-
ბაა, რომ შვილი სამშობლოს შეეწიარა, მამულის
სამსხვერპლოზე მიიტანა ყველაზე ძვირფასი —
სიცოცხლე.

შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის, რომ მე ვარ დედა შენიც და
ქართლის დედაც;
ვით დედა შენი, იმ სიკვდილით შენით
ვიაგებ,
ვით ქართლის დედა ვინეტარებ და
ვისახელებ. —

ამბობს დედა და მისი ეს სიტყვები შესანიშ-
ნავად გადმოგვცემს დედაშვილური სიყვარულის
არსს, დედისა და შვილის ურთიერთობის წინააღ-
მდეგობასა და ერთიანობას.

ქართლის დედამ ძლიერ კარგად იცის სამ-
შობლოს თავისუფლების ფასი, იცის, რომ იგი
ჩაგრულთა და წვალებულთა წმინდა საფარია,
მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა და კაც-
თა აღმზრდელი. მართალია, თავისუფლება მტარ-
ვალეზმა აკრძალესო, ამბობს დედა, მაგრამ უმი-
სოდ ედემი და თვით პირველი კაციც არაბობაა,
უმისოდ შეუძლებელია ქვეყნის ნეტარება. თა-
ვისუფლებას კი მისი მძიებელი მიადრწეს მხო-
ლოდ სისხლისა და სიცოცხლის ფასად და, თა-
ვისთავად ცხადია, რაც მეტი იქნება თავისუფ-
ლებისათვის მებრძოლი, მით უფრო გარანტირე-
ბულია გამარჯვება. ქართლის დედას კი მართო
ერთი შვილი ჰყავს და ამის გამო გულწრფელად
წუხს, რატომ მეტი არ გამაჩნიაო!

ამაზე ვწუხარ... მაგრამ ამას რაღა

ეველოს?

ღმერთს მართო ერთს ვიხვოვ, მკვდარი
დედა ძემ ასახელოს.

აი ასეთი სულიერი სიმდიდრე გამოიჩინა ქარ-
თლის დედამ მისი სიცოცხლის კრიტიკულ
მენტში, როცა ერთი მხრივ, ავადმყოფობაში, ხო-
ლო, მეორე მხრივ, შვილის მოსალოდნელი და-
ლუბის შიშმა ააფორიაქა იგი. შვილს ესმის დე-
დის მღვთმარეობა, იცის თუ რაოდენ მძიმეა მის-
თვის მართო დარჩენა, შვილის გამეტება და,
როდესაც დედა მოუწოდებს დატოვოს იგი, ჩად-
გეს სამშობლოს დამცველთა რიგებში, განცვიფ-
რებით ეკითხება მას:

როგორ? მეც მგზავნი საომრად, დედის-
ერთსა,

რომ თავი დავსლო მამულისა ჩვენის
სახსნელად?

შვილის ამ ეკითხვამ დედა დააჩრწუნა, რომ
დადგა დრო, როცა შვილმა დედა საბოლოოდ
უნდა გაიცნოს და მთლიანად იგრძნოს მისი სიყ-
ვარულის ძალა. და ისე, როგორც ზღვა თა-
ვისი ფსკერიდან ყველაზე ძვირფას მარგალიტს
დიდი ქარიშხლის დროს ამოისერის, ასევე დე-
დამ ახლა, ამ კრიტიკულ ჟამს შვილს მთლიანად
გადაუშალა თავისი გული, თავისი სულიერი სამ-
ყარო, განუშარტა მას, რომ ადამიანის ყველაზე
მადალი დანიშნულებაა მუღამ და ყველაზე მხარ-
ში ედგეს მშობლიურ ხალხს, იღვწოდეს მისი თა-
ვისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა

სირცხვილსა,

რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი

იხოცებთან,

ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა
შვილსა,

მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ
ჰყვარებთან...

ვაჟაკად იყავ — ჩემი თხოვნა არის
მხოლოდ ეს.

სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით გამო-
ბარმა ამ წმიდა სიტყვებმა შვილს ყველაზე მეტად
აგრძნობინა დედაშვილური სიყვარულის ტეშმა-
რიტი სიღამაზე და მისი ცეცხლოვანი ძალა. დე-
დის სულიერი სიმდიდრით გაძალოვნებული და
ამაღლებული შვილი ახლა უკვე თვითონ ზემოქ-
მედებს დედაზე. მან აღუთქვა დედას, რომ სამ-
შობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში უბრა-
ლოდ კი არ დაილუბებოდა, არამედ ვაჟაკურად
შეეწირებოდა მის ბედნიერებას. და თუ დედამ
შვილისა და სამშობლოს სიყვარულით შვილის
მოსალოდნელი დალუბების შიში დაძლია, შვილმა
კიდევ უფრო მეტი შეძლო — დედაზე მაღლა
სამშობლოს დაყენებით დაამარცხა როგორც დე-
დის, ისე თავისი სიკვდილის შიში.

მასხალადამე, დედაშვილური სიყვარული, მათი
ურთიერთკავშირი სულ უფრო აქტიური ხდება,
იღებს ურთიერთ გაგების ხასიათს და იქცევა ურ-

თიერთ ზემოქმედებად. რაც უფრო მეტს ვუსმენთ დედა-შვილს, რაც უფრო ახლოვდება მათი განშორების ქამრი, მით უფრო ხილული ხდება ღრმა ადამიანური გრძნობებისა და აზრების საოცარი დინამიკა, ცვლილება და განვითარება.

თუმცა ეს განვითარება ამ შემთხვევაშიც არ მიმდინარეობს სწორხაზობრივად, წინააღმდეგობის გარეშე. დედამ, რომელმაც საკუთარი თვალთ დინახა მტერთან გულდაგულ შესახვედრად მიმავალი და გამარჯვების რწმენით ანთებული ქართველი ვაჟკაცები, რომლებიც მის შვილს — კიაზოს უხმობენ, ასლა ცხადად იგრძნო, თუ რა ძნელია შვილთან განშორება, მართლდმართლ დარჩენა. დედის გონებას წამით ნისლი გადაეფარა, სამაგიეროდ ამეტყველდა გული და, როცა შვილმა მიმართა:

აჰა, მოვდივარ! აბა დედი მოიეც გული!
ჩემგან — მეომარს, შენგან — შვილსა

ითხოვს მამული,

დედამ თავი ვეღარ შეიმაგრა, გული შეუღონდა და ცრემლიანმა შვილს გაუბედავად სთხოვა, დარჩი ჩემთანო.

დედამ მისცა სიცოცხლე შვილს, თავისი დაუცხრომელი ზრუნვით სამშობლოს დევგმირად გამოაწრით იგი, მისი სიყვარული მოკლა მამულის სიყვარულში და თავისი ხალხის ტრფობა ანაცვა-

ლა შვილის ტრფობას. ამის შემდეგ დედას, არათუ რაიმეს აკლებს გულის წასვლა და ცრემლმდენა, არამედ ამშვენებს კიდევაც. მას არათუ უმრავის გაუბედავი სიტყვები „დარჩი“ ჩემთანო, არამედ კიდევ უფრო ამაღლებს. უმისოდ ჩვენ ასეთი სრულყოფით ვერ ჩავწვდებოდით დედის სულის დიალექტიკას. დედის გაუბედავი სიტყვები — დარჩი ჩემთანო, იმის მაჩვენებელი კი არაა, რომ მას შვილის მართლაც სახლში დარჩენა სურს, არამედ იმის დამადასტურებელია, რომ დედამ მისი წინანდელი გაბედულებიდან თავისთვის აღარაფერი დაიტოვა და იგი მთლიანად გადაწერა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ვაჟკაცში, რომ დედამ თავისი გადაწყვეტილება — შვილი ანაცვალოს სამშობლოს — მიიღო გულთან მძიმე ჭიდილში.

ამრიგად, „ქართველის დედაში“ ილია ჭავჭავაძე დედაშვილური სიყვარულის, მათი ურთიერთობის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, ყველა ნიშანსა და მხარეს უქვემდებარებს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულ თავდადებას. იგი დღესაც შთაგვაგონებს ვიყოთ სამშობლოს ერთგულნი, ყველაფერი ვანაცვალოთ მის ბედნიერებას, თვით სიცოცხლაც კი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.



კონსტანტინე ბოლქვაძე

ასახვის ღენიური თორია და ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი

მარქსისტული ფილოსოფიის ძირეულ პრობლემათა შორის, რომელთა შემდგომი განვითარება განუწყველად დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარქსისტული გონსეოლოგიის საკითხებს. ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ასახვის თეორიის ძირითადი პრინციპი: „მატერიალიზმის ძირითადი დებულებაა ამსახველისაგან დამოუკიდებელი ასახულის არსებობა (გარეგანი სამყაროს დამოუკიდებლობა ცნობიერებისაგან)“ (თხზ., ტ. 14, გვ. 146), რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ შემეცნების თეორიისათვის, კერძოდ კი ესთეტიკის ძირითადი პრობლემების ახსნა-გაგებისათვის.

როგორც ცნობილია, ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვა. მაგრამ რით განსხვავდება ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან, რა არის მისი სპეციფიკა?

ხელოვნება წარმოიშვა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე და ამდენად იგი განუწყვეტელ კავშირშია საზოგადოებრივ პრაქტიკასთან. „ხელოვნების საგანი, — ასევე ყოველი სხვა პროდუქტი, — ქმნის საზოგადოებას, რომელსაც გაეგება ხელოვნება და შესწევს სიმშვენიერით დატკობის უნარი“, წერდა კარლ მარქსი („პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, გვ. 269). ხელოვნების უშუალო კავშირზე წარმოების განვითარებასთან მიუთითებს წარმოებისა და მოხმარების დიალექტიკა, რომელიც გენიალურად ახსნა და დაასაბუთა კარლ მარქსმა.

წარმოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ობიექტურად წარმოიშვება მოთხოვნილება ხელოვნების საგნებზე, ისეთ საგნებზე, რომელთა აღქმა ადამიანში გარკვეულ ესთეტიკურ ტკბობას იწვევს. ცხადია, განვითარების უდაბლეს საფეხურზე მყოფი ადამიანი მხოლოდ იმას მოიხმარდა, რასაც ბუნება აწვდიდა უშუალოდ, მზამზარეული სახით. ამგვარ მოხმარებას კარლ მარქსი უწოდებდა თავდაპირველი ბუნებრივი სიტლანქიდან და უშუალობიდან გამოსულ მოხმარებას. მაგრამ საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა მოხმარების წესიც, რადგან მოხმარების დარჩენა ბუნებრივი სიტლანქისა და უშუალობის საფეხურზე, თვით იქნებოდა შედეგი წარმოების ჩარჩენისა ბუნებრივ სიტლანქში“, რაც შეუძლებელია. ამრიგად, საზოგადოებრივი განვითარების პროცესის ობიექტურ კანონზომიერებასთან შესაბამისობაში განსაზღვრულ საფეხურზე ობიექტურად წარმოიშვება მოთხოვნილება ხელოვნების საგნებზე და, შესაბამისად, იწყება ხელოვნებითი წარმოება.

მაგრამ რადენადაც ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა, იგი საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვაა. აქედან კი ის აზრი გამომდინარეობს, რომ საშუალებანი, რომელთაც ხელოვნება ხმარობს, ლოგიკურის ბუნებისა არიან და ისინი ამ მხრიდან უნდა შევინწყავლოთ. ეს სავეებით მართებული და სწორია. და მიანც არ შეიძლება ვამტიკოთ, თითქოს სინამდვილის საგნებს ობიექტურად არ ახასიათებენ ესთეტიკური ნიშან-თვისებანი. მართალია, შემეცნება აუცილებლად გულისხმობს შესამეცნებლისა და



შემშენებლის არსებობას, მაგრამ მატერიალისტური გნოსეოლოგია ვეასწავლის, რომ ასახვით არსებობს ამსახველისაგან დამოუკიდებლად. თუ ესთეტიკური ნიშან-თვისებანი ობიექტური სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს არ ახასიათებენ, მაშინ საიდან ჩნდებიან ისინი? აღამიანი ხომ არ მიაწერს საგნებს ასეთ თვისებებს? ცხადია, ამგვარი თვალაზრისი საშუალებას არ მოგვცემს სწორად ვავივით ხელოვნების ბუნება. და მართლაც, რადგან ხელოვნება ასახვას, ამიტომ, ცხადია, ობიექტურად უნდა არსებობდეს ის, რასაც ხელოვნება ასახავს. ჩვენი აზრით, ეს არის პრინციპული დებულება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ესთეტიკის საგნის პრობლემას. თუ ამ დებულებას უარყოფთ და შეუღლებით მტიკავსა და თითქოს ესთეტიკური ნიშან-თვისებანი საგნებსა და მოვლენებს მხოლოდ სუბიექტთან გარკვეული ურთიერთობის პროცესში უჩნდებათ, მაშინ ესთეტიკური განცდის ფორმად მოგვევლინება და ხელოვნების საგანი ფსიქოლოგიის საგნად იქცევა, ე. ი. მეორე მოხსნის პირველს. მაგრამ ესთეტიკისა და ფსიქოლოგიის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობის ფაქტი სწორედ ამგვარი მიდგომის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.

ბუნების საგნებს რომ ესთეტიკური ნიშან-თვისებანი ობიექტურად გააჩნიათ, ეს შეიძლება არაერთი მავალით დაემტკიცოს. მართალია, ზოგერთი მოვლენა ერთ აღამიანში სასიამოვნო ემოციებს იწვევს, მეორეში კი არა, მაგრამ რატომ არავის არ უთქვამს, რომ ფრინველთა გალობა ჩემში არასასიამოვნო ემოციებს იწვევს, ხოლო პითონის ან ანაკონდას სისინი სიამოვნების მომგვრელია? მაშასადამე, არსებობს გარკვეული ობიექტური კრიტერიუმი მშვენიერისა და არამშვენიერის, ესთეტიკურისა და არაესთეტიკურის გასარჩევად. ეს კრიტერიუმი უშუალო კავშირშია და გამომდინარეობს სინამდვილის მხატვრული ასახვის კანონზომიერებებიდან. ესთეტიკის ამოცანაც, ჩვენი აზრით, ისაა, რომ გამოიკვლიოს და დაადგინოს ეს კანონზომიერებანი. ყოველი მეცნიერება ამა თუ იმ კანონზომიერებას სწავლობს და, თუ ესთეტიკამ უარი თქვა მხატვრული ასახვის კანონზომიერებათა შესწავლაზე, იგი ვეღარ იარსებებს როგორც მეცნიერება.

რომ საგანთა და მოვლენათა ესთეტიკური ნიშან-თვისებანი ობიექტური საფუძვლით არ იყოს შეპირობებული, მაშინ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ესთეტიკურის განსხვავება არაესთეტიკურისაგან. კიდევ მეტი, ესთეტიკურისათვის არ იარსებებდა არავითარი ობიექტური კრიტერიუმი და იგი იქნებოდა წმინდა სუბიექტური რამ. როგორც აუცილებლობა დაგვეკარგებოდა, რომ არ არსებობდეს შემთხვევითობა, ასევე ესთეტიკურსაც


დაკვარავადით, რომ არ არსებობდეს არაესთეტიკური.

ესთეტიკურის ამგვარ გაგებას განამტკიცებს მარქსის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ აღამიანი ქმნის სილამაზის კანონების მიხედვით. რა თქმა უნდა, თვითონ სილამაზის კანონი უნდა გავივით ბუნებრივი და არა ნორმატიული კანონის თვალაზრისით. ცხადია, რომ სილამაზის კანონების მიხედვით შექმნილი ნივთები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამ კანონის მოთხოვნათა გამოვლინების ხარისხით — ხელოვნების ერთი ნიმუში უფრო სრულყოფილია, ვიდრე მეორე, მაგრამ ეს საფუძველს არ გვაძლევს დავასკვნათ, თითქოს ესთეტიკური სუბიექტურია. თუ ერთი ხელოვნური უფრო სრულყოფილად ქმნის სილამაზის კანონების მიხედვით, ხოლო მეორე ნაკლებად სრულყოფილად, ეს მათ ბირადი ნიჭით, უნარით აიხსნება. ასევე ერთი მეცნიერი უფრო დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს და დასკვნებს აკეთებს, ვიდრე მეორე, რის გამოც მათი აღმოჩენებისა და დასკვნების მეცნიერული ღირებულება ერთნაირი არ არის.

ამრიგად, ესთეტიკას, როგორც მეცნიერებას, აუცილებლად საქმე უნდა ჰქონდეს გარკვეულ კანონზომიერებასთან, კერძოდ, იმ კანონზომიერებასთან, რომელიც ავგისხნის მხატვრული ასახვის თავისებურებას, უჩვენებს მის სპეციფიკას. მხატვრულ ასახვას რომ კანონზომიერება არ გააჩნდეს, მაშინ იგი არც იარსებებდა როგორც ასახვის გარკვეული, სხვა ფორმებისაგან განსხვავებული ფორმა. განსხვავება ხომ კანონზომიერებით გამოიხატება.

მაგრამ ხელოვნების სპეციფიკურობას თუ იმაში დაეინახავთ, რომ იგი სპეციფიკური ფორმით სპეციფიკურ სინამდვილეს ასახავს (ასეთი აზრი გამოთქვა ერთ-ერთმა ავტორმა ჟურნალში „კობროსი ფილოსოფიი“), ამით, ვფიქრობთ, საკითხს ახსნის მაგიერ გააბუნდოვანებთ, რადგან თვითონ „სპეციფიკური სინამდვილის“ ცნება იქნება ასახსნელი, ე. ი. უნდა გავარკვიოთ საკითხი, თუ რა ნიშნებით ხასიათდება ეს სინამდვილე, რა მიმართებაშია იგი ობიექტურ რეალობასთან, იმ სინამდვილესთან, რომელშიც ცხოვრობს და აქტიურად მოქმედებს სუბიექტი. თუ ეს „სპეციფიკური სინამდვილე“ წარმოდგენილი იქნება აღამიანის შინაგანი სამყაროს სახით, მაშინ საკითხი კიდევ უფრო გართულდება, რადგან ამ შემთხვევაში ყოველი ხელოვნის ამოცანა იქნება დახატოს თავისი საკუთარი მე, საკუთარი სულიერი სამყარო. ასეთი მკაცრად სუბიექტივიზებული ხელოვნება, ცხადია, დაკარგავს თავის საზოგადოებრივ ფუნქციას და შემეცნებით ღირებულებას.

აქვე საზვამსით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მაგრამ გრძობდა-კონკრეტული ასახვაა და მხატვრულ



სახეებში ხორციელდება. საგნის მხატვრული სახე და ცნება კი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცნება უფრო ღრმად ასახავს საგანს, ვიდრე შეგრძნება ან სახე. მაგრამ საკითხავია: ესთეტიკური მხოლოდ ცნობიერებისეულია თუ გრძნობისეული, ე. ი. ინტელექტუალურია თუ სენსუალური? სასიამოვნოს და უსიამოვნოს, ლამაზსა და მახინჯს, ტბილსა და მწარეს მხოლოდ ინტელექტუალურად ვერჩევთ ერთმანეთისაგან, თუ შეგრძნებებიც გვშევილიან ამ საქმეში?

თავის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ი. ლენინმა მოგვცა შეგრძნების რამდენიმე, შინაარსით იდენტური, განსაზღვრა. ისინი მოკლედ ასე ჩამოყალიბდება: 1. შეგრძნება არის ვალიზიანების ნერვების გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად, 2. შეგრძნება არის ის შინაარსი, რომელიც აღქმაში შეაქვს გრძნობის ორგანოებს, 3. შეგრძნება არის გრძნობადი თვისებების ასახვა. ამასთან ლენინი „ფილოსოფიურ რვეულეში“ ეთანხმება ფიერებახის დებულებას შეგრძნებათა როლზე შემეტებაში. ფიერებახი წერდა: „გრძნობა, ზუსტად ისევე, როგორც გონება, მეუბნება, რომ მთელი უფრო დიდია, ვიდრე ნაწილი; მაგრამ ამას მეუბნება არა სიტყვით, არამედ მაგალითებით, მაგალითად, იმით, რომ თითი ხელზე მოკლეა“ (ვ. ი. ლენინი, „ფილოსოფიური რვეულეში“, რუს. გამ., გვ. 320-321). აქედან ცხადია, რომ შეგრძნებამ, როგორც ცალკეულ გრძნობად თვისებათა ასახვამ უნდა მოგვეცეს გარკვეული ცოდნა სინამდვილის საკნებასა და მოვლენებზე. სწორედ ამიტომ დიდი ხელოვანი ის არის, ვინც საკნებას და მოვლენებში უფრო მეტ გრძნობად თვისებებს აღმოაჩენს და დასაბავს, აჩვენებს მათ ორგანულ კავშირსა და პარამონიულობას. ერთ-ერთ წერილში ფ. ენკელსი აღნიშნავდა, რომ ბალზაკმა გადავიწვია საფრანკეთის მიუღი ისტორია მისი ეკონომიური დეტალებით, რომლისგანაც უფრო მეტის გაგება შეიძლება, ვიდრე იმ პერიოდის ყველა სპეციალისტის — ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების წიგნებიდან.

ამრიგად, ხელოვნება, როგორც სინამდვილის გრძნობად-კონკრეტული ასახვა, ობიექტური სინამდვილის შემეტების გარკვეული ფორმაა. მისი საგნაია ადამიანის ცნობიერების ვერტი და მისგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე. მაგრამ მეცნიერებაც ხომ სინამდვილის ასახვაა, ისიც ხომ ობიექტურ რეალობას ასახავს? განსხვავებას მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის ის ქმნის, რომ მეცნიერება ცნებებით, ხოლო ხელოვნება სახეებით აზროვნება. აქ სადაო არაფერია. მაგრამ შეიძლება ვინმემ იფიქროს: რადგან ხელოვნება სინამდვილის გრძნობად-კონკრეტული ასახვაა, ამდენად ხელოვანს სრულიადაც არ სჭირ-

დება გაშორდეს შემეტების პირველ ეტაპზე („ცოცხალ განჭვრეტას“, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა) და მისთვის საჭირო არაა აბსტრაქტული აზროვნება. რა თქმა უნდა, ასეთი მოსაზრება სწორი არ არის. „ობობა ასრულებს ისეთ ობერაციებს, რომელიც ფეიქრის ობერაციებს მოგვაგონებენ, და ფუტკარი თავისი ფიქრის უჯრედების აშენებით ბევრ ხუროთმოძღვარს გააწვლილებს. მაგრამ რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკარი-სავან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიქრის უჯრედს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი. შრომის პროცესის დასასრულს ვლდებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის აღწყვეტებას მუშის წარმოდგენაში, მასადაამე, იდეალურად, უკვე არსებობდა. იმაში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას მარტო ფორმის ცვლილება როდი შეაქვს; იგი ამასთანავე ამ ბუნებით მოცემულში ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელიც, როგორც კანონი, მისი მოქმედების წესსა და ხასიათს განსაზღვრავს და რომელსაც მან თავისი ნებისყოფა უნდა დაუქვემდებაროს“ (კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 228). ხელოვანიც, სანამ თავისი ნაწარმოების შექმნას შეუდგებოდეს, ჯერ იდეალურად შექმნის მას, გაიზარებს მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილად და შემდეგ შეუდგება მის განხორციელებას. იმაში, რაც „ბუნებით მოცემულია“, შემოქმედი განახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს, რომელსაც მხატვრული ნაწარმოების იდეა უნდა ვუწოდოთ. ეს იდეა, როგორც კანონი, განსაზღვრავს შემოქმედის მოქმედების წესსა და ხასიათს და იქვემდებარებს მის ნებისყოფას. სწორედ ამიტომ ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოების სრულყოფილი ახსნა-გაგებისათვის აუცილებელია ჩავწვდეთ მის იდეას და ამის შემდეგ ყველაფერი ცხადი იქნება.

მასადაამე, სინამდვილის მხატვრული ასახვა არ არის მხოლოდ „ცოცხალ განჭვრეტა“, მასში აუცილებლად მონაწილეობს ინტელექტური მომენტი. ზოგიერთი მკვლევარი კი უწინააღმდეგობაში ჩაეარდა ბელინსკის დებულების — მეცნიერება ასაბუთებს, ხელოვნება უჩვენებს — დოგმატური გაგების გამო და საკითხი იმგვარად წარმოიღვინა, თითქოს „ჩვენებისათვის“ საქმარისია მხოლოდ საგნის ან მოვლენის ჰერეტა, გრძნობადი აღწერა, და საყვებით შედგმტია ინლექცია და დედუქცია. აღწერას მეცნიერებაც მიმართავს. მაგალითად, ბოტანიკოსი აღწერს ამა თუ იმ ყვავილს, დამტვრვის პროცესს, ქიმიკოსი კი ამა თუ იმ ქიმიურ რეაქციას. მეცნიერი მიმართავს შედარებასაც ასე, მაგალითად, თუ სურთ ახსნან დენის გავლა გამტარში, მას აღარებენ წყლის გაჟღას მილში და ა. შ. გარდა ამისა, მეცნიერებ-

სარგებლობენ ისეთი საშუალებებით, როგორცაა მიითქება, დახასიათება და სხვ. მაგრამ ამის გამო არაფერს აზრადაც არ მოჰყვება თქვას, თითქოს შეცნირება სინამდვილის შემეცნების პროცესში ხელოვნების აპარატს მოიხმარს. ამის თქმა მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, რომ მხოლოდ ხელოვნება სარგებლობდეს ამგვარი საშუალებებით და ამის იქით არ მიდიოდეს.

მხატვრული ასახვაც განზოგადებული ასახვაა. თუ ლოგიკურის ზოგადი ფორმა ცნებაა, მხატვრული ასახვის ზოგადი ფორმა სახეა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მარქსმა საქონელში, კაპიტალისტური საზოგადოების ამ „უჯრედში“, აღმოაჩინა კაპიტალიზმის მთელი შინაგანი წინააღმდეგობანიო. ასევე სახეში, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის „უჯრედში“, შეიძლება და უნდა აღმოჩნდეს კიდევაც ესთეტიკურის არსი, მხატვრული შემეცნების სპეციფიკა და თავისე-

ბურება. ამ საკითხის სრულყოფილი გაგებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა უპირველეს ყოველივეს სახის, როგორც ზოგადის, ბუნების გარკვევა; ხისა და ტიპის დამოკიდებულების, ტიპიზაციისა და ინდივიდუალიზაციის მიმართების გამოკვლევა. ამასთანავე ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს მხატვრული ასახვის მეთოდის შესახებ. კამათს არ იწვევს ის დებულება, რომ მხატვრული ასახვის ჭეშმარიტ მეთოდს მოკლებული ხელოვნება ვერასოდეს ვერ მიადრწევს სათანადო სიმაღლეს. მეთოდის შესახებ საკითხს გადაწყვეტს მხოლოდ ის მეცნიერება, რომელსაც მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას ესთეტიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებაში.



ქართული წიგნი

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის 330 წლისთავის გამო.

ქართველი ხალხის მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხელნაწერი წიგნების საშუალებით.

როგორც ცნობილია, წიგნის გადამწერლობა საქართველოში უძველესი დროიდან გარკვეული სპეციალობა იყო. გადამწერს კარგი შემოსავალი ჰქონია და გაფორმებული წიგნი ძვირადღაც ღირებულა. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ცნობით, XI საუკუნის ერთ-ერთ სიგელში ასეთი მინაწერი იკითხება: „ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი და ფასად მივეც ცხენისა ნახევარი“. ქართული ეკლესია-მონასტრები, რომელთა ქსელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ფართოდ იყო გაშლილი, დაუღალავად იღვწოდნენ წიგნის გადამწერისათვის. ასევე დაუცხრომელი სამწიგნობრო საქმიანობა იყო გაჩაღებული ცალკეულ ოჯახებში. ამ გზით მოაღწია ჩვენამდე შოთას „ვეფხისტყაოსანსა“, „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებმა და ეროვნული კულტურის სხვა მრავალმა ღირსშესანიშნავმა ძეგლმა.

ევროპაში პირველი ნაბეჭდი წიგნები XV საუკუნის შუა წლებში გამოიცა, ხოლო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოვიდა რომში XVII საუკუნეში. მხოლოდ 80 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი საქართველოში დაბეჭდილიყო პირველი ქართული წიგნი.

რატომ მოხდა, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოიცა არა საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ იტალიაში?

XVII საუკუნიდან საქართველოთი განსაკუთრებით დაინტერესდნენ იტალიელი მისიონერები, რადგან საქართველო ერთგვარი ხიდი იყო იტალიის სავაჭრო-ეკონომიური და პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზაზე. ახლო აღმოსავლეთში გავლენის გასაძლიერებლად იტალიელები

ბი საქართველოსთან კულტურული ურთიერთობის საფარით პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ.

ვატიკანის გავლენის სფეროებად აღმოსავლეთის ქვეყნების გადაქცევის ემსახურებოდა მისიონერების გამოგზავნა საქართველოში, რომლებიც ამავე დროს იტალიის სავაჭრო კაპიტალის ერთგვარი აგენტები იყვნენ. მათ ოფიციალურად ევალებოდათ კათოლიკური სარწმუნოების ქადაგება ქართველ ხალხში, ამ მისიის შესასრულებლად კი აუცილებლად უნდა ცოდნოდათ ქართული ენა. საჭირო იყო ამ ენაზე წიგნების გამოცემა. ამიტომ XVII საუკუნის დამდეგისათვის პაპმა ურბან VIII იტალიელ გამომცემლებს მისცა ქართული-იტალიური ლექსიკონის, წიგნებისა და სათანადო სახელმძღვანელოების დაბეჭდვის ნებართვა. და აი ვატიკანის მისიონერებმა ქართული წიგნის გამოცემისათვის პირველივე შემთხვევა გამოიყენეს; 1627 წელს რომში ჩაიგდა თეიმურაზ პირველის ელჩი, ცნობილი ქართველი მოღვაწე, დიდად განათლებული ადამიანი ნიკოლოზ ომანის-ძე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი ანუ ნიკოლოზ ირბაქი, რომელმაც პაპს მიუტანა საქართველოს მეფის წერილი. სარწმუნოების გამაერთიანებელი საზოგადოების გამგის აქილ ვენერიოს გადმოცემით, სწორედ ამ წერილიდან ამოუკრეფიათ მისიონერებს ასოები და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ირბაქის) ხელმძღვანელობით ჩამოუსხამთ ქართული შრიფტები. მისი ინიციატივითვე 1627 წელს დაარსებულა რომში პირველი ქართული სტამბა.

ნიკოლოზ ირბაქი კარგა ხანს დარჩენილა რომში, სადაც საკმაოდ შესწავლია იტალიური ენა, ხოლო თავის მხრივ იტალიის ცნობილი საზოგადო მოღვაწის სტეფანე პაოლინისათვის უსწავლებია ქართული ენა. შემდეგ ორივეს დაუწყიათ ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენა.

რომელიც ძირითადად გათვალისწინებული იყო მისიონერთა დასახმარებლად.

1629 წელს სარწმუნოების გამაგრებლებელი საზოგადოების ქართულ სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“.¹ შედგენილი სტიფანე პაოლინის მიერ. ამ წლიდან იწყება ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიაც.

ლექსიკონის დასაწყისში აუნუსხვ გვერდებზე გვიხსენებთ აქელ ვენერიოს მიმართებას პაპ ურბან VIII. წიგნის პირველი და მეორე გვერდი უჭირავს ქართულ-იტალიურ ანბანს. ყოველი ქართული ასოს გასწვრივ დაბეჭდილია იტალიური შესატყვისის თვისებებზე ბევრათა განმარტებით. ლექსიკონში სულ სამი ათასი ქართული სიტყვაა. წიგნში შესული იტალიური სიტყვები ანბანზეა დალაგებული, ხოლო ყოველი ქართული სიტყვის შესატყვისის მოსაძებნად მითითებულია გვერდი და სტრიქონი. წიგნი შეიცავს 178 გვერდს. სამწუხაროდ, ლექსიკონში ბევრი შეცდომაა. ეს იმიტომ, რომ წიგნის ბეჭდვისას ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ირბაქი) არ იმყოფებოდა რომში, ის რომიდან წავიდა 1628 წლის დეკემბერს.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოსვლის შემდეგ რომში დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. წიგნის პირველი შეიდი გვერდი უჭირავს ქართულ მხედრულ ანბანს, დანარჩენ გვერდებზე დაბეჭდილია ლოცვები, მრწამსი, ათი მცნება და ღვთისმშობლის საგალობელი.

ფრიად საყურადღებოა რომში გამოცემული მესამე ქართული წიგნი „ქართული გრამატიკა“ (1643 წ.), რომლის ავტორია იტალიელი მისიონერი ფრანცისკო-მარია მაჯიო. მას რვა წელი უცხოურია საქართველოში და კარგად შეუსწავლია ქართული ენა. მარია მაჯიო „ქართული გრამატიკა“ მეორედ 1670 წელს გამოიცა ოდნავ შეცვლილი სახელწოდებით.² წიგნში მოცემულია ქართული ხელისა და მართლწერის ანალიზი, ქართული დამწერლობის სამი სახე: მხედრული, მგლოვანი და ხუცური. გრამატიკის ბოლო ნაწილში მოიცავს სომხურ-ქართულ და არაბულ-ქართულ ანბანს, ეტიმოლოგიას და სინტაქსს.

მეოთხე ქართული წიგნი რომში დაიბეჭდა 1681 წელს. ეს იყო ცნობილი იტალიელი მქადაგებლის პატრ ბერნანდო მარიაშის „ქართლის მხედრული ენით“ თარგმნილი კარდინალ ბელრამინის იტალიური ნაწარმოები „საქრისტიანო მოძღვრება სიმეოლოებით დარბეგებული“.

შემოსხმებული ქართული წიგნების ტექსტებში მრავალი შეცდომაა. მიუხედავად ამისა, მათი მოცემებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა შექმნა. დასავლეთმა ევროპამ, კაცობრიობის ამ ახალმა კულტურულმა ცენტრმა, მათი წყალობით პირველად გაიცოცა ქართული ენა.

ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგომი ისტორია დაკავშირებულია გამოჩენილი პოეტისა და მეფის არჩილ მეორის სახელთან. პოლიტიკური ვითარების გამო რუსეთში გადახვეწილი არჩილი მოსკოვს დაუყოვნებლივ დასავლეთ ევროპის განათლებულ პირებს, ერთ-ერთი მათგანის შემწეობით ამსტერდამში გააკეთებინა ქართული შრიფტი და პეტრე პირველის ნებართვით 1705 წელს მოსკოვის სინოდის სტამბასთან მოწყობილ ქართულ წიგნთსაბეჭდავში დაბეჭდა „დავითნი“.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის საქართველოში საკმაოდ განვითარდა წიგნების ბეჭდვა. ამ პერიოდში მეფისა და პოეტის ვახტანგ VI მზრუნველობით თბილისში დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი. ამ საქმეში ვახტანგ VI უახლოესე თანამოღვაწე იყო დიდი ქართველი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ მეფემ თბილისში საგანგებოდ ააგო სტამბის სახლი, რომლის გამართვაში დიდი დახმარება გაუწია რუმინეთის გამოჩენილმა მოღვაწემ ეროვნებით ქართველმა ანთიმოზ ივერიელმა (1650-1717). ვახტანგ VI თხოვნით თბილისში სტამბის გასამართად ანთიმოზმა გამოგზავნა თავისი უნგრულ-ელახელი მოწაფე მესტამე მისხალ იმტვანოვიჩი (მიხეილ ვალახი).


ვახტანგ VI ინიციატივით დაარსებული სტამბა პირველი ეროვნული სტამბა იყო არა მარტო საკუთრივ საქართველოში, არამედ მთელ ამიერ და იმეერი კავკასიაში.¹ 1712 წელს ამ სტამბაში მხედრული შრიფტით პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგ VI კომენტარებით.

სულ ვახტანგ VI სტამბაში 1709-1722 წლის

¹ წიგნის სტამბური ბეჭდვის ტრადიციამ XIX საუკუნის დამდეგს საქართველოდან გავრცელება იწყო მეზობლად მდებარე აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში. 1823 წელს თეირანში პირველი ეროვნული სტამბა ტყევის მოძრაი შრიფტით დაარსა ირანის შაჰის კარზე მიღებულმა მუთომადულ დავად წოდებულმა ქართველმა მანუჩარ-ხან გურჯმა. ასევე 1829-1830 წლებში ერასის დედაქალაქ ბაღდადში პირველი ეროვნული სტამბა გამართა მუჰამედ ბაქირ თბილისელად წოდებულმა ქართველმა მამულიშვილმა, როდესაც ამ ქვეყანას სათავეში ედგა ქართველ მამულქთა უკანასკნელი დაუდ-ფაშა მანუელ-შვილი-ბაჩილაშვილი.

¹ წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი დაცულია თბილისის კ. მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში.

² წიგნი ინახება კ. მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში.



განმავლობაში გამოიკა ოცი სახელწოდების წიგნი.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულისათვის სულხან-საბა ორბელიანის თაოსნობით რომში სასწავლებლად გაიგზავნა 23 წლის გორკლი ახალგაზრდა ტულუქაანი დავითა. 1724 წელს დავითი შევიდა კოლეჯში. ენერგიული მუშაობის შედეგად 1732 წელს მან საუცხოოდ დაიცვა საჯარო დისერტაცია ფილოსოფიაში, ერთი წლის შემდეგ კი მღვდლად ეკურთხა ლათინურ ტიბიკინზე და კაპუცინებთან შევიდა ბერად.

ტულუქაანი დავითამ თავისი მოღვაწეობის მოკლე მანძილზე ბერის სასარგებლო საქმე გააკეთა. მან აღადგინა და განაახლა ქართული სტამბა რომში, შეადგინა საეკლესიო წიგნი „საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთენა შეიღთა საიდუმლოთა ზედა“, რომელიც მანვე თარგმნა იტალიურ ენაზე. დავითი გარდაიცვალა 1734 წელს. მისი საყვდილის შემდეგ ერთმა ქართველმა კათოლიკე მღვდელმა იკისრა მისი შრომების გამოცემა, მაგრამ მხოლოდ „საქრისტიანო მოძღვრება“ დაუბეჭდავს 1741 წელს.¹

საქართველოში წიგნის ბეჭდვის კარგი პირობები ხანგრძლივი არ გამოდგა. ჯერ ვახტანგ VI პოლიტიკურმა ტრაგედიამ, ხოლო შემდეგ ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკურმა ბედუქუდმართობამ ბოლო სეროულ პირველ ქართულ ეროვნულ სტამბას. როგორც ცნობილია, 1724 წელს ვახტანგ VI შინაური და საგარეო მდგომარეობის ვართულების გამო იძულებული გახდა მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გადახვეწილიყო იმ იმედით, რომ რუსეთის დახმარებით თავიდან მოიშორებდა სამშობლოს მტრებს. ვახტანგის ამაღლი შედიოდნენ მაშინდელი მოწინავე ქართველი მოღვაწეები, მათ შორის მრავალჭირგადახდილი საბასულხან ორბელიანი. რუსეთში გადახვეწილ ქართველებს, მიუხედავად მძიმე პირობებისა, იქაც არ შეუწყვეტიათ ზრუნვა ქართული სტამბის აღდგენისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არჩილ მეფემ ჩაუყარა საფუძველი.

1737 წლიდან მოსკოვში გამოვიდა თერთმეტი სახელწოდების სქელტანიანი ქართული წიგნი. აქ სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობას სათავეში ედგნენ იოსებ სამბელო, ქრისტეფორე გურამიშვილი (ჩვენი დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ძმა), მეუღის ძენი ბაქარი, ვახუშტი და სხვ. 1755 წელს ქართული სტამბა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის გამოცემლობაში გადაიტანეს. 1762 წლიდან ქართული წიგნის ბეჭდვა განახლდა მოსკოვის სტამბაში. ქართული წიგნი

¹ წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი ინახება ავ. წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

იმეჭებოდა სხვადასხვა დროს კრემინუში მუცხოვში, ვენეციაში, პარიზში, ლონდონში, ტანტინებოლოში.

რაც შეეხება ქართული სტამბის ბედს თვით საქართველოში, ვახტანგ VI მოღვაწეობის შემდეგ შემოსეულმა მტრებმა იგი დაუნდობლად დაარბიეს.

ქართული სტამბა ნანგრევებიდან აღდგა 1749 წელს მეფე ერეკლე მეორის თაოსნობით. ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემაში დიდი დეაწლი მიუძღვის ქრისტეფორე კეკელიაშვილს, რომელსაც ერეკლე მეორემ სტამბის წარმოება ჩააბარა. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან შრიფტის თბილისში ამზადებდნენ. დაარსებიდან 1795 წლამდე ამ სტამბაში სულ დაიბეჭდა 30-მდე სახელწოდების სქელტანიანი წიგნი.

1795 წელს სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰმად ხანმა დაარბია თბილისი და აღწვა ერეკლე მეორის მიერ განახლებული და გამართული სტამბა. ამ სტამბის აღდგენა მოხერხდა 1800 წელს.

XIX საუკუნის დამდეგს დასავლეთ საქართველოში დიდ ინტერესს იჩენდნენ სასტამბო საქმისადმი. 1799 წელს იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ საგანგებოდ გაგზავნა მოსკოვს მესტამბე გიორგი პაიჭაძე, რომელმაც შეიძინა სტამბის მოწყობილობანი, შრიფტი და 1800 წელს ქუთაისის სტამბაში დაბეჭდა პირველი წიგნი „დავითნი“. წიგნს ერთვის გ. პაიჭაძის ანდერძი. იქ მოთხრობილია სტამბის მოწყობისა და პირველი წიგნის დაბეჭდვის ამბავი.¹

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის საქმე თბილისში საგრძნობლად შევიწროდა. გამოსაკლის წარმოადგენდა იოანე ქართველიშვილის „გრამატიკა“, გამოცემული 1815 წელს, სოლომონ დოდაშვილის „ქართული გრამატიკა“ (1830 წ.) და პლატონ იოსელიანის „ანბანი“ (1838 წ.).

ამ ხანებში უკეთესი მდგომარეობა იყო რუსეთში. აქ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართული სამეცნიერო წიგნების გამოცემას სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის მოაზვე აკადემიკოსი მარი ბროსე და ცნობილი ლექსიკოგრაფი დავით ჩუბინიშვილი. მათი თაოსნობით მრავალი ქართული წიგნი დაიბეჭდა მოსკოვის სინოდური კანტარის სტამბაში. ცოტა უფრო ადრე კი მარი ბროსეს დაუმცხრალი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად პარიზში გამოვიდა მთელი რიგი ქართული საისტორიო და ლინგვისტური შრომები ფრანგულ-ქართული ტექსტებით. მ. ბროსემ და დ.

¹ წიგნი ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

ჩუბინიშვილმა გამოაქვეყნეს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (1841 წ.), ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომი, კლასიკური ქართული ლიტერატურის ქრესტომათიები, დ. ჩუბინიშვილის ლექსიკონები და სხვ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის სტამბეში დამკვიდრებული ქართული წიგნის ბეჭდვა იმდენად მყარი გამოდგა, რომ როცა სამოციანი წლებში ქართული წიგნის ბეჭდვის ცენტრი კვლავ თბილისი გახდა, პეტერბურგში ქართული წიგნის გამოცემა შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ასე, მკვალითად, პეტერბურგში ბირველად დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის იგავების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“. ცნობილმა თერგ-დალეულმა, ილიას თანამოაზრემ კირილე ლორთქიფანიძემ აქ შეადგინა და გამოსცა „ჩონგური“, რომელშიც გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნაწარმოებები.

60-იანი წლებიდან ქართული წიგნი საბოლოოდ უბრუნდება თავის მშობლიურ კერას — თბილისს, სადაც შედარებით ფართო საგამომცემლო საქმიანობა გაიშალა, კერძოდ, დაიბეჭდა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, ყურნალ „ცისკარისა“ რედაქციამ გამოაქვეყნა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (ნაწ. I), „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.

70-იანი წლებიდან ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას სათავეში ჩაუდგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. მაჩაბელი, რომელთა დაუღალავი შრომის შედეგები ქართველმა მკითხველმა შედარებით მოკლე დროში ნაბეჭდი სახით მიიღეს ძველი და ახალი კლასიკური ქართული მწერლობის ნაწარმოებები, სამეცნიერო და საისტორიო ხასიათის შრომები.

ქართული წიგნის გამოცემის საქმეში დიდი დავალი მიუძღვის აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. და მაინც ქართული წიგნის გამოცემას აბრკოლებდა და ზღუდავდა თვითმპყრობელური საცენზურო პირობები და მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საბოლოოდ გაათავისუფლა სსრ კავშირის ხალხები ყოველგვარი ჩავრისაგან და შექმნა მათი ეროვნული კულტურის განვითარების ყველა პირობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ნაბეჭდი წიგნების რიცხვი და თემატიკა არნახულად გაიზარდა. თუ ქართული წიგნის ბეჭდვის შემოღებიდან (1629 წ.) საქართველოში და მის გარე თიქმის 300 წლის მანძილზე — 1921 წლამდე სულ გამოიცა 6.203 ქართული წიგნი, რომელთა საერ-

თო ტირაჟი ერთ მილიონს არ აღემატება, 1921 წლის თებერვლიდან 1959 წლის პირველ ნახევარამდე (38 წლის მანძილზე), დაიბეჭდა — 32.542 სახელწოდების ქართული წიგნი, რომლის საერთო ტირაჟი 18 მილიონს აღწევს.

თუ რევოლუციამდე რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორიოდ გამოცემა არსებობდა, საბჭოთა პერიოდში იგი ოცდაექვსჯერ გამოიცა, რომელთა საერთო ტირაჟი 300 ათასს აღემატება. დიდი ტირაჟით გამოდის ილიას, აკაკის, ვაყას, ნ. ბარათაშვილის, ალ. ყაზბეგისა და სხვა კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები.

ქართველი მწირომელები მშობლიურ ენაზე ეცნობიან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ყველა ნაწარმოებს.

ქართულად თარგმნილი და გამოცემული თანამედროვე და კლასიკური რუსული ლიტერატურის ყველა საუკეთესო წარმომადგენლის ნაწარმოებები.

ითარგმნა და გამოიცა სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისა და დასავლეთის კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების საუკეთესო ნიმუშები. ქართველი მკითხველი ახლა მშობლიურ ენაზე კითხულობს ბალზაკის, ზოლას, სტენდალის, ჟულ ვერნის, ჰიუგოს, მოსასანის, ანატოლ ფრანსის, გოეთეს, იბსენის, შილერის, შექსპირის, პროსპერ მერიმეს, ანრი ბარბიუსის, ჯეკ ლონდონის, ჰემინგუეისა და სხვათა ნაწარმოებებს.

რევოლუციამდელ აჭარაში, განსაკუთრებით თურქი დამპყრობლების ბატონობის პერიოდში, ქართული წიგნის გამოცემაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგან თურქი ასიმილატორები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა მკვიდრ მოსახლეობას დაევიწყებოდა მშობლიური ქართული ენა. აჭარლებს უცვლიდნენ გვარს, სახელს, ქართულ ენაზე ლაპარაკისათვის აჯარმებდნენ. სასტიკად იღვენებოდა ქართული წიგნები. აჭარელ მშრომელს სწყურობდა სწავლა-განათლება, ენატრებოდა ქართული წიგნი.

საქართველოსთან აჭარის შეერთების შემდეგ დაიწყო ბათუმში ქართული წიგნის გამოცემა, მაგრამ ძალზე შეზღუდულად, რადგან მფევის მთავრობის სრულიად არ აინტერესებდა მოსახლეობისათვის მშობლიურ ენაზე მიეცა სწავლა-განათლება.

პირველი ქართული წიგნი ბათუმში დაიბეჭდა 1889 წელს ა. მახარაძის კერძო სტამბა-ლითოგრაფიაში.¹

¹ „ახალი ლექსები სალდათობაზე და ჯიბის ფულზე შედგენილი მღვდლის შვილის ვერასიმე თევზაძისაგან. ბათუმი. მახარაძის სტ. ლითოგრაფია. 1889“. წიგნის ერთი ეგზემპლარი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-ჩხედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

სულ რევოლუციამდელ აჭარაში გამოიყენა 100-მდე სახელწოდების ქართული წიგნი მეტად მცირე ტირაჟით.

საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარის მშრომელებს მოუტანა თავისუფლება, შეძლებული და კულტურული ცხოვრების ნათელი პერსპექტივები. ბათუმში შეიქმნა აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა, რომელიც მშრომელთა იდეური და კულტურული დონის ამაღლებას ემსახურება. აქ სისტემატურად იბეჭდება მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ხასიათის ლიტერატურა.

1921 წლიდან 1959 წლამდე (38 წლის მანძილზე) აჭარაში გამოიყენა 483 სახელწოდების წიგნი მილიონზე მეტი ტირაჟით, ამასთან სახელმწიფო გამომცემლობა სისტემატურად ადიდებს წიგნების გამოცემას. თუ 1958 წელს გამოიყენა 25 სახელწოდების წიგნი, მიმდინარე წელს გამოვა

60 სახელწოდების წიგნი და ბროშურა 400-მდე საგამომცემლო თაბახის მოცულობით. ეს წიგნები და კიდევ მეტად აღემატება იმას, რაც 1956 წელს გამოიყენა.

აჭარაში გამოდის ორი საოლქო (ქართულ და რუსულ ენებზე) და 5 რაიონული გაზეთი (ქართულ ენაზე), საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“.

ქართული წიგნის გამოცემის უდიდესი პერსპექტივები ისახება მიმდინარე შვიდწლეულში. საკმარისია ითქვას, რომ 1959-1965 წლებში საგრძნობლად გაიზარდება წიგნის გამოცემა როგორც სახელწოდების, ისე უმთავრესად ტირაჟის მხრივ.

ახლა ქართველ მშრომელებს ყველა პირობა აქვთ ხარბად დაეწაფონ წიგნს, ცოდნისა და განათლების ამ უშრეტ წყაროს.

ბ. მოიხვრავიშვილი.



ბათილმა მებრძომა

ს უ ლ ო შ ი

ხულოს ორკლასიანი სასწავლებელი გაიხსნა ჩვენი საუკუნის დასაწყისში. ზემო აჭარის 20 ათასზე მეტ მცხოვრებელ შორის ეს ერთადერთი ნორმალური სასწავლებელი იყო მაშინ. აქ ბათონის ოლქის სამოსწავლო მთავრობა მასწავლებლად უმთავრესად გურულებს ნიშნავდა. პირველი ასეთი მასწავლებელი იყო ალექსანდრე მგელაძე. მან ახალ დროში ქართული წერა-კითხვის სწავლება დაუწყო ხულოელ ბავშვებს. ჯემალი ბეგი (იხ. ქვემოთ) ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დამკვიდრებული ხულოში და ქართული წერა-კითხვის სწავლების დაწყებას განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

აჭარის ხოჯა-მოლებმა დაიწყეს დასმენები პოლიციაში და ჩივილი, ბავშვებს გაგვიქრისტიანებენო. მაშინდანი ფანატიკოს ხულოელ მდაბიოებს აიძულებდნენ შვილები სკოლაში არ გაეშვათ. მდგომარეობა გართულდა.

მასწავლებელი ალ. მგელაძე ბათონში გადაიყვანეს. მის ადგილზე მოწვეული ახალციხელი ბეგი ვაჩნაძე კურდღელივით მშიშარა გამოდგა. მან საცხებით აიღო ხელი ქართული ანბანის სწავლებაზე, ხალხს ოსმალურად ელაპარაკებოდა, მოსწავლეებს დამტვრეული რუსული იქცევდა და მათ ასეთივე რუსულით შეკოწიწებულ წინადადებებსა და მისთვის გაუგებარ არაბულ სიტყვებსა და „ყურანის“ ფრაზებს აზვიერებინებდა. ბავშვებს შესულდათ სკოლა და თანდათანობით მოსწყდნენ მას. ეს შედეგი იყო დედაენის უკუღვებელიყოფისა და ბავშვთათვის უცნობი ორი ენის ძალდტანებითი სწავლებისა.

იმავე დროს გურიაში მასწავლებელთა კორპორაციის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, ხალხში


რევოლუციური პროპაგანდის გამო დანაპატიმრები და ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრების უფლები დაკარგული გურული მასწავლებელი მალაძე თავს ხულოს აფარებს. აქ იგი მოდის ბათონიდან მასწავლებლის საგზურით. ხულოელი ხოჯა-მოლები აფრთხილებდნენ მას: გურულების ახალთაობისა და ქართული ენის საჭიროების ქადაგება არ დაიწყეთ აქ, თორემ ავიშლებით და ჩვენში ვერ დარჩებითო.

მასწავლებელი მალაძე არ მოერიდა ხოჯა-მოლების შექარას, ბავშვებს ქართული დაუწყო სწავლება, ოღონდ მას აწუხებდა, რომ სკოლაში მოწვევები თითქმის არ დადიოდნენ.

ხულოს სასწავლებელში პედაგოგ მალაძეს მხოლოდ 7 მოწაფე დახვდა 4 ჯგუფში. მათგან 4 იყო ხულოელი მუსულმანი, 2 ბერძენი და 1 სომეხი. უკანასკნელი სამნი აქაურ ვაჭართა შვილები იყვნენ. მოწაფეთა სიმცირის მოტივით, და შეიძლება თვით დამხვედური მასწავლებლის თრგვნითაც, მეორე მასწავლებლის შტატი გაუქმეს ხულოს სკოლას, — ახალციხელი ბეგი ვაჩნაძე, ქვემო აჭარაში გადაიყვანეს.

მართოდ დარჩენილმა მალაძემ პირველ მიზნად დასახა მოწაფეთა რიცხვის გაზრდა. სასკოლო ჟურნალით სასწავლებელში 20 ბავშვი უნდა ყოფილიყო. უმთავრეს დაბრკოლებას ის ფაქტი ქმნიდა, რომ სკოლიდან გაყვანილი ყმაწვილები ხოჯებთან დადიოდნენ მდრეკეში. მან ნიმართა ხოჯებსა და ადგილობრივ მოწინავე პირებს, რა-

1 იგულისხმება მოვონების ავტორი — ბართლომე მეგრელიძე.



თა სასწავლებლის სიაში აღნიშნული მოწაფეებო სკოლაში დაებრუნებინათ. თხოვნამ არ გაკრა. პირქით, ხოჯა-მოლებმა მოითხოვეს სკოლის დახურვა და სხენებული 7 მოწაფისაც მედრეცემი გადაყვანა! ისინი არწმუნებდნენ ფუხარა ხალხს, მაღლაძეს აქვს დავალებული თქვენი შვილების გაქრისტიანება და გაქართველობა... ისინი ეროვნულ საკითხს სარწმუნოებრივთან აიგივებდნენ, თორემ აქარლები ხომ ქართველები იყვნენ და არიან, მათი გაქართველება რა სათქმელი იყო?!

მაღლაძე უფრო და უფრო დაუახლოვდა მღაბით ხალხს, დაიმსახურა მისი ნდობა და მცხოვრებთ ურჩევდა შვილები სკოლაში მიეყვანათ, მინ და გარეთ ქართულათ ელაპარაკათ, დაეცვათ თავიანთი ქართველობა. იგი დასძენდა: თქვენს სარწმუნოებას მე არ ვეხები, ეს თქვენივე საქმეა, ქართველი მუსულმანები მართო აქარლები არ ხართო. თანაც უხსნიდა მათ: თქვენი შვილებისათვის ახლა მთავარია ქართული ანბანის შესწავლა, ქართული თქვენივე დადენა, და თქვენი შვილებიც ქართულად მეტყველებენ, მასზე სწავლა არ უჭირთ: არაბული ან ოსმალური (თურქული) კი ენაც უნდა ისწავლონ და წერა-კითხვაც, ეს ხომ გაცილებით ძნელიაო!..

მოწაფეთა რიცხვს სკოლაში მაინც არ ემატებოდა! ამის შემდეგ მასწავლებელმა ჯემალ ბეგს მიმართა და მას, როგორც მხარის ნაწილის უფროსს, სთხოვა დახმარება, მაგრამ ამაოდ!..

მასწავლებლის გავლენა სკოლის გარეთ საგრძნობი გახდა. თუ მას მოსვლისას ადგილობრივი მოწინავე მღაბონი და გავლენიანი მოხუციებიც კი იჭიკის თვალით უცქერდნენ, ახლა, სულ რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც კი მასწავლებელს ჟურნალ-გაზეთები მოუფიქრდა, მას ეკითხებოდნენ: სტამბოლის რა წერია ქალაქში (ისინი ასეთი ამბებით განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ მამინ). მასწავლებელი უკითხავდა მათ ასეთ ამბებს და სხვა ამბებს... ხულოლები მაღლაძეს დაუახლოვდნენ, უკვე თავიანთ ჭირ-გარამსაც უმხელდნენ და სტამბოლიდან მიღებული ქართული წერილებიც კი მიჰქონდათ მასთანვე წაკითხვად.

უნდა შევნიშნოთ, რომ წერილთა უმრავლესობა საიდუმლო შინაარსის იყო და ეინიცობა ასეთი წერილი ოსმალებს ჩავარდნოდათ ხელში, რათა იგი მათ ვერ წაეკითხათ, ქართულად იყო დაწერილი.

მასწავლებელი უკითხავდა წერილის მომტანთ, საპასუხოსაც თვითონვე უწერდა და აგრეთვე მსურველს "უდგენდა არზას" (თხოვნისა და საჩივრის ქალაქებს). ამას იგი შეგებოდა, რაღა თქმა უნდა, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. ხოჯა-მოლები კი ასეთ საქმეებშიც "ფუშქეშს" (გასამრჯელოს) იღებდნენ. მათ ამ მხრივაც შე-

მოსავლის მოკლების გამოც გააძლიერეს დასვენები მასწავლებელზე ბევრთან. მდგომარეობა მკაცრითულდა.

ერთმა მოხუცმა ხულოელმა უთხრა მასწავლებელს: ანდაზად გვაქვს აქარლებს: მეფე თუ შერწყრა, ხალხში ვადი, ის შეგინახავსო, მაგრამ თუ ხალხიც შეგწყრება, გადაიარგეო. შენ ხალხთან, ახლა რომ ხარ, ავრე იყავი და ნურავის გეშინიაო.

ხალხთან ურთიერთობის დროს გამოირკვა: რამდენიმე მოხუცმა, ცოტათი მაინც, ქართული წერა-კითხვაც იცოდა. მასწავლებლის შეკითხვაზე, ვინ გასწავლაოთ, პასუხი იყო: 30 წლის წინათ გამოვიგვზავნა ჭაჭეჭაქემ (ილიამ) დაბეჭდილი ანბანი და ვისწავლეო. მართლა კარგი იქნება, ჯანუე, კარგი, რომ ქართული წერა-კითხვა ჩვენს ბავშვებს ასწავლოთ, მუხამედსაც უწერია "ქურანში", ვინც მეტ ენას შეისწავლის, უფრო ადვილად შევა გენთშიო (სამოთხეში).

მაღლაძე კიდევ უფრო მეტი მონღობით შეუდგა მოწაფეთათვის ქართული წერა-კითხვის სწავლებას. მან გადაწყვიტა: ხოჯა-მოლებისა და ბევრსაგან რაგვარი მრისხანებაც არ უნდა დასტეხოდა თავზე, მაინც უკან არ დაეხია. ამიტომ იგი ბათომს გაემგზავრა. იმავე 1908 წლის 16 ოქტომბერს ეწვია სკოლების უფროს ინსპექტორ მაჭავარიანს. მან მას მოასვენა ხულოს სასწავლებლის მდგომარეობა და ქართული წერა-კითხვის სწავლების ნებართვა და სათანადო სახელმძღვანელოები სთხოვა.

ინსპექტორმა უპასუხა: მეც ეს მინდა, მაგრამ ჯემალ ბეგი, ხომ იცით, რამოდენა კაცია, და ამას არ შეურიგდება და საქმე რომ გამწვავდეს, თავისთავზე თუ იღებთ პასუხისმგებლობას და იტყვიეთ, ჩემი შეხედულებით გქვინა ესაო, სახელმძღვანელოებს მოგცემოთ.

მაღლაძემ ამის მტკიცე პირობა მისცა ინსპექტორს. უკანასკნელმა დასძინა: თქვენ გინახავთ აქ პოლიტიკურად დევნილს, ცოლ-შვილიც გყოლიათ, აქაც თუ ხათაბალა აიტყხეთ, თქვენი სხვა ადგილზე მოწყობა აღარ შემოძლია. დირექტორის სემიონოვი ეკეთილი კაცია, მან ბევრი მელაპარაკა თქვენს ბათომის ოლქში მოწყობაზე; აქაც თუ გუბერნატორი ავიტყდათ, ვეღარ დაგოცავთ, მის წინააღმდეგობას ჩვენ ვერ გავებდავთ... მე მინდა თქვენ არ დაიჩაგროთ, და არც მე მისაყვედრონ. ნუ აჩქარდებით, თუ შეატყობთ, რომ ჯემალ ბეგს ქართულის სკოლაში შეგოლება ეწყინა, უთხარიო, რომ მეწყვეტდა-თქვა...

ახლაგზარდა მასწავლებელმა გამოცდილი ინსპექტორის დარიგებისათვის მადლობა გადაუხადა და კვლავ დაიჩემდა, პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს, ხალხი ჩვენს მხარეზეა, ხოჯა-მოლების აღარ მეშინიაო.



მაკვარიანმა ჰკითხა მალლაძეს: რამდენი წიგნი გეყოფათო.

— 50 ცალი, ბატონო!, 40-ზე მეტი მოწაფე არ შეგროვდება ჩემს სკოლაში. მაგრამ 10 წიგნი ოჯახებში დამჭირდება, ხალხს რომ ვაზეთებს ვუკითხავდი, რამდენიმე ახალგაზრდამ მთხოვა: წერა-კითხვა სკოლის გარეთ გვასწავლეო და მეც პირბა მთხოვე.

ინსპექტორს ჩაეცინა და მალლაძეს უთხრა: კარგი, 50 წიგნის ფასი სულ 20 მანეთს შეადგენს (თითო 2 აბაზი ღირდა), ეს არაა დიდი თანხა, მაგრამ მოგცემთ არა პირდაპირი სახით, არამედ თითქმის სკოლის სამკითხველოსათვის, თქვენ კი თქვენებურად გამოიყენეთ!..

ინსპექტორმა მისცა მასწავლებელს 20 მანეთი; მასწავლებელმა ხელწერილი დაუტოვა ინსპექტორს: სკოლის სამკითხველოსათვის წიგნების შესაძენად 20 მანეთი მივიღეო. მან უფროსს ისევ მალლომა გადაუხადა, სთხოვა: სკოლა უახლოეს ხანში დაეთვალიერებინა და გამოეთხოვა. ინსპექტორმა წამსვლელს გამარჯვება უსურვა და გზა დაულოცა.

მიღის მალლაძე ხულოში ეტლით, მიაქვს წიგნები და მიუხარია. წიგნები გამარჯვების ტალკვესადაც მიაჩნია...

ეგერ მათომისაკენ მომავალი ეტლი გამოჩნდა: იგი ჯამოლ ბეგის საკუთარი ეტლია. მალლაძის სიხარულს სიხარული მიემატა: — ბეგი იქნებ არც დაბრუნდეს ამ ზამთარში და მე და წიგნებმა ვიცითო. თავისთვის თქვა: ზემო აჭარაში რომ ბეგი არ იყოს, ხალხი კარგია, მასთან ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლება, ხულოელები, ბოლოს და ბოლოს, წიგნიერებთაც უნდა დაეწიონ მმა ქართველებს!..

მალლაძე ხულოში მოვიდა. სკოლაში დამხედურმა მეუღლემ უსაყვედურა კიდევ: რომ დაიგვიანე. შეგშინდი ამ უცხო ხალხშიო, დარაჯიც კი აღარ გაჰკარებია სკოლის ეზოს, ფუხარა კაცი ვარ, ცოტა ჯამაგირი მაქვს, შეშა თუ არ მოგიშზადი, ცოლ-შვილი ზამთარში სიცვიით დამიწყდებიანო.

მალლაძემ ცოლს უპასუხა: ესენი უცხონი არ არიან, ნამდვილი ქართველები არიან. რა ვუყოთ, რომ ისინი გაამსულმანეს, აქ რა ჰქონდა საშიში, ხულოელები მორიდებული და თავაზიანები არიან, გურიაში უფრო საშიშია მათგან, ზოგიერთი უსაქმო აზნაურიშვილი რომ დახეტიალებსო.

თანაც დასძინა: ქალებში შენ მუშაობის მეტი შესაძლებლობა გაქვს. უკვე აი, 10 წიგნი შენს განკარგულებაში იქნება, ვაკეთებლის შემდეგ ბავშვს დომნა (თან ახლდა ნათესავის ქალიშვილი) მოუვლის, მიდი ოჯახებში, ქალებს კიდევ უფრო დაუახლოვდი, ჩვენბური დიასახლისობა, ხელსაქმე (ჭრა-კერვა) და ანანბი ასწავლე, ხულოელმა

ქალებმა გაიგონ, რომ ისინიც აღამიანები არიან. ბული საქმიანობის გამოსის შესაძლებლობისა, მაგრამ იგი შიშს გამოთქვამდა: ბეგი დაბრუნდება და რომ აგვიხირდეს, სადღა აპირებ, რომ გური-აშიც არ გვეცხვებებაო.

— მაქვს გასამართლებელი საბუთი, — თქვა მალლაძემ. ქართულის სწავლება მეფისნაცვლის მერაა ნებადართული 1881 წლის ცირკულარის მიხედვით. რუსულის გარდა, ყველგან ის ენაც უნდა ისწავლებოდეს, რომელზეც ადგილობრივები დაპირაკობენ. აჭარლები ხომ ქართულად მეტყველებენ, ვათავდა და მორჩა! რუსული თავის ადგილზე, ქართული თავის ადგილზე! ორივეს ვასწავლი.

მალლაძემ სხვა ამბებიც აცნობა ცოლს და იმედი გამოთქვა: ზამთარი ჩვენს ხელშია, სანამ ბეგი დაბრუნდება, მანამ უნდა მოვასწოროთ, რაც შეიძლება მეტი...

ოქტომბრის მიწურულში კიდევ მეტი თოვლი მოვიდა. მალლაძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ბეგი ნამდვილად ვეღარ დაბრუნდებოდა გაზაფხულამდე.

ცოლ-ქმარი თავიანთ საქმეებს უფრო გულდასმითა და მშვიდად შეუდგნენ...

მასწავლებელმა სკოლაში მოსიარულე შვიდ ბავშვს შვიდი წიგნი დაურიგა. სიხარულით ატრიალებდნენ მოსწავლეები ხელში წიგნებს, — მას რაც უფრო მეტად უკვირდებოდნენ, კიდევ და კიდევ უფრო მეტ სიხარულს გამოხატავდნენ, ხან მის წითელ ყდას დასცქეროდნენ, ხან ფურცლავდნენ და შიგ არსებულ სურათებს ათვალიერებდნენ.

სასწავლო დღე მხიარულად დასრულდა. მასწავლებელმა უთხრა მოსწავლეებს: აი ყმაწვილებო: შინ რომ მიხვალთ, ისადილეთ, წიგნი შინაურებს უჩვენეთ, შემდეგ თქვენ ტოლ მეზობელ ბავშვებთან მიდიოთ, მათაც დაათვალიერებინეთ სურათები და უთხარით, რომ ვინც სკოლაში მთავა, მასწავლებელი ყველას წიგნს აჩუქებს და ბევრ სიმღერასაც გვასწავლის-თქვა...

— ძალიან კარგი, ეფენდი! — თქვეს ბავშვებმა და ოჯახებს მიაშურეს.

* * *

მალლაძის ხერხმა გაჭრა. მოწაფეთა რიცხვი სამ დღეში 45-მდე გაიზარდა. მასწავლებლის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მოწაფეობაც დინტერესდა სწავლით და გაკეთილების შემდეგაც დიდხანს რჩებოდნენ, ეხვეწებოდნენ მასწავლებელს: ეფენდი, კიდევ გვაგალობო! მალლაძე უსრულებდა მათ სურვილს. გამოცოცხლდა სკოლა, მას მშობლებიც დაუახლოვდნენ, კეთილებოდნენ



მასწავლებელს: რა გამოვა ჩვენი შვილებისაგან და ჯამაგირი რამდენი ექნებათო...

მედრისეებიდან ბავშვების სკოლაში გადასვლამ ხოჯა-მოლები დააფეთა და გააბოროტა. მათ დაიწყეს ხალხში სისინი. თქვენი შვილების გაქრისტიანება მოჰყვება ყოველივე ამას და ცოდვა თქვენს კისერზე იქნება, ახლავე უშველეთ ბავშვებს, მათ სკოლაში ნუ უშვებთო. მღვთმარობა ცვალე ვართოდო.

რათა ხრიკებს ვერ გაეჭრა, მალლაქემ ახალ ხერხს მიმართა: სკოლაში ოსმალური ენის და მასშადის რჯულის მასწავლებლად ისეთი ხოჯა მიიწვიო, რომელსაც საკმაო ვაგვლენა ჰქონდა ხალხში. მან „ყურანის“ 300 გვერდი ზეპირად იცოდა. ეს ხოჯა მალლაქემ იმ პირობით შეუშვა სკოლაში, რომ მას ხალხი უნდა დაერწმუნებინა: მასწავლებელი მალლაქე ბავშვებს არ აქრისტიანებს, ეს მას არ აინტერესებს, ქრისტიე მას თვითონ არ სწავს, ის მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ბავშვებს წიგნი ასწავლოსო.

დასახლებული ხოჯა გვარად მეხეშიძე იყო; მონღოლებით ასრულებდა დაელებას. მით უფრო, რომ გაფრთხილებული იყო მალლაქისაგან: თუ მოსწავლეთა რიცხვი შემცირდებოდა, ხოჯის შტატი გაუქმდებოდა სკოლაში და ის ჯამაგირს ვეღარ მიიღებდა.

სკოლა გამტკიცდა. აჭარელი მკვირცხლი ბავშვები, უმთავრესად ფუხარა (ღარიბი) ოჯახის შვილები, ძალიან ადვილად ითვისებდნენ მასწავლებლისას.

მასწავლებელმა ინსპექტორს აუწყა ყოველივე და ისიც კმაყოფილი დარჩა.

დიდი თოვლიანობის შემდეგ გზა ბათომიდან ხულოსაკენ მხოლოდ თებერვლის დამლევს გაიხსნა. სოფლის ალებს გაეგოთ, ბეგი მობრძანდებოთ, სასახლის ეზოში შეკრებილიყვნენ ზეიმით.

ჯემალ ბეგი ეტლით მობრძანდა. ალებმა მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს და ალაპს შეხედეს. ბეგმა სოფლის ამბავი იკითხა, ხომ მშვიდობააო.

ალებმა უპასუხეს: ყოველთა მშვიდობა სუფევს, ფაშავ, მხოლოდ თქვენი ნახვა მოენატრა ხალხსაო. მამას მონატრებული უმცროსი შვილი რიზა მშობელს ყელზე ეხვოდა და ეუხნებოდა: „სკოლაში დავედივარ, რუსულს ვცითხულობ და ვწერ, გურჯი „უჩიტელი“ ქართულსაც მასწავლის“...

ბავშვი გაიტყა და მამა-ბეგს წითელ ყდიანი წიგნი მოუცუნცულა. ჯემალმა წიგნი გადაშალა და შვილს ჰკითხა: მართო შენ გასწავლის ამას, თუ სხვებსაიყო?!

— ყველა, ყველა, პაპა, ბითუმ სწავლობენ. რუსული უჭირთ და თათრული არ ესმით, თორემ ქართულს ყველა ადვილად სწავლობსო, — იყო პასუხი.

— ფაშავ! აქამდე რომ არ იყო ქართული სწავლაში, ახლა ვინ გააჩინა, — შეეკითხა ერთმანეთს ალა ბეგს.

ბეგს უპასუხებია: „დამაცათ, მაგ ვილაც მალლაქე მობრძანებულა, დაბლაქედ ვაქცევ, მაგი გურიიდან გადმოსახლებული ყოფილა. 1905 წელს რომ გურიიდან გამოქცეული ესიკა ნაკაშიძე იმალეობდა ჩემსას, იმან მითხრა: შენთან რომ „უჩიტელი“ მოვიდა, არასაიმედო კაცია, გურიის „ბუნტოვჩიკების“ თავია და ახლა აჭარას არევისო. ესიკა ტყუილს არ იკადრებდა. მართლაც რომ ეს ასე არ იყო, მალლაქე რად იწუხებს თავს ქართულის სწავლებაზეო! იცის, ჩვენები ქართულს მალე ისწავლიან და ჩართა აქაურობას გაავსებენ პაროკლამაციებით ბათომიდან. ხალხს დაგვიღუპავენ, ხალხს და არც ჩვენ დაგვაღვება კარგი დღე იყო, როგორც გურიის თავადანაურობას არ დაადგა. მაგ „უჩიტელს“ და მის გამომგზავნ ბერწვერა ინსპექტორს მე ვუჩვენებ ფეთებას, ყოველივეს გუბერნატორს მოვახსენებ და ის, როგორც მე ვისურვებ, ისე მოიქცევა“...

— მასე, ფაშავ, მასე, მაგი „უჩიტელი“ რომ კაი კაცი არაა, იქიდანაც ჩანს, რომ სულ ფუხარებში აქვს საქმე, ჩვენ გვერდს გვივლის... ბაი-რამაზე რომ თქვენთან ძღვენით მოვდიოდით, დაცინვით ვვითხრა: ბაირამისათვის რად ისარჯებიოთ, რის ბეგია, რა ბეგია, რაღა დროს ფეშქეშია, გურიიში ბატონები მოსაქვსო; ასე იყო ჩვენში ნახევარი საუკუნის წინათ, მაგრამ ახლა აღარააო. მართალია ესიკა ნაკაშიძე, ეგ „უჩიტელი“ მართლა „ბუნტოვჩიკია“...

მეორე დღესვე, 10 საათი იქნებოდა, ჯემალ ბეგი სასახლიდან გამობრძანდა და სამმართველოსაკენ გასწია. ოღრო-ოღროს გზა სკოლის გვერდით გადიოდა. ბეგს თან ახლდა ჭრელ-ჭურელი, ყელზე მოვლავარე ნიკელშებმული, თითო ხზოს ოდენა სამი ძალი. ბეგს ჩემებზე დეზები ეკრა და ხელში მთარხი ეჭირა, პაპიროსსაც მოაბოლებდა. მოუახლოვდა სკოლას თუ არა, აივანზე გადამდგარ დარაჯს დაუძახა ბეგმა: „უჩიტელი“ სად არისო.

— ბავშვებს ალოცებს (ამცადინებს, მ.), ფაშავ! — იყო პასუხი.

ბეგი სკოლის ეზოში შემოვიდა, დარაჯი მასწავლებელთან მივარდა: არქა, ფაშა მობრძანდებოთ. ბავშვები ზეზე წამოდნენ, ფაშა, ფაშაო, — შიშით ჩურჩულდებდნენ...

ბეგმა კარები შეაღო და ძაღლებითვე შევიდა კლასში. მასწავლებელი ბეგს მიეხალმა, სკამზე მიაწოდა, მაგრამ იმან დაჯდომა არ ისურვა.

— ბეგრი ბაღვი მოსულა, ამდენი არას დროს არ ყოფილა აქ! — თქვა ბეგმა. შემდეგ რუსულად დასძინა: მე ვეხვეწებოდი ამათ ესწავლაო; არ გვინდო, იმანდნენ. ახლა კი როგორ მოხდა ეს, რომ თვითონ მოსულან?!



ბეგმა დავას შეხედა და მოწაფის რვეულსაც გადაკრა თვალი. ორივეგან ქართულად ეწერა: „აჭარა ჩემი სამშობლო მხარეა“.

ბეგი მასწავლებელს რუსულად შეეკითხა. — იქ რა და რომელ ენაზე წერია?!

მალლაძე მიხედა, რად ეკითხებოდა ამას და უბასუხა: თქვენ კარგად იცით ქართული კითხვა და რად მეკითხებითო.

— არა, არა, — თქვა რუსულადვე, — რად მჭირდება ქართულის ცოდნა, არც მისწავლია და არც საჭიროა. ესენი თურქებია, ვინ ვითხრათ, ქართული ასწავლეთო!

— აჭარლები ქართველებია, ბეგო, — უბასუხა მასწავლებელმა, — ეს თქვენც იცით და დედაენას ეასწავლი, ამის ნება როგორც არის.

— თუ ასეთი ნება როგორც არის, სხვები რად არ ასწავლიდნენ? — თქვა ბეგმა.

— აქი ასწავლიდა მგელაძე და მოწაფეებიც ჰყავდა, შემდეგ სხვა ადარ ასწავლიდა და სკოლაც დატალიერდა, — თქვა მალლაძემ, — და მოაგონა ბეგს მეფისნაცვლის მიერ 1881 წელს ხელმოწერილი ინსტრუქცია, რომლითაც რუსულს გარდა, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს ბავშვთა მშობლიური ენაც.

ბეგი გაჯავრდა: — სახელმწიფო ენა რუსუ-

ლია, აქაური კი — თურქული, თქვენც ესენი უნდა ასწავლით, რად უნდა მოწაფეობას ქართული!

იგი მოდუმული წავიდა მისივე ძალღებითურთ. მისგან დაშინებული დარაჯი და ბავშვები ქორი-სავან დაძვრთხალ წიწილებს ჰგვანდნენ.

მასწავლებელმა მოწაფეები დაამშვიდა და გავეთილი განაგრძო.

ბეგი სამმართველოში ავიდა და მდივანს დასმენა დააწერინა, რომელიც მაშინვე გუბერნატორს გაუგზავნა.

გუბერნატორმა ინსპექტორი მაჭავარიანი დაიბარა. უკანასკნელი ბევრჯერ მიღებული ჩინ-მედლებით წარუდგა წინ. მიუხედავად მოხუცებულობისა და მრავალი ჯილდოსი, გუბერნატორი უყვიროდა მას: აჭარლებს ქართული რად უნდათ, თურქები არიან, ვინ გავიგზავნიათ იქ მასწავლებლად, ახლავდე მოხსენიო!

დაიწყეს სკოლის შემოწმება, რვეიზამ რვეიზია შეკვალა. დადგინდა, რომ ბავშვებმა ქართული იცოდნენ, თურქული კი არა, მაგრამ მაინც ასე აღნიშნეს: „აქ სახელმწიფო ენა რუსულია და ადგილობრივი კი თურქული“. ეს ენები უნდა ისწავლებოდეს და არა ქართული.

მასწავლებელი მალლაძე 1910 წლის იანვარში ხულოს მოაშორეს.

შენიშვნების მაგიერ

ბართლომე გრიგოლის-ძე მეგრელიძე (1883-1943 წ.) იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩოხბატურის განყოფილების გამგეობის წევრი და ხიდისთავის განყოფილების თავმჯდომარე, ჩოხბატურში ჯერ კიდევ 1909 წელს ეგნატე ნინოშვილის სახელობისა და ხიდისთავში 1917 წელს ჭოლა ლომთათიძის სახელობის სამკითხველოების დამაარსებელთაგანი.

შემდეგში ცნობილმა პოეტმა ნოე ზომლეთელმა, ბ. მეგრელიძემ და ზოგიერთმა სხვამ 1906 წელს შექმნეს გურიის მასწავლებელთა კოორპაცია!

1902-1907 წლებში ბ. მეგრელიძე მონაწილეობს დებატებში და, მასწავლებელ მოსე ნინიძესთან ერთად, 1905 წელს ხელმძღვანელობს გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს სათანადო უზნების მასწავლებელთა იმ გაფიცვას, რომელიც რეაქციის წინააღმდეგ იყო მიმართული და 11 თვეს გაგრძელდა.

1907 წელს ჩოხბატურში მოწყობილი დიდი პოლიტიკური მიტინგის გამო ბ. მეგრელიძე მეორედ დააპატიმრეს. ციშირში გადასახლებას გადაურჩა, მაგრამ ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრება

აუკრძალეს. იგი მოეწყო მაშინდელი ბათუმის ოლქის ხულოს სკოლის გამგედ, სადაც მას ახლდა მეუღლე — ელიზბარ ქაიხვილის ასული მარიამ (მარო), რომელიც ხულოელ ქალთა შორის ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. მოსახლეობაში მოწინავე იდეების დანერგვის ცდისა და მოწაფეთათვის ქართული ენის სწავლების გამო ბ. მეგრელიძე მოხსნეს სამსახურიდან 1910 წელს! და ბათუმის ოლქი დაატოვებინეს.

შემდეგ იგი მასხურობდა ხიდისთავისა და ჩოხბატურის (1911-1914 წ.), თბილისის (1915-1917 წ.), ართვინის (1917-1918 წ.), ქ. ფოთის (1922-1926 წ.), საინგილოს (1927-1929 წ.), ქედის და ხულოს (1930-1936 წ.) და თბილისი-

1 იხ. აგრეთვე ჯ. ნოღაიძე ლ. აჭარის სალხური სიტყვიერება, წიგნი მე-2, ბათუმი, 1940 წ., გვ. 12-13; ამისვე შესახებ ს. ბოლქვაძის შენიშვნა. ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1959 წ. № 2, გვ. 89, ოღონდ აქ ბ. მეგრელიძის მაგიერ შ. მეგრელიძე დაიბეჭდა. პირველსავე შესახებ იხ. თ. ქედელი. 1905 წელი გურიაში, I გამოცემა, გვ. 35 ან გ. გოთრგაძე. საზოგადოებრივი ერთიერთობა საქართველოში (1864-1905), თბილისი, 1928 წ., გვ. 55.

1 იხ. ი. რ. მალაზონია, სერგო ბოლქვაძე, ბათუმი, 1957 წ., გვ. 15.

სა და მისი მახლობელი სკოლების (1937-1942 წ.) მასწავლებლად და ზოგან დირექტორადაც.

საინჟინლოში ბ. მეგრელიძე იყო ეროვნული სკოლების (ქართულის, რუსულის, სომხურისა და ბერძნულის) ინსპექტორი, რომელთა რიგი მანვე დააარსა, რამდენიმე ინგილო ბავშვი ჩაიყვანა თბილისში და მოაწყო ინტერნატებსა და სხვა სასწავლებელში, საინჟინლოში ჩაიტანა ჩაის, მუხუდოს, ცოცხისა და ბოსტნეულის რიგი ისეთი თესვები, რომლებსაც მანამდე არ თესდნენ იქ და ამის შემდეგ კი გავრცელდა.

ბ. მეგრელიძე სხვადასხვა დროს ფსევდონიმით და სახელის და გვარის მოწერიტავ თანამშრომ-

ლობდა ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში ზემოწარმოდგენილ წერილში მოქმედი მასწავლებელი მაღლაძე თვითონ ბ. მეგრელიძის ხელნაწერებში მისივე მოგონებების ორი ვრცელი რედაქცია, რომელთაგან ჩვენ ამჟერად ამოგვირფეთ აჭარის შესახებ დაწერილი უფრო საინტერესო ადგილები და სათანადო რედაქციით შემოთ წარმოვადგინეთ.

ბ. მეგრელიძე.

1 ხელმოწერით, მაგალითად, იხ. ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“, 1928 წ., № 2, 15, 11, 19 და სხვ.



ხელოვნება

აქემო სანაღიბაძე

პოლივუდი და მისი მკვიდრი

ნახევარი საუკუნის წინათ ქალაქ ლოს-ანჯელოსის გარეუბანში სესილ დემილმა ააგო ფარდული, სადაც დადგა პრიმიტიული კინოაპარატი და ამით ჩაეყარა საფუძველი ახლანდელ პოლივუდს, იმ პოლივუდს, რომელიც 300-500 ფილმს უშვებს ყოველწლიურად.

პოლივუდი ამჟამად საკმაოდ მოზრდილი ქალაქია იქ თავმოყრილია ამერიკის შეერთებული შტატების კინომრეწველობის ათობით კომპანია, სტუდია... მათგან უდიდესია კინოკომპანიები „მეტრო-გოლდვინ-მეიერი“, „პარამაუნტი“, „XX საუკუნე-ფოქსი“, „იუნაივერსალი“, „იუნაიტედარტისტი“, „მმები უორნერები“, „რადიოკიტორფუმი“ და „კოლუმბია-პიჩერსი“. ეს .ე. წ. „დიდი რვა“ უშვებს მთელი ფილმების 60-70 პროცენტს. მათ აფინანსებენ ამერიკელი მილიარდერები — როკფელერი, მორგანი, ლიუპონი და სხვ. გარდა კინოკომპანიებისა, პოლივუდში არსებობს ე. წ. „დამოუკიდებელ პროდიუსერთა“ ჯგუფი, რომელშიც შედიან სემიუელ გოლდვინი, დავიდ სელენზიკი, ფრანკ კაპრა და სხვ.

პოლივუდი შეერთებული შტატების მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი განშტოებაა. მისი კაპიტალდამანდება წელიწადში სამ მილიარდ დოლარს შეადგენს. ისე როგორც მრეწველობის სხვა დარგებში, აქაც საშინელი ქიშპობაა კომპანიებს შორის. აუარებელ დამაბრმავებელ რეკლამებზე ხშირია ასეთი ფრაზა: „თუ სურათი „პარამაუნტი-საა“, მაშასადამე, ეს საუკეთესო სანახაობაა ქალაქში“, ხოლო ამ კინოკომპანიის საშიში მტეტოქის „მეტრო-გოლდვინ-მეიერის“ დევიზია — „მეტი ვარსკვლავი, ვიდრე ცაზეა“.

ისევე როგორც პოლივუდის გარშემო არის მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის ბეიზაქები, მის ქუჩებშიც არეულია ყველა ეროვნების ხალხი, ყველა პროფესიისა და სოციალური წარმომობის ადამიანები, რომლებიც ბრბოებად შემორტყმიან კინოატელიეებს ბედნიერი შემთხვევის მოლოდინში. დროდადრო ამ გრძელ ბრბოში რომელიმე რეჟისორი იბოვნის მისთვის საჭირო ტიპს, ხოლო ასობით მისი თანამომქმენი მოთმინებით უცდიან თავიანთ რიგს. მაგრამ მსვავსი „აღმოჩენები“ არც ისე ხშირია. პოლივუდშიც ერთ მდიდარზე მოდის ათასობით ლატაკი და ერთ „ვარსკვლავზე“ ასობით „ციცინათელა“, რომლებიც უმოწყალოდ ისრისებიან უმუშევრობის მიძიმე ქუსლის ქვეშ. პოლივუდელი კინომუშაკები ისწრაფიან მხოლოდ გამდიდრებისაკენ და ნაკლებად დაგიდევინ ხელოვნების პრინციპებს. დევიზს — „თვით აშენე საკუთარი ბედნიერება“ ისინი მსხვერპლად სწირავენ ყველაფერს: იღვას, რწმენას, პატიოსნებას...

ასეთია ამერიკული კინემატოგრაფიის ცენტრი პოლივუდი, ის პოლივუდი, სადაც ხშირად ცხოვლები აღამიანებზე მეტს ფასობენ, სადაც „ეკრანის მეფეები“ ათანანირი ტრიუკებით სიცოცხლეს სწირავენ სახელისა და დოლარებისათვის, ხოლო ეკრანის „პაიკები“ ლუკმაპურისათვის. ასეთია ქემშარტი სახე პოლივუდისა, სახე ბურჟუაზიული კულტურის ერთგული მსახურისა.

ახლა, რას წარმოადგენენ ამერიკული კინოხელოვნების მუშაკები და, მაშასადამე, პოლივუდის



მკვიდრნი, ვინაიდან ამერიკული კინოხელოვნება და პოლიეფული ერთი და იგივეა.

როცა ეკრანზე ხედავთ პოლიეფულ მსახიობებს, პირველ რიგში თვალში გეცემათ მათი საოცარი ერთფეროვნება — სახეების მსგავსება და ქუსტ-მიმიკიკის დამთხვევა. მიზეზი ისაა, რომ ამერიკულმა კინოსტატისტიკამ მსახიობები დაყო მკაცრად შემოზღუდულ კატეგორიებად. ერთი და იგივე მსახიობი ასრულებს თითქმის მუდამ ერთი და იგივე სახიათის როლს. ამიტომაც, რომ ეს „სათაყვანებელი“ „კინოვარსკვლავები“ მზირად ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ამერიკული მაყურებელი აღმერთებს „ვარსკვლავებს“, იქ მათი ნამდვილი კულტია. თითოეულ „ვარსკვლავს“ ჰყავს თავის-ნისმცემელთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც ისევე მტრობენ მკორე „ვარსკვლავის“ თაყვანისმცემლებს, როგორც თვით „ვარსკვლავები“ ერთმანეთს. პოლიეფული „კინოვარსკვლავების“ ქიშპობა კი მართლაც საარაკაა. მათ დაქირავებული ჰყავთ საკუთარი ჟურნალისტები, რომლებიც თავიანთ პატრონს ქება-დიდებას ასხამენ, მის მოწინააღმდეგეებს კი უტიფრად თახხავენ.

არ გეგონოთ, რომ პოლიეფული „ვარსკვლავები“ რაღაც განსაკუთრებული ზენიტიკრები გამოირჩევიან. სრულიადაც არა! პოლიეფული „ვარსკვლავებად“ ხშირად ხვებიან არა აქტიორული ტალანტის გამო, არამედ ლამაზი თვალებისა და სახის „ორიგინალური“ ნაკეთების წყალობით. ბევრი ნამდივლად ნიჭიერი, რეალისტი მსახიობი არასოდეს ყოფილა „ვარსკვლავთა“ სიაში. ერთ ფილმს ორი ან სამი „ვარსკვლავი“ იშვიათად გაეზოდის, ხოლო „დიდი ვარსკვლავები“ მუდამ მარტონი გამოდიან, რათა არ დაიჩრდილოს სახელგანთქმული „ეკრანის მეფე“. — რა საჭიროა ორი ან სამი ერთად, როცა საკმარისია ერთი „ვარსკვლავითაც“ მიიზიდო მაყურებელი და საოცნებო დოლარები მიიხვეჭა?! — ასე ფატრობენ კინომრწეველები. დაბალი რანგის პოლიეფული კინომსახიობები ხშირად აშკარა საფრთხეში იგდებენ თავს დოლარისათვის. რამდენადაც შემძარწუნებელია ტრიუკი, იმდენად უფრო მოსწონს იგი მაყურებელს და იმდენად მეტი შემოსავალი აქვს კინომრწეველს. ამიტომ პოლიეფული მსახიობის ესა თუ ის მოქმედება დოლარებითაა განსაზღვრული: მოხერხებული ნახტომისათვის — ერთი დოლარი, კედელზე აცოცებისათვის — ორი დოლარი, ძლიერი დარტყმისათვის — სამი (ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, დარტყმის ობიექტს)... არც ისე იშვიათია ნამდივი ქროლოგისათვის ფულის გადახდაც. როგორც ვთქვით, ეს დაბალ-ხარისხიანი მსახიობები, თორემ „დიდი ვარსკვლავები“ იშვიათად გასწირავენ თავს. თვით სახელგანთქმულმა დუგლას ფერბენქსმაც კი, რომელიც ყოველგვარი ტრიუკების დიდოსტატი იყო,

გამდიდრების შემდეგ დაიჭირა ვინმე ტრიუკურ რომელიც მას ჰგავდა, და სახიფათო ტრიუკის აკეთებინებდა.

პოლიეფული ჩვეულებრივი ამბავია აგრეთვე რომელიმე თავგანწირული ადამიანის დაქირავება სასიკვდილო ემიზონების გადაღების დროს. ამავე მიზნით ხშირად იყენებენ პატიმრებს, კატორღელებს, სიკვდილმისჯილებს... როგორც საერთოდ ყველაფერში, კინოშიც არაფერს ერიდებიან სენსაციისათვის. იყო შემთხვევა, როცა აფრიკაში კინოქსებელიცინს დროს ამერიკელთა მიერ დაქირავებულ ტერორიზმად ზანცს ევეფი დაესხა თავს. ამერიკელებმა იარაღის ნაცვლად კინოპარატები მოიპარვეს და დეტალურად გადაიღეს მსცენის მიერ ადამიანის შექმნის გულისამრევი კადრი. ამ „ფილმით“ შემდეგ ცოტა ფული როდი გააკეთეს. კრთი ავტორის მოხდენილი დასასიათებით, პოლიეფული კინორეჟისორი არის „ადამიანი კამეჩის გამძლეობით და მანქანის სიდიხით“, რასაც ბეერის მიმართ შეიძლება დაემატოს „და გაყიდული სინდისით“. მართლაც არაადამიანურ დატვირთვას იტანენ პოლიეფული რეჟისორები. მათ ყველაფერი უნდა იცოდნენ, ყველაფერი უნდა მიუთითონ ფილმის მონაწილეებს. ხანდახან ერთსა და იმავე კადრის 30-40-ჯერ იღებენ, ვინაიდან მსოფლიოში ცნობილმა „ვარსკვლავმა“ ხშირად არ იცის, თუ როგორ უნდა გაიაროს. კინოსტელიეში რეჟისორი მზრძანებელია, ყველა და ყველაფერი უსიტყველად ემორჩილება, მაგრამ მას ჰყავს ერთი უდიდესი მზრძანებელი, რომელთანაც იგი უძღვრია. ეს გახლავთ კინომრწეველი, რომლის სურვილისა და შეხედულების თანხმად უნდა შეიცვალოს ბეერი რამ უკვე დამთავრებულ ფილმში. „ეს შეამოკლეთ... ეს ტიპი ამოაგდეთ... ეს გადააკეთეთ...“ — ბრძანებს კინომრწეველი, რომელსაც ბეერი არაფერი გაეგება ხელოვნებისა, და კინორეჟისორიც შეუკამათებლად ასრულებს მისთვის ხშირად არასასიამოვნო დავალებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაკარგავს ადგილს და, რასაკვირველია, ლუკმაშურსაც. ამიტომ თითოეული პოლიეფული კინორეჟისორის ოცნება თვითონ გახდეს კინოფილმის პატრონი. მოაგროვებს რა საკამო თანხას, იგი აწყობს საკუთარ კინოწარმოებას და უკვე თვითონ იგივე მოთხოვნებს უყენებს თავის ხელქვეითებს და საკუთარ თავსაც. ასაკ, სიმდიდრე თავისას აკეთებს. ჩვენში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, კინორამატიურკი პირველ რიგში არის მწერალი — ადამიანის სულის ინიქინერი და მის მიერ შემოქმედებით აღფრთოვანებით შექმნილი სცენარი წარმოადგენს დასრულებულ ლიტერატურულ ნაწარმოებს როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისითაც. პოლიეფული კი კინორამატიურკი-შემოქმედი არ ასრულებს, მას

არავითარი უფლება არა აქვს ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოქმედებითი სახე. იგი უზრალოდ მსახურია, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს ყოველგვარ დავლებას. „ის კი არ არის კარგი სცენარისტი, რომელსაც შეუძლია კარგი სცენარის დაწერა, არამედ ის, ვისაც შეუძლია ცუდის გაყიდვა“ — ასეთია ჰოლივუდის აზრი კინემატოგრაფიის ამ ერთ-ერთ თვალსაჩინო მუშაკზე.

როგორც აღვნიშნეთ, ჰოლივუდელი კინომრეწველები არაფერს ერიდებიან მოგებისათვის და ხშირად აშკარა საფრთხეში აგდებენ მსახიობებს, მაგრამ არანაყოფიერ საშინაო კინოოპერატორების მუშაობაც არც თუ ისე იშვიათია უბედური შემთხვევები სხვადასხვა ტრიუკების გადაღების დროს. ზოგჯერ ილუზებთან კიდევც, ხოლო ზოგჯერ სამუდამოდ სასიჩრდებთან. ბევრს წყალობენ კინოოპერატორები მსახიობთა სწორი განათებისა და მათი სახის თანდაყოლილი ნაკლის ან ნაადრევ ნაოჭების დაფარვისათვის. სწორედ კინოოპერატორების წყალობით შექმლო 35 წლის ცნობილ „კინოვარსკვლავს“ მერი პიჯფორდს 12 წლის გოგონას როლი შეესრულებინა.

ჰოლივუდის მხატვრებს შორის ყველაზე სახელგანთქმული და დაფასებული არიან ისინი, რომლებიც ტანსაცმლის ესუიზებს უმზადებენ და გრემს უკეთებენ „ვარსკვლავებს“. უკვე ვილაპარაკეთ მაყურებელთა ბრმა თაყვანისცემაზე „ვარსკვლავებისადმი“ და, ცხადია, ისინი უდიდეს ყურადღებას აქცევენ თავიანთი საყვარელი მსახიობის გარდერობსა და ტუალეტს. ამის გამო ხშირია მაყურებელთა აღშფოთებული წერილები ამა თუ იმ „ვარსკვლავის“ მკერავის ან გრემიორის (ე. ი. მხატვრის) მისამართით.

ასევე ვიწრო, პირადულ ინტერესს ემსახურება ჰოლივუდში მუსიკაც. თითოეულ „ვარსკვლავს“ ჰყავს საკუთარი ტრიო, რომელთაც იციან მისი გამომგება და დაზუბირებული აქვთ რომელი მუსიკალური ნომერი უნდა დაუტარან სხვადასხვა განწყობილების დროს. მაგალითად, ერთი მელოდია ემსახურება „ვარსკვლავის“ ტირილს, მეორე — სიბილს, მესამე — მრისხანებას და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ჰოლივუდის კინომუშაკები — მსახიობები, რეჟისორები, დრამატურგები და სხვ. არიან კინომრეწველთა უსიტყვო თოჯინები, რომლებიც „ყვითელი ემპაქისათვის“ ყოველნაირ დაკვეთას ასრულებენ და ამით, ნებით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობენ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების ვერავალ ზრახვებს, რაც გამოიხატება მაყურებელთა გამხრწნელი ფილმების შექმნაში.

აღამიანებთან ერთად ამერიკული კინოხელოვნების ერთ-ერთ აუცილებელ ნაწილს წარმოადგენენ ცხოველები, რომლებიც უწყინრად დასეირნობენ ჰოლივუდის ქუჩებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ისინი კინოატელიეების სრულუფლებიანი მსახიობები არიან. მართლაც რამდენი სენსაციური ფილმი მოითხოვს მხეცთან შემხამს! მათგან ყველაზე პოპულარული მიანც ძაღლია. ჰოლივუდის სახელგანთქმული მგელ-ძაღლიც რინ-ტინ-ტინი და ტელი ხუმრობით როლს შეიყვანეს „ვარსკვლავთა“ სიაში. მათთვის იწერებოდა საგანგებო სცენარები, ფილმებში მთავარ როლებს სწორედ ისინი ასრულებდნენ, ადამიანები კი მხოლოდ დამხმარე პერსონალს წარმოადგენდნენ. ცნობილი იყო ავრეთვე ხუთი ათას დოლარად შეფასებული კატა პებერა. არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა მიმუთნთა სამეული — მორიცი, ბენი და მაქსი. ასევე დიდი დაფასება აქვს ჰოლივუდში ცხენებსა და სპილოებს. იქ არსებობს სპეციალური ფირმები, რომლებიც აქირავებენ ვაჭართილ ლომებსა და ვეფხებს. თითოეული ეს მხეცი „დაღატაკებულია“ ერთ რიზმულიმე „პროფესიასში“ — ზოგი ღრიალში, ზოგი ხტომაში, ზოგი მსხვერპლის გახლეჩაში და ა. შ.

აი რას წარმოადგენს ამერიკული კინოხელოვნების ცენტრი ჰოლივუდი. ჩვენ აქ აღარ ვეხებით ჰოლივუდის პროგრესულ ფრთას, რომელიც ცალკე წერილის თემაა. სწორედ ამ მოწინავე, დემოკრატიული კინომუშაკებისა და მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანების აზრი ჰოლივუდსა და მის მკვიდრებზე შესანიშნავად გამოთქვა თვით ჰოლივუდელმა დიდმა რეალისტმა და დემოკრატმა ჩარლი ჩაპლინმა:

— მე ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტე ომი გამომუცხადო ჰოლივუდს და მის მკვიდრებს. მე წუწუნარ არ მიყვარს, რადგან უსარგებლო მეგონია, მაგრამ ვინაიდან აღარ შეიძლება არავითარი ნდობა საერთოდ ამერიკული კინოსა და კერძოდ ჰოლივუდისადმი, საჭიროდ მიმაჩნია განაცხადო ამის შესახებ... აი, რა მიინდა ვთქვა — მე, ჩარლი ჩაპლინი, ვამტიციებ, რომ ჰოლივუდი ილუპება. იგი უკვე აღარ მისდევს სახელოვანი ხელოვნების გამომსახველი ფილმების წარმოებას, არამედ უშვებს მხოლოდ ცელულოიდის ხეყულებს. ამას შემიძლია დაგუმატო, რომ ადამიანს, რომელიც ანგარიშს არ გაუწევს კინემატოგრაფიის მსხვილი საქმისნების გაფრთხილებას, არ სურს შეგუებოდ და მიდის თავისი გზით, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია წარმატებას მიაღწიოს ჰოლივუდში... მე სრულიად ობიექტურად მიმაჩნია, რომ მოვიდა დრო, დავადგეთ ახალ გზას, რათა ფული აღარ იყოს გახრწნელი საზოგადოების ყოფილსმემძლე ღმერთი.

ამერიკის პროგრესული კინოხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლის ამ სიტყვებს, როგორც იტყვიან, კომენტარები არ სჭირდება.

უკანასკნელ წლებში ჰოლივუდი განიცდის დაქ-

ვეითებას: შემცირდა მაყურებელთა რიცხვი როგორც თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე საზღვარგარეთ; მკვეთრად დაკცა გამოშვებული ფილმების რაოდენობა და ხარისხი; გახშირდა უმუშევრობა კინომუშაკთა შორის; ბევრმა ცნობილმა კინომსახიობმა დატოვა ჰოლივუდი და თავი შეაფარა სცენას, რადიოს, ტელევიზიას, ბევრი კი სხვა ქვეყნებში გაემგზავრა.

ჰოლივუდისა და მის მკვიდრთა მაგალითზე კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს საბჭოთა კინოხელოვნებისა და კინომუშაკთა უდიდესი უპირატესობა, ჩანს თუ რა უფსკრულია კაპიტალისტური სამყაროსა და საბჭოთა კავშირის ხელოვანთა შორის. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული ხელოვნება აქვს ჩვენს დიად ქვეყანას — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას, რაც ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჰოლივუდში ყოფნისას ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს

წლის სექტემბერში. როცა აქ ნიკიტა ხრუშჩოვის სტალინის ნახა ცეკვა „კან-კანი“ ნატურალური სახით, მას შეეკითხნენ: „როგორ მოგეწონათ ამერიკელი ვარსკვლავები და მათი ცეკვა?“ — „რაც შეეხება ვარსკვლავებს, ჩემთვის ძნელი მსჯელობა, ვინაიდან მე არც ისე კარგად ვიცი ასტრონომია, — უბასუხა ნიკიტა სერგისძემ. — საბჭოთა ადამიანებს ურჩევნიათ უყურონ მსახიობთა სახეებს და არა“... ნიკიტა სერგისძემ იქვე აღნიშნა, ჩვენ და თქვენ სხვადასხვა გემოვნება გვაქვსო, ჩვენი ფილმები პრემიებს იღებენ საერთაშორისო კინოფესტივალზე. ჩვენი ხელოვნების მუშაკები იღებენ არა მარტო დამსახურებულ მატერიალურ ანაზღაურებას. გარდა ამისა მათგან უკეთესებს ვაჯილდოებთ ორდენებით, ვანიჭებთ ლენინურ პრემიებს“.



ადეხანდრე სამსონია

ჩემი შვილები

მამა ვარ და შვილები მყავს, ორი ბიჭი. უფროსს ჰქვია...

მაგრამ ძაან ერთბაშად დავიწყე. ხომ გახსოვთ, ჭკვიანმა კაცმა რა თქვა, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხანეთ. ჰოდა, სანამ შვილებზე დავიწყებდე ლაპარაკს, ჩემზე და ჩემს ცოლზე გეტყვი ორ სიტყვას.

მე თავს ვიტყუებ, თორემ გვიარიანი მოხუცებული ვარ. კბილებმა ისე მიღალატა, ნიგოზს ჩაქურჩით ვამტვრევ. ექიმთან მივედი, კაცი ხარ ქვეყანაზე და მიმეღე-მეთქი. მსინჯა და მსინჯა, საკუთარ თვალებს არ ენდო და სარკეებით მიყურა, მერე მასწავლა, ძაან ცბელი ან ძაან ცივი არ ჭამო, გაისად მოდი და, პლომბი თუ დავჭირდა, გაგაკეთებო. მე ვუთხარი, მაგი რაღაც პლომბია, ახალგაზრდების მეტი ჩვენს დროში არავინ იკეთებს და ჩემისთანა ბერიკაცს არ გამოადგება-მეთქი. მან მითხრა, საერთოდ მადლობელი უნდა იყო ასეთი კბილები რომ შეგჩნათ. მეც მადლობა გადავუხაადე და წამოვედი.

ყურს დამაკლდა-მეთქი რომ ვთქვა, ღმერთს შევცვოდავ. რაც გასაგონებელია, იმას კი ვყურობ, მარა ჩემი ცოლი მინც მესაყვედურება, კაცმა თუ რამე ვითხრა, ცალ ყურში შეუშვებ და მეორეში გამოუშვებო.

მხედველობას ჯერ-ჯერობით ვერ დავემდურებ. ახალ გავეთს უსათვლოდ ვკითხულობ. გაღმა ჭალაში რომ ძროხა შეიპარება ყანაში, მკველე ჩემთან მორბის, თუ კაცი ხარ მითხარი, ვისი საქონელიაო. მეც გავხედავ და ვუბნებ:

— ნიკორი აქვს შუბლზე, მგონი ისიდორეს უნდა იყოს.

— ნიკორიანი რევაზის ძროხაც კია, შენ კარგად შეხედე, მარჯვენა რქა თუ აქვს წატეხილი.

— მაგდენი რავა შემიძლია, შე კაცო, თვალები მაქვს, ღურბინდი ხომ არა.

— ახა ის მაინც ნახე, კულდეთრა თუა.

— კული კი აქვს თეთრი.

— ჰოდა, რევაზის ყოფილა, ღდინს ავაცლი ახლა!

ერთი სიტყვით, სასიძოდ არ გამოვდგები, მარა არც ისე ჩამოსაწერი ვარ, მტერი რომ გავახარო, დღეს თუ ხვალ მოკვდება და ქელებს ვეპქმევსო. არა, ბაბა, არ ვაპირებ ჯერ სიკვდილს. რა ვუყოთ მერე, ხანდახან რომ შემომადრინდება ეს დაწყევლილი სიბერე და წერილის წაღებას შემახსენებს. მაშინ ცოლს ვუძახი და თავს ვაცოდებ:

— გიკვდება, ანეტა, შენი საფიცებელი, შენი მზე და მთვარე, მომხმარე რამე-მეთქი.

ჩემი ქალი იმ წუთში დამამშვილებს:

— მოკვდები, აბა რა მოგევა, ყანწრთ ღვინის სმა ახალგაზრდობაში გიჭირდა.

ჰმ, ახალგაზრდობა! როგორ ჩიტვივთ გამიფრინდა ჩემი ახალგაზრდობა! წავიდა და მარტო ვახუნებული სურათი დამიტოვა კედელზე. აბა კარგად შეხედეთ, ეს მე ვარ, სევასტი გვიბირიძე, თეთრი ჩოხა რომ მაქვია, იგი ფოტოგრაფისაა, მაგრამ დანარჩენი, რასაც ხედავთ, ყველაფერი საკუთარია: კუბრჩეთი თმა და მასზე უშავესი წერ-ულვაში, არწივის ცხვირი და მიმინოს თვალები. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და კი ვიყავით ხალხი ძველად. ჩვენისთანებს ახლა კინოშიც ვეღარ ნახავთ.

ღვინის სმაო, ქალმა რომ წამომძახა, მაგი რა მოსატანია. ჩვენ რომ მაშინ საქმეებს ვაკეთებდით, თქვენ არც დაგეისზრებათ. ნუ გეცინებათ, ბიძებო, კლასთა ბრძოლა და რევოლუციოა, რომ კოთხულობთ წიგნებში, ჩვენისთანა ხალხმა მოახდინა მაგი რევოლუცია. მერე ნიკოლოზი რომ გადმოვადე, მენშევიკები რომ მივაყოლეთ და ახალი დროება რომ გავითენეთ, პირველი მე შევედი კოლექტივში. ჩემი თავმჯდომარე, ყოველდღე გულს რომ მიკეთებს, მოხუცი, სევასტი ბიძიაო, დაბადებული არ იყო მაშინ, მე რომ სატურიაზე ჩაის ვრგავდი.

ასეთი ვარ მე. ახლა, რაც შეეხება ჩემს ცოლს, ბერის ვერაფერს გეტყვი. გამოცდილებით ვიცი, არ ვარა, ქმარი რომ ცოლის ავზე და კარგზე დაიწყებს ლაპარაკს. ქმარი ცოლს უნდა უსმენდეს და ყველაფერზე მართალი ბრძანდებოი უთხრას.



საერთოდ ცოლი არასოდეს შეცდება და, თუ მაინც რამეში შეცდა, უსათუოდ ქმარის დამნაშავე. ჩემს ანეტას რომ ჰკითხოთ, თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეცდა, მე რომ ცოლად წა-მომყვა. ისე ამბობს, ვითომ არ მათანდნენ და მო-ვითაცა. არა, რაც ახრათალი მართალია, ახალგა-ზრდობაში კი იყო მართა რომაა იმაზე უკეთესი, ერთი დანახვით უცოლო კაცს კი აფიქრებინებდა არადაცას, მარა ძველ დროს თუ გაყიხსენებთ, სა-თქმელი მეც კი მაქვს. მე რომ ფილიპე შეყირუ-ლის ჩაქურთაში გამოვეწყობიდი და ამბაროსი კა-ლანდაძის ცხენზე შემოვეჯდებოდი, გასათხოვი და გაათხოვილი ყველა შუკაში მარბობდა ჩემს სანა-ხავედ. მეც დიდი ამბით გაუათხოვარიკებდი ცხენს, მერე მოვიტყობდი ყელს და ავთანდოლოვით სიმ-ღერას შემოვძახებდი. ქალიშვილები გული უშუბ-ნობოდათ ჩემი ხმის გაგონებაზე. სახლებში ფან-ჯრებს კეტავდნენ, არქა, სევასტი გვიბირჩქე მო-დის და შვილი არ გადაგვიროსო.

რა ქალღი მეძლოდა, რა ანგელოზებს ვეთამა-შებოდი! მაჰანკლებმა ხომ ეზო ამიტალასენ, თქვი და და გადაწყვიტეთ, ქალიშვილები თუ არ გეცოდება, ჩვენ მაინც შეგვიბრალეთ. მე კარგა ხანს უარზე ვიდები, მაგრამ ერთმა ჰქვიანმა ცაცმა გამაშურთხლდა, არ მოვითაცინო და რაღა შექნა. ვარჩიე, ვარჩიე და ბოლოს შემერჩა ხელში ჩემი მოწონებული ანეტა.

ქალის მოყვანამდე ერთი ცარიელ-ტარიელი კაცი ვიყავი. ვაჭკაცობის მეტი არაფერი გამაჩნ-და. ცოლოურებმა ცხვირი ჩამოუღებ და კარგა ხანს სალამსაც არ მაძლევდნენ ხვირიანად, თვა-ლები რამ დაღვიბრმაგა და ეს რა ბედოვლათს გა-ვატანეთ ჩვენი მშეთუნსახვი ქალიო. ახეტამ ხომ ცეცხლზე ნავთი დაასხა, მარტო სიმღერა რომ მდმოვბოდა, ჩემი მზიოვით გრამაფუნს ვიყიდდი და დავიდგამდიო.

კარგა ხანს ვუთმინე, არ მინდოდა ახალმოყვა-ნილის წყენებება, მაგრამ ბოლოს რომ აღარ და-აღდა საშველი ანეტას გაიქრებას, მეც ავიმადლე ხმა, მაკალე ქალი, ხომ ხედავ ცეცხლომ და პა-ტარა ხანში ნახავ რასაც ვიზამ-მეთქი.

ხუთი წელი არ იყო გასული, ოდა გვექონდა და ბიჭი გვაყვდა. კიდევ ხუთი წელი გავიდა თუ არა, ავივაც დავდგით სახლში და მეორე ბიჭის აკვა-ნისც.

რომ არ დამავიწყდეს, ჩემი შვილების სახელებს გმტყვიო. უფროსს სანდრო ჰქვია და უმცროსს სიმონი. ეს სახელები მათზე პერად ჩემს და ანე-ტას ბაბუებს ერქვათ, კაი ვაჭკაცები იყვნენ და ამიტომ ვმცით პატეიო.

გავიდა დრო. სახლ-კარიც ვაგვეზარდა და ბი-ჭებიც. დედისათვის რომ გვეითობა, სანდრიკასა და სიმონისკასავით ბავშვები არა მარტო ჩვენს თემში, მთელ რაიონშიც არ დადიოდნენ. ერთხელ იგიც კი ეწყინა, ვიდაცამ რომ უთხრა, თბილისში ვნახე პატარა ბიჭები, სულ თქვენს ბავშვებს გავ-დენო.

კაცმა რომ თქვას, ანეტას არ გამტყუნებია. ყველა დედას შვილიანი უყვარს, მაგრამ მეც ხომ მიყვარს და მიყვარს შვილები და, ჩემდა რომ გვეითხათ, თითის სიგრძე ბაღენებს გადასარეგს ვერაფერს ვატყობდი. ჩვეულბირივი სოფლას ჭინ-კში იყვნენ, ისეთი, როგორც დომენტის, მელენ-ტის, აქესენტის და სხვა მფობლების ბავშვები. ფეხსმეშვილი დარბოდნენ, ვენახში იპარებოდნენ, ღელეში ბანაობდნენ, ქალაში ჭიდაობდნენ, მერე გაულეღავდნენ ერთმანეთს ცხვირბირს და, როცა

სახლში იკადრებდნენ მისვლას, ჭინჭრის მთელ ტემით აუზბურებდი კანჭებს.

სანამ ბიჭების სკოლაში გასვების დრო მოაწე-და, ანეტას ცისკენ ჰქონდა ხელები აშვირილი, ღმერთო, ჩემი შვილების მოწაფეობას მომასწრებ-მერე მომკალი და არაფერს ვიტყვიო. მალე აუს-რულდა ნატერა, მაგრამ სადარდებელი ის იყო, რომ არც სანდრიკას და არც სიმონიკას გამოუტყ-ნიათ დიდი ცოდნა-განათლება. რაღა მამას დავეგ-ვანაო, გულში მჯიბს ირტყამდა ანეტა, სანილით რომ ეძებო, მაგის გვარში ნასწავლ კაცს ვერ ნა-ხაო.

მართალია, სწავლაში თითით საჩვენებელი ვერ გამოვლენე ჩემი შვილები, მაგრამ არც მთლად წყალწაღებულულები იყვნენ. ისიც სათქმელია, არც ერთ კლასში არ დარჩენილან. სანდროს წიგნები ძალიან უყვარდა. ბავშვთულების გარდა არაფერი დატოვებდა წაუკითხავს.

როგორ დამავიწყდა ის დღე. მეექვსე კლას-ში იყო გადასული სწორედ. სკოლადან კი მოვი-და და სამკვლიოც არ უშკამია, ისე ეცა რაღაცა წიგნს. ვიფიქრე, კომისიაა ჩამოსული და ამიტომ იკლავს თავს. შევაქე კიდევ, იყობზე, იყობზე ბა-ბაია, კაცი გამოსხვალ-მეთქი. რომ არ იხადილა, არაფერი, მომივადება და თვითონ მონახავს. ამა-სობაში გავიდა დრო, მზე გადადგა. სანდრიკას თავი არ აუღია. მოსალაშურდა და, ადები, ბიჭო, შეე, ძროხა მოსაყვანი-მეთქი, ვაგახსენე. ვითომც არაფერი. მეორედ ვუთხარი და ყურადღება რომ არ მომაქცია, აზნინდიათ ქმარი შევიხსენი. ცუ-დადა არის საქეთო რომ დანახა, წამოხტა, წიგნი შარვალში გაიჭრა და გაიქცა. გაიქცა და გავეკი-დე, დაგიჭერ და ძმარს წამოვადენ ცხვირიდან-მეთქი. რას დავეწყოდ. ერთი ბებური მხსალი გვაქვს ეზოში, კატასავით ავარდა ზედ. მე, რა შვილი, ავეყებოდი, ახალგაზრდობაში მიჭირდა ასეღა.

დავუწყე ქმევიდან ყვირილი, ცოცხალი ვერ გა-დამირჩები, მაგ წიგნს თავზე დაგახე-მეთქი.

რაც უფრო აუწყოე ხმას, იმდენი მალა ავიდა. ბოლოს სულ კენწერობის მოექცა. შევიზინდი, ტოტი არ მოუტყდეს და ცოლდა არ დამიხრიალდეს-მეთქი. სხვა გზა არ იყო და ისევ დავუდაბლო.

— ბაბაია, შენი ჭირბიე, ჩამოდი ძირში, ძრო-ხაა მოსაყვანი.

ვინ მოვაქცია ყურადღება. მოკვალათა არხეი-ნად ტოტებში და დაიწყე ციოხა.

რა გენა ახლა. ასვლით ხომ ვერ ავალ და ვერ ავალ, ისევ ჯობია დავუშპტო.

— სანდრიკა, ბიჭო, ნუ მიმჭირ მეზობლებში თავს, ხომ ხედავ აგერ გრამიტონი მოდის სიერის საყურებლად. ოღონდ ახლა ჩამოდი და, რასაც მეტყვი, ყველაფერს გავგონებ. სამტრედლიან წითელ წულებს ამოგიტან, თუ პატარა კიდევ მკუას მოუმატებ, ველოსიპედაც გიყიდა. ხომ გინდა, ბაბაია, ველოსიპედი, აი ჩვენს ფოსტალი-ონს რომ აქვს ისეთი? კი გინდა, კი, შე ეშმაკო. ჰოდა, ჩამოდი ახლა ძირში.

ამ ჭიჭიკებს კი ვუბუნები, მაგრამ ჩემს გულში ჩავახედათ, რა ცეცხლი ტრიალებდა. ჩა-მოვიდეს ერთი ძირში, ყურებს ხელში მივიცემ! თანც იმაზე ვსკლები გულზე, ქადაგად დავვიარებ და ის ლაწირაკი ხმასაც არ მცემს.

ამეგრად და სისხლი თავში.

— არ ჩამოხვალ, ამა ხომ?

— არ ჩამოვალ.

— კარავ, ბატონო, ნუ ჩამოხვალ. მე წავე-

და მოვიყვან ძროხას, თუ არ შეგერცხება. შენ იკითხე მაგი წიგნი. ნახათ ერთი სანამდის იქნება ხეზე.

სახლში რომ დაებრუნდი, ისევ მსახლზე დამხედა. ამდენს აღარ მოველოდი, ეს უკვე მეტის მეტი იყო. ჯერ გავვიფიქრე, მერე გავშავდი, დასიცხულივით გაიმშრა ბირი, ყურებმა ზუსუნნი დამიწყვი. ანეტამ წყალი მომიბრუნინა.

— რა მოგივლი, შე კაცო, ჩაიმუხლე ერთი და ეს წყალი მოსვი.

— წყალი კი არა, დანა მომიტანე, ქალო!

— დანა, რა დანა გინდა, სევასტი?

— გუშინ რომ გავლესე და კედელზე რომა ჩამოკიდებულდი, ვერ მიხვდი ხომ? საკალანდოდ ღორებს რომ ვცვლავ, ე, იგი დანა მინდა!

— რაღაც სხვახარად ღობანარავო, სევასტი.

— არ მოგაქვს, ხომ? კია, აბა, მე მოვიტან და მიყურე რა ვქნა.

შეგვარდა ოდაში და დანა გამოვიტანე. ახედა კვილით გამომხვით.

— მიშველეთ, მეზობლებო, ქმარი გადამერია. დანა წყაროვით, თორემ ცოდვას დაატრიალებს!

თითქოს მიწიდან ამოფარაო, გრამიტონი წინ გადამადგა.

— რამ გადაგვრია, ყაბახო?! — მიყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— გადარეულის ხმა მესმის-მეთქი, — ვუბასუხე.

— მაგი დანა მომეცი ახლა, ბებერს ნუ ლაბარაკობ!

— მივცე, ჩქარა მივიცი! — მომაკივლა ანეტამ.

ახლა ვერ მოგტყვით, ძან მჭირდება.

— რაში გჭირდება, მაინც ვერ იტყვი?

— რაში და იმ ცივანს ხომ ხედავ, ევერ, კენწერიო? — გავიშვირე დანა.

— დიდუფუ, — იცივლა ანეტამ, — ნამდვილად გადარეულა ეს უბედური.

— ქალო, მაცალე, სიტყვა დამამთავრებინე!

— ვაცალეთ, — ღამთააზმმა გრამიტონი.

— ზოდა, თხილის შოლტი უნდა მოგებრა გრძელი, სამეტირანი, როცა იქნება ხომ ჩამოვა ძირში, დამეს ხომ არ გაათევს ფირალივით ხეზე, ჩამოვა და კოჭებში ერთი და ორი, ნახავ, როგორი ცეკვა იცის!

... ღამეა. სამზადში მე და გრამიტონი ვსხედვართ. სამფება სუფრაზე ვახშამია გაწყობილი. იქვე დოქით ღვინო გვიდვას. ვერუბავთ მე და ჩემი მეზობელი ადესას და ტკბილად გმუშაპუკებთ. ვიხსენებთ ცისას, ბრისას, ღვინოში სალაპარაკოს რა გამოილევს. შოლტი კედელზე მაქვს აყვლებული. როცა შევხედავ, მხოლოდ მაშინ მანსუნდება, რომ სანდრეკა მყავს გასალახავი. იმისთანა ცივანია, არც კი შემოსულა და მატებდა არ უთხოვია. ერთი სიტყვეც რომ ეთქვა, ღმერთი, რჯული ხელს არ დავაკაოებდი. არ უთქვია და პატონი ბრძანდება, მიყუროს, რა დღე წავიკილო.

სამზადში ჩვენ ორის მეტი არავინაა. სიონამ კარგა ხანია იფახშმა და დასაძინებლად წავიდა. ანეტაც ოდაშია ასული.

ღამეა. ვარეთ ჩამი-ჩუმი არ ისმის. მხოლოდ ხანდახან გაღვიძალი კაცივით წამოიფვირებს ლევარსი კიკაბიძის ძალი, ან დომენტის გვარჯალაის მამალი ატყუებს ქვეყანას, ნუ გეძინიათ, მალე გათენდებაო.

ესემათ ნელ-ნელა მე და გრამიტონი ადესას, ესემათ და ლაპარაკით თავს ვიქცევთ. ცალი თვა-

ლი კარებისაკენ მივირავს. იმის ლოდინში ვარ, როდის შემობრავუნდება ჩემი ვატიბატონი.

— რაც მართალი მართალია, შევიღებო-მეტი ვარა, ჩემო სევასტი, და აწი არაფერი გიჭირს, — გულს მიკეთებს გრამიტონი.

— მომქუსო კი, ხომ ნახე შენი თვალებით როგორი მოსწრებულა!

— მაგი რაა, შე კაცო, დაგავიწყდა ჩვენი ბაღნობა?

— შეუდარე ახლა ჩვენი და მავნის ბაღნობა. მე რომ სანდრეკას კბილა ვიყავი, შაქრის სახელი კი ვიცოდი, მარა გემო არ მქონდა გასინჯული.

ზამთარ-ზაფხულად ფეხმაშველი დავდიოდი. კალოში ჩვენ სოფელში თაღარა ღოლიძეს ეცვა მარტო, ხომ გახსოვს?

— რაუა არ მახსოვს, შე კაცო, თოვლში რომ კალოშანი კაცის ნაკვალევს ნახავდნენ, თაღარას გაუვლიათ იტყვოდნენ.

ლაპარაკი კარგა ხანს გავვიგრძელდა. შუალამე იქნებოდა, გრამიტონი რომ მივაცილეთ და ოდაში ავედი.

ყველა ეძინა. სანდრეკა გაუხდელი იწვა. წიგნი სასებოთ ჩაგვრა გულში, ალბათ, იმის ღარდი ჩაყვა, არ წამართვანო. დავსედე მინც, რას კითხულობს-მეთქი. „დეკამერონი“ ყოვილა.

ყველა მუღუნებოდა, რა ბაღანა გყავს, ნამდვილად გენიოსი გამოვა, ანდენ წიგნს რომ კითხულობსო.

გენიოსობის ნიშნები ჩემმა სანდრეკამ მალე გამოამქლავნა. მერვე კლასში გადავიდა თუ არა, ლექსების წერა დიწყო. პირველად რომ მოვიდა და მომხანარა, ნახე, ბაბაია ლექსი დავწერო, არც გამკვირვებია. ლექსებს მეც გწერდი ახალგაზრდობაში, მაგრამ ფარცავი არ დამმართია.

ჩემი ლექსები ხალხს სულ ზებირად ეცოდა.

გათონდა და გატილიდა, ჩიტი ჩივა ვალობასო, სიყვარულიში მიღობატი, ფუი, შენსა ქალობასო.

ან კიდევ:

შეგარცხენიე აქვსენტი, არ მათხოვა ხარებო, ქორწილში რომ დამატკიებს, აღარ მივემზარებო.

მისხარება იგი იყო, ღვინო დაველია ყანწებით და მერე მაყრად გაყოლოდი.

წავიციებთ ერთხელ, მერე მეორედ სანდრეკას ლექსი, ვუსურე, ვუსურე და არ დამიჯდა ტკუაში: სკოლას რომ დავამთავრებ,

მყინარწვერზე ავად, და ვარდების თაიგულებს შენ მოგიძღვნი, ქალავ.

— იცი, პიტო, სად არის მყინარწვერი? — შევეკითხე.

— იქით, ევერ.

— იქით საყორნია, შე მამაძაღლო.

— ზოდა, საყორნის იქით მყინარწვერია, — დარწმუნებით მითხრა სანდრეკა.

— კავკასიის ქედი გავიგონია, შე ყურმუსალო?

— რვა არ გამიგონია:

კავკასიის მწვერვალებზე მიდიოდა ორი სვანი...

— ვინ მიდიოდა, ბიჭო?

— მიდიოდა ორი სვანი, მარილის საყიდლად.

— იმდენი დავახსნი თავსულავი, სირცხვილია შე-

ნისთანა ახალგაზრდამ მაგი ლექსი ზეპირად არ იცოდეს.

— ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა.

— ჰოდა, ახლა აიღე წიგნი და გაიხსენე. კიდევ რას გეტყვი იცი? მყინვარწვერი ყარამანა თონახაძის ბაღი ხომ არ გგონია, ვარდები რომ ღაცრაფო? სირცხვილია, გაგვიწმენს ვიღაცა.

— რა ვიცი, ყველა მასე წერს და...

— ყველას შენ ხუ უყურებ, მაშინ რაც გითხრას, ის დაიჯერე. ლექსის წერით ჩვენში ვერავის გააკვირვებ. მაგაზე პატარა უყუთა ლექსებს ცხონებული ზებიაჩიძეც კი წერდა და მერე ფანდურზე აღიღინებდა. ხალხს ძალიან მოწონდა, ერთხელ იგივე კი დაპარალეს, ფორალბზე რაც ლექსია გამოთქმული, ყველა კვსარიყასო, მარა ასე თქვა, ჩემი რაც არის, ის მეყოფა, სხვის ცოდვაში რას მაგებოდა. ჰოდა, იმას გეტუხვები, ლექსის წერა, როგორც ლენინის სმა, სატირაპასო არ არის. ბევრი რომ მიონდომო, აკაკი წერეთელი და გალაკტიონი ტაბიტი შენ არ გამოხვალ და, რის ნიჭიც ღმერთმა მოგვცა, ის მოიხმარე. აგერ დამთავრებ სკოლას და სოფელში იმდენი საქმეა, სადაც გინდოდა იქ წადი. თუ ტყუილ იქნები, ბრიგადირადაც დაგნიშნავენ.

— მერე ლექსები ვინ დაწეროს?

— ვისაც არ ეზარება. თუ დრო დაგირჩა, შენც დაწერე, რა გენადგლებს.

— არა, არ მინდა ბრიგადირობა, მე თბილისში წავალ და პოეტი გამოვალ!

— დიკარგე აქედან, პოეტი კი არა, პროფესორი არ გინდა?

როგორც ყოველთვის, ჩვენს ლაპარაკში ანეტა ჩაერია.

— ვითომ რა, ჩემი შვილი რატომ უნდა იყოს სხვაზე ნაკლები. მე საექიმოზე ვფიქრობდი, მაგრამ რა უყუთო, ექიმი თუ არა, პოეტი მაინც გა მოვა. წადი, შვილო, დაისურვე და მერე ერთი ლექსი კიდევ დაწერე.

— ანეტა, ლუპავე ზაღანას?

— ველუავე კი არა, გზაზე ვაყენებ.

ლექსების წერაში სანდრომ ისეთი უნარი გამოიჩინა, რომ ქაღალდის ყიდვას ვერ უთუთვდებოდი. ჩვენს ოდის კედლებს სულ მოხატული იყო მაგის ლექსებით:

იანვრისა ოთხსა

ძროხის იზამს ხბოსა.

ანდა:

გრამიტონის ცოლს ნელის

ღედამ ასესხა ყველი.

ნელის ეყენია, რალა მაინც და მაინც სესხებაზე გამწერო და სანდრიკამაც გადააკეთა:

გრამიტონის ცოლს ნელის

ჩურჩხლელები აქვს ზვერი.

მერე ვიღაც ტყვიანმა კაცმა ურჩია, კედელზე რას წერ, რელაქციაში გაგზავნე, დაბეჭდვად და ფულს მოგცემინო. ეს იყო და საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, სანდროკას ლექსები რომ ამ გაეგზავნის. რელაქციებზე უფრო ჩვენი ფოსტალიონი მეცოდებოდა, მოკვდა კაცი მაგის წერილების ზიდავით.

